სიძულვილის ენა

თბილისი
2017 წელი

კავშირი ,,21-ე საუკუნე”

ფრიდრიხ ებერტის ფონდის წარმომადგენლობა საქართველოში

წინამდებარე გამოცემა მომზადებულია კავშირი ,,21-ე საუკუნის'' მიერ პროექტის - ,,სიძულვილსი ენის პრობლემა და მისი დაძლევის ხელშეწყობა საქართველოში” ფარგლებში.

პროექტი განხორციელდა ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით. პუბლიკაციაში წარმოდგენილია ავტორთა პირადი მოსაზრებები. დაუშვებელია ფრიდრიხ ებერტის ფონდის მიერ გამოცემული მასალების კომერციული მიზნით გამოყენება ფონდის თანხმობის გარეშე.

გამოცემაზე მუშაობდნენ:
თამარ ტარტარაშვილი
ნანა ფირცხალაიშვილი

ბუკლეტი დაბეჭდილია შპს ,,სარეკლამო ჯგუფში“

განმარტება/ ზოგადი ინფორმაცია

სიძულვილის ენა არის გამოხატვის ფორმა, რომელიც ხელს უწყობს მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულების დამკვიდრებას ამა თუ იმ ნიშნით განსხვავებული ჯგუფების მიმართ; ასევე ამართლებს ან რეკლამას უწევს სიძულვილს, დისკრიმინაციას, მტრულ დამოკიდებულებას მათ მიმართ.

ამ ჯგუფებში, როგორც წესი, შედიან განსხვავებული ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური კუთვნილების, კულტურის, ორიენტაციის და შეხედულების მქონე ადამიანები. სიძულვილის ენაში მოიაზრება რასისტული, ქსენოფობიური, ნაციონალისტური და სხვა სახის გამოვლინებები.

სიძულვილის ენის საყოველთაოდ აღიარებული იურიდიული დეფინიცია არ არსებობს, თუმცა 1997 წელს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა მიიღო რეკომენდაცია #R(97), სადაც იგი შემდეგნაირადაა განმარტებული: სიძულვილის ენა მოიაზრებს გამოხატვის ყველა ფორმას, რომელიც ავრცელებს, ხელს უწყობს, პროვოცირებას უწევს ან ამართლებს ქსენოფობიას, რასობრივ შუღლს, ანტისემიტიზმს, ასევე, შეუწყნარებლობის სხვა სახით გამოვლინებას - ეთნოცენტრიზმს, ნაციონალიზმს, დისკრიმინაციას, უმცირესობათა ან მიგრანტთა მიმართ მტრობას.

სიძულვილის ენა შეიძლება გამოიხატოს სიტყვიერი შეურაცხყოფით, მუქარით, ძალადობისკენ მოწოდებით პირის ან პირთა ჯგუფის მიმართ ეროვნული წარმომავლობის, ეთნიკური კუთვნილების, განსხვავებული ფერის, რელიგიის, სქესის, ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის ან სხვა ნიშნის საფუძველზე.

სიძულვილის ენის გამოხატვის საშუალებებია: სიტყვიერი ფორმა (სიტყვიერი აგრესია - შეურაცხყოფა, დაცინვა და სხვ.) წერილობითი

შეტყობინება; მედიაში განცხადებით გამოსვლა; შეტყობინება სიმბოლოების გამოყენებით ან სიმბოლური ქმედება; ასევე, რასობრივი შეთქმულების თეორიები, შეურაცხმყოფელი სტერეოტიპები, ეპითეტები და ა.შ. რაც ხელს უწყობს ამა თუ იმ ჯგუფის მიზანმიმართულ დისკრედიტაციას, მათ მიმართ მცდარი შეხედულებების დამკვიდრებას, ძალადობის წახალისებას და საფრთხეს უქმნის კონკრეტულ ჯგუფს, საზოგადოების რომელიმე ნაწილს ან მოსახლეობის რომელიმე ფენას.

ტერმინი ,,სიძულვილის ენა'' არ არის მოხსენიებული ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კი ეს ტერმინი პირველად 1999 წელს გამოიყენა[1].

სიძულვილის ენა მოიცავს გამონათქვამებს, მტკიცებას, იდეებსა თუ შეხედულებებს, რომლებიც მიმართულია ამა თუ იმ სოციალური ჯგუფის წინააღმდეგ; ასევე ძალადობისკენ მოწოდებას, ზოგადი ხასიათის იქნება იგი თუ მიმართული კონკრეტული ადრესატისადმი.

სიძულვილის ენად მიიჩნევა:

- სტატიებში, დოკუმენტებში და ა.შ. დაშვება იმისა, რომ ძალადობა მისაღებია, მათ შორის ძალადობისკენ ზოგადი მოწოდება;
- დისკრიმინაციისკენ მოწოდება, მათ შორის ზოგადი ლოზუნგებითა და მოწოდებებით;
- პროპაგანდა ძალადობის დადებითი შედეგებისა ისტორიულ ან თანამედროვე ეტაპზე;
- ძალადობის ან დისკრიმინაციის კონკრეტული მაგალითების მოყვანა და მათი გამართლების მცდელობა;

[1]ტერმინი პირველად იქნა გამოყენებული ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიერ, 1999 წლის 8 ივლისს საქმეებზე: Sürek v. Turkey , Sürek & Özdemir v. Turkey, Sürek v. Turkey და Erdogdu & Ince v. Turkey.

- რომელიმე ეთნიკური ან რელიგიური ჯგუფის უარყოფითი სახის შექმნა, მათ შორის მათთვის კონკრეტული ბრალის დადება. ასეთი ტონით განმსჭვალული სტატიები ან სხვა საინფორმაციო პროდუქცია;
- ძალადობის ან დისკრიმინაციის წარსულში მომხდარი ფაქტების გამართლების მცდელობა, მაგალითად ჰოლოკოსტისა და გენოციდის გამართლების მცდელობა;
- გამოცემები, სტატიები, სხვა სახის საინფორმაციო მასალა, რომლებიც ეჭვქვეშ აყენებს ძალადობისა და დისკრიმინაციის საყოველთაოდ აღიარებულ ფაქტებს ან მათ მასშტაბებს;
- რომელიმე ეთნიკური ჯგუფის არასრულფასოვნების მტკიცება;
- რომელიმე ეთნიკური ჯგუფის შერაცხვა უკულტურო, ჩამორჩენილ, უინტელექტო, გაუნათლებელ ადამიანებად, რომელთაც არ შეუძლიათ რაიმე ფასეულის შექმნა;
- ამა თუ იმ ეთნიკური ჯგუფის მხოლოდ ვიწრო საქმიანობის შესაძლებლობის მტკიცება;
- მტკიცება იმისა, რომ რომელიმე ეთნიკურმა ან რელიგიურმა ჯგუფმა წარსულში დანაშაული ჩაიდინა;
- ამა თუ იმ ეთნიკური ან რელიგიური ჯგუფის კრიმინალებად გამოცხადება;
- ამა თუ იმ ჯგუფის მორალური არასრულფასოვნების მტკიცება;
- მტკიცება იმისა, რომ ამა თუ იმ ეთნიკურ ან რელიგიურ ჯგუფს არაპროპორციული უპირატესობა აქვს მატერიალურ კეთილდღეობაზე, ხელისუფლებაში წარმომადგენლობაზე, მედიის საშუალებებში და ა.შ.
- ამა თუ იმ ეთნიკური ან რელიგიური ჯგუფის მიმართ ბრალდება, რომ ისინი მორალური კუთხით უარყოფით გავლენას ახდენენ საზოგადოებაზე და ზოგადად სახელმწიფოზე;
- ეთნიკური ან რელიგიური ჯგუფის წარმომადგენლის მოხსენიება დამამცირებელი ან შეურაცხმყოფელი ფორმით, კრიმინალთან მათი გაიგივება ან რაიმე „კლიშეს“ მიწებება;

- მოწოდება იმისკენ, რომ არ მოხდეს ამა თუ იმ ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელთა დასახლება რომელიმე ტერიტორიაზე ან მათ მიერ საკულტო ნაგებობებისა თუ კულტურული ცენტრების აშენება;
- მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ქსენოფობიური გამონათქვამების ტირაჟირება სარედაქციო კომენტარის გარეშე, რომელმაც ზღვარი უნდა გაავლოს საინფორმაციო საშუალების პოზიციასა და გამონათქვამს შორის;
- მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში აშკარად ნაციონალისტური შინაარსის მასალების გამოქვეყნება შესაბამისი სარედაქციო შენიშვნის გარეშე;
- ამა თუ იმ ჯგუფის დადანაშაულება ხელისუფლების ხელში ჩაგდებასა და ტერიტორიულ ექსპანსიაში, რაც განსხვავდება მოწოდებისაგან, არ მოხდეს სხვადასხვა ეთნიკური ან რელიგიური ჯგუფის წარმომადგენელთა დასახლება რომელიმე ტერიტორიაზე;
- ქვეყნის მოქალაქეთა ნაწილის იგნორირება მათი ეთნიკური იდენტობის გამო, თითქოს ისინი არ არიან ,,ნამდვილი'' მოქალაქეები;

სიძულვილის ენა, პირობითად, რამდენიმე ნაწილად შეიძლება დაიყოს. მათგან ყველაზე მსუბუქ ფორმად მიიჩნევა:

- ეთნიკური ან რელიგიური ჯგუფის უარყოფითი სახის შექმნა;
- ამა თუ იმ ჯგუფის არასრულფასოვნების მტკიცება;
- მტკიცება იმისა, რომ ამა თუ იმ რელიგიური ჯგუფის წარმომადგენლები მორალურად არასრულფასოვანნი არიან;
- ამა თუ იმ ჯგუფის და მათი წარმომადგენლების მოხსენიება დამამცირებელ და შეურაცხმყოფელ კონტექსტში;
- აშკარად ნაციონალისტური და ქსენოფობიური გამონათქვამების ყოველგვარი კომენტარის გარეშე ციტირება.

საშუალო სიმძიმის სიძულვილის ენად მიიჩნევა:

- ძალადობისა და დისკრიმინაციის ისტორიული ფაქტების გამართლება;
- პუბლიკაციები და ანალიზი, რაც ეჭვქვეშ აყენებს, ისტორიულად, საყოველთაოდ აღიარებულ ძალადობისა და დისკრიმინაციის ფაქტებს;
- ამა თუ იმ ეთნიკური ან რელიგიური ჯგუფის მიერ ისტორიული დანაშაულის ჩადენის მტკიცება;
- ამა თუ იმ ჯგუფის დაკავშირება კრიმინალთან;
- ამა თუ იმ ეთნიკური ან რელიგიური ჯგუფის არაპროპორციულ უპირატესობაზე მსჯელობა;
- სახელმწიფოზე, საზოგადოებაზე, ამა თუ იმ ჯგუფის უარყოფითი ზემოქმედების მტკიცება;
- რომელიმე ჯგუფის დადანაშაულება ტერიტორიულ ექსპანსიაში ან სახელმწიფო ხელისუფლების ხელში ჩაგდებაში;
- პირის მოქალაქეობის იგნორირება, არცნობა იმის გამო, რომ იგი უმრავლესობისგან განსხვავებულ ჯგუფს მიეკუთვნება.

სიძულვილის ენის მკაცრი გამოვლინებებია:

- მოწოდება ძალადობისაკენ;
- მოწოდება დისკრიმინაციისაკენ;
- მოწოდება, რომ არ მოხდეს სხვათა დამკვიდრება რეგიონში[2]

სიძულვილის ენა საშიშია არა მარტო ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის კუთხით, არამედ იგი ამკვიდრებს გაუცხოების, საზოგადოებრივი, პოლიტიკური თუ ეკონომიკური ცხოვრებიდან ამა თუ იმ ჯგუფის დისტანცირების პრაქტიკას და

[2] Информационно Аналитический Центр «СОВА». Язык вражды против общества, 2017 წელი. სრული ტექსტი იხ. http://www.sova-center.ru/files/books/hs07-text.pdf

საფრთხეს უქმნის ქვეყანაში მშვიდობასა და საზოგადოებრივ სიმშვიდეს. იგი მიმართულია, ერთი მხრივ, ცალკეული პირისა თუ ჯგუფის წინააღმდეგ, აყენებს რა მათ ფსიქოლოგიურ და მორალურ ზიანს, ხოლო მეორე მხრივ, მთლიანად სახელმწიფოს, მისი სოციალური და ზნეობრივი სტრუქტურის წინააღმდეგ.

სიძულვილის ენა საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტებში და რეკომენდაციებში

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1966 წლის პაქტის „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“[3] მე-20 მუხლის მეორე პარაგრაფის მიხედვით:

,,ყოველგვარი გამოსვლა ეროვნული, რასობრივი თუ რელიგიური შუღლის სასარგებლოდ, რაც დისკრიმინაციის, მტრობისა თუ ძალადობის წაქეზებაა, უნდა აიკრძალოს კანონით''

ეს ნორმა მჭიდრო კავშირშია ამავე პაქტის მე-19 მუხლთან და კერძოდ 3-პუნქტთან, რომელიც აწესებს პირობებს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით:

,,1. თითოეულ ადამიანს აქვს უფლება დაუბრკოლებლად ჰქონდეს საკუთარი აზრი;

2. თითოეულ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი; ეს უფლება შეიცავს თავისუფლებას, რომ სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად ეძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ყოველგვარი ინფორმაცია ზეპირად, წერილობით თუ პრესისა და გამოხატვის

[3] საქართველოში ძალაშია 1994 წლის 3 აგვისტოდან.

მხატვრული ფორმების საშუალებით ან სხვა საშუალებით საკუთარი არჩევანით.

3. ამ მუხლის მე–2 პუნქტით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობა პირს განსაკუთრებულ მოვალეობას და პასუხისმგებლობას აკისრებს. მაშასადამე, იგი შეიძლება შეიზღუდოს, მაგრამ ეს შეზღუდვა კანონით უნდა იყოს დადგენილი და საჭირო დემოკრატიულ საზოგადოებაში:

a) სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის პატივისცემისათვის;

b) სახელმწიფო უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ჯანმრთელობისა თუ ზნეობის დასაცავად''.

კონვენციის 28–ე მუხლის მიხედვით შექმნილია გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი, რომლის მიზანია ზედამხედველობა გაუწიოს პაქტის მონაწილე სახელმწიფოების მიერ პაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულებას. კომიტეტი შედგება 18 დამოუკიდებელი ექსპერტისგან, რომლებიც მიუკერძოებლად ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს. იგი მიიღებს და განიხილავს სახელმწიფოების პერიოდულ მოხსენებებს მათ მიერ პაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულების შესახებ.

მოხსენებები კომიტეტს წარედგინება ყოველ 5 წელიწადში ერთხელ. კომიტეტი განიხილავს სახელმწიფოთა მოხსენებებს, აგრეთვე სახელმწიფოს და ინდივიდუალურ შეტყობინებებს და იღებს სარეკომენდაციო ხასიათის გადაწყვეტილებებს. კომიტეტი ჩატარებული მუშაობის შესახებ ყოველწლიურად მოხსენებას წარუდგენს გაეროს გენერალურ ასამბლეას.

ასევე გაეროს დოკუმენტი - ,,საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ''[4] ავალდებულებს ხელმომწერ სახელმწიფოებს, რომ რასობრივი დისკრიმინაციისა და სიძულვილის ყველანაირი წაქეზება ან ხელშეწყობა დასჯილი იყოს. კონვენციის მე-4 მუხლში აღნიშნულია:

,,მონაწილე სახელმწიფოები გმობენ ყოველგვარ პროპაგანდას, აგრეთვე, ერთი რასის ან განსაზღვრული ფერის კანის ან ეთნიკური წარმოშობის მქონე ჯგუფის უპირატესობის იდეებზე დაფუძნებულ ორგანიზაციებს, რომლებიც ცდილობენ გაამართლონ ან წაახალისონ ნებისმიერ ფორმაში გამოხატული რასობრივი ზიზღი და დისკრიმინაცია, ვალდებულებას იღებენ დაუყონებლივ განახორციელონ ჯეროვანი ღონისძიებანი ასეთი წაქეზების და დისკრიმინაციის აქტების ამოსაძირკვად, ადამიანის უფლებათა დეკლარაციაში აღნიშნული პრინციპებისა და წინამდებარე კონვენციის მე-5 მუხლში მოცემული წესების მიხედვით, მათ შორის:

,,ა) კანონით დასჯად ქმედებად აცხადებენ ისეთი იდეების გავრცელებას, რომლებიც ემყარება რასობრივ უპირატესობასა და ზიზღს, რასობრივი დისკრიმინაციის ყოველგვარ წაქეზებას და ასევე ძალადობის აქტებს ან წაქეზებას ისეთი აქტებისაკენ, რომლებიც მიმართულია ნებისმიერი რასისა და კანის ფერის ან ეთნიკური წარმოშობის მქონე ჯგუფის წინააღმდეგ, და ასევე ყოველგვარი დახმარების. მათ შორის ფინანსური დახმარების აღმოჩენას რასისტული ქმედებების მიზნით;

ბ) აცხადებენ კანონსაწინააღმდეგოდ და კრძალავენ ორგანიზაციებს, და ასევე ორგანიზებულ და ყოველგვარ სხვა პროპაგანდისტულ საქმიანობას, რომლებიც წაახალისებენ რასობრივ დისკრიმინაციას და უბიძგებენ მისკენ, აღიარებენ დანაშაულად ასეთი ორგანიზაციების საქმიანობას და მასში მონაწილეობას;

[4] რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 16.04.1999 წლის №1899 დადგენილებით.

გ) ნებას არ აძლევენ ნაციონალურ და სახელმწიფო მმართველობის ორგანოებს და სახელმწიფო დაწესებულებებს წაახალისონ ან წააქეზონ რასობრივი დისკრიმინაცია''

კონვენციის მოთხოვნების შესრულებაზე ზედამხედველობისათვის შექმნილია რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი. იგი შედგება 18 ექსპერტისაგან. კომიტეტი ასევე უფლებამოსილია განიხილოს ინდივიდუალური საჩივრები ქვეყნების მიმართ.

1985 წელს კომიტეტმა მიიღო ზოგადი ხასიათის რეკომენდაცია #7. ამ დოკუმენტში კომიტეტი რეკომენდაციას უწევს წევრ სახელმწიფოებს რომელთა კანონმდებლობა არ შეესაბამება კონვენციის მე-4 მუხლის ა) და ბ) პუნქტებს, მიიღოს შესაბამისი ზომები მუხლის მოთხოვნათა შესასრულებლად.

კომიტეტი თხოვს წევრ სახელმწიფოებს წარმოადგინონ პერიოდულ ანგარიშებში უფრო სრული ინფორმაცია რა სახით და რა მასშტაბებით ხორციელდება პრაქტიკულად მე-4 მუხლის ა) და ბ) პუნქტების მოთხოვნები. ასევე კომიტეტი ითხოვს წარმოდგენილი იქნას ინფორმაცია ამ დანაშაულებებზე ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებების შესახებ.

ასევე წევრი სახელმწიფოების ვალდებულებებზე გააძლიერონ საქმიანობა ამ მიმართულებით არის საუბარი კომიტეტის 1993 წლის ზოგადი ხასიათის რეკომენდაციაში #15.

საბოლოოდ კომიტეტი ითხოვს წევრი სახელმწიფოებისაგან, რომ მათ არა მარტო გააჩნდეთ დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად შესაბამისი კანონმდებლობის, არამედ უზრუნველყონ ამ კანონმდებლობის ეფექტური ინპლემენტაცია.

1995 წლის 25 ოქტომბერს მიღებულ იქნა იუნესკოს ტოლერანტობის პრინციპთა დეკლარაცია. დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ ტოლერანტობა მსოფლიოს კულტურათა მდიდარი მრავალფეროვნების,

თვითგამოხატვის ფორმებისა და ადამიანის ინდივიდუალობის გამოვლინების შესაძლებლობათა პატივისცემა, მიღება და მართებული გაგებაა. მას ხელს უწყობს ცოდნა, ღიაობა, ურთიერთობა და აზრის, სინდისისა და შეხედულებათა თავისუფლება. ტოლერანტობა თავისუფლებაა მრავალფეროვნებაში, ეს მარტო მორალური ვალი კი არა, პოლიტიკური და სამართლებრივი მოთხოვნაცაა. ტოლერანტობა სათნოებაა, რომელიც ომის კულტურის მშვიდობის კულტურით შეცვლას განაპირობებს.

ტოლერანტობა არ არის დათმობა, მოწყალება ან შეწყნარება. უპირველეს ყოვლისა, ტოლერანტობა აქტიური დამოკიდებულებაა, რომელსაც საფუძვლად უდევს სხვა ადამიანების საყოველთაო უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების აღიარება. არანაირ გარემოებებში არ შეიძლება ამ ძირითადი ფასეულობების ხელყოფის გამართლება ტოლერანტობით. ტოლერანტობა უნდა გამოიჩინონ ცალკეულმა ადამიანებმა, ჯგუფებმა და სახელმწიფოებმა.

ტოლერანტობა პასუხისმგებლობაა, რომელიც გულისხმობს ადამიანის უფლებების, პლურალიზმის (მათ შორის კულტურული პლურალიზმის), დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის ხელშეწყობას.

ტოლერანტობა გულისხმობს დოგმატიზმზე და აბსოლუტიზმზე უარის თქმას და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ინსტრუმენტებში ჩამოყალიბებული სტანდარტების დადასტურებას.

ტოლერანტობის გამოვლინება, რაც ადამიანის უფლებების პატივისცემას გულისხმობს, არ ნიშნავს სოციალური უსამართლობის შეწყნარებას ან ადამიანის მიერ საკუთარ შეხედულებებზე უარის თქმას ან მათ დათმობას. ეს ნიშნავს, რომ ადამიანი თავისუფალია ჰქონდეს საკუთარი შეხედულებები და მრწამსი და იგი აღიარებს სხვა ადამიანების უფლებას ჰქონდეთ თავიანთი. ეს ნიშნავს იმ ფაქტის აღიარებას, რომ ადამიანებს, რომლებიც ბუნების ძალით განსხვავდებიან ერთმანეთისგან შესახედაობით, მდგომარეობით, მეტყველებით, ქცევით და ფასეულობებით, აქვთ უფლება, იცხოვრონ მშვიდობიანად და იყვნენ

ისეთები, როგორებიც არიან. ეს იმასაც ნიშნავს, რომ ადამიანის შეხედულებები არ უნდა მოეხვეს თავს სხვებს.

ტოლერანტური გარემოს გამტკიცება სახელმწიფო დონეზე საჭიროებს სამართლიან და მიუკერძოებელ კანონმდებლობას, კანონის დაცვას და სასამართლო და ადმინისტრაციულ საპროცესო ნორმებს. ასევე აუცილებელია, რომ თითოეული ადამიანისთვის, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, უზრუნველყოფილი იყოს ეკონომიკური და სოციალური შესაძლებლობები. გარიყვამ და მარგინალიზაციამ შეიძლება გამოიწვიოს ადამიანების დათრგუნვა, მტრული დამოკიდებულებები და ფანატიზმი.

იმისათვის, რომ საზოგადოება უფრო ტოლერანტული გახდეს, სახელმწიფოებმა უნდა მოახდინონ ადამიანის უფლებათა არსებული საერთაშორისო კონვენციების რატიფიცირება და მიიღონ ახალი კანონმდებლობა, როდესაც ეს საჭიროა საზოგადოების ყველა ჯგუფისა და ცალკეული წევრის მიმართ თანასწორი დამოკიდებულებისა და მათთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად.

საერთაშორისო ჰარმონიის მისაღწევად არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ადამიანებმა, თემებმა და ერებმა აღიარონ ადამიანთა ოჯახის მრავალი კულტურისგან შემდგარი ხასიათი და პატივი სცენ მას. ტოლერანტობის გარეშე შეუძლებელია მშვიდობა, ხოლო მშვიდობის გარეშე შეუძლებელია განვითარება და დემოკრატიის გამტკიცება. შეუწყნარებლობამ შეიძლება მიიღოს საზოგადოების დაუცველი ჯგუფების მარგინალიზაციის, სოციალური და პოლიტიკური ცხოვრებიდან მათი გარიყვისა და მათ მიმართ ძალადობისა და დისკრიმინაციის ფორმა.

თანამედროვე მსოფლიოში ტოლერანტობას კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდმე ოდესმე. ეს არის ეკონომიკის

გლობალიზაციისა და სწრაფად მზარდი მობილურობის, კომუნიკაციების, ინტეგრაციისა და ურთიერთდამოკიდებულების ხანა, რომელსაც ახასიათებს ფართომასშტაბიანი მიგრაცია და მოსახლეობის გადანაცვლება, ურბანიზაცია და საზოგადოებათა მოდელების ცვლილება. ვინაიდან მსოფლიოს ყველა ნაწილს ახასიათებს მრავალფეროვნება, შეუწყნარებლობისა და შუღლის ესკალაცია ყველა რეგიონს ემუქრება. ის არ შემოიფარგლება მხოლოდ ერთი რომელიმე ქვეყნით – ეს გლობალური საფრთხეა.

ტოლერანტობა აუცილებელია როგორც ადამიანებს შორის ურთიერთობებში, ისე ოჯახისა და თემის დონეებზე. სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, არაფორმალური განათლების მეშვეობით, შინ თუ სამსახურში უნდა ხდებოდეს ტოლერანტობის დამკვიდრება და ღიაობის, ერთმანეთის აზრების მოსმენის და სოლიდარობის განმტკიცება. მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებს აქვთ შესაძლებლობა, კონსტრუქციული როლი შეასრულონ თავისუფალი და ღია დიალოგისა და დისკუსიის ხელშეწყობაში – მათ შეუძლიათ საზოგადოებაში გაავრცელონ ტოლერანტობის ფასეულობები და ყურადღება გაამახვილონ იმ საფრთხეებზე, რომლებიც თან სდევს გულგრილობას შეუწყნარებლობის მქადაგებელი მომძლავრებული ჯგუფებისა და იდეოლოგიების მიმართ.

უნდა გატარდეს ღონისძიებები, რათა ყველგან, სადაც ეს საჭიროა, უზრუნველყოფილი იქნეს ღირსებისა და უფლებების თანასწორობა ადამიანებისა და ჯგუფებისათვის. ამ თვალსაზრისით საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს დაუცველ, სოციალურად თუ ეკონომიკურად არახელსაყრელ პირობებში მყოფ ჯგუფებს, რათა მათთვის ხელმისაწვდომი იყოს სამართლებრივი და სოციალური დაცვა, კერძოდ, საცხოვრებლის, დასაქმების და ჯანმრთელობის დაცვის თვალსაზრისით, რათა უზრუნველყოფილი იქნეს მათი კულტურისა და ფასეულობების თვითმყოფადობის მიმართ პატივისცემა და მათი

სოციალური და პროფესიული წინსვლისა და ინტეგრაციის ხელშეწყობა, განსაკუთრებით განათლების მეშვეობით.

ამ გლობალურ გამოწვევაზე საერთაშორისო საზოგადოების რეაგირების კოორდინაციის მიზნით უნდა ჩატარდეს შესაბამისი სამეცნიერო კვლევები და დამყარდეს კონტაქტები, სოციალური მეცნიერებების მიერ უნდა ჩატარდეს ამ მოვლენის ძირეული მიზეზების და ქმედითი საპასუხო ზომების ანალიზი, ასევე უნდა ჩატარდეს კვლევა და მონიტორინგი წევრ სახელმწიფოთა მიერ პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისა და ნორმების შემოღების ხელშესაწყობად.

განათლება შეუწყნარებლობის თავიდან აცილების ყველაზე ქმედითი საშუალებაა. ტოლერანტობის სულისკვეთებით ადამიანებისთვის განათლების მიწოდება უპირველეს ყოვლისა გულისხმობს მათთვის იმის სწავლებას, თუ რას წარმოადგენს მათი საერთო უფლებები და თავისუფლებები, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ამ უფლებებისა და თავისუფლებების ხორცშესხმა, ასევე გულისხმობს ადამიანებში სურვილის გაღვიძებას, დაიცვან სხვა ადამიანთა უფლებები და თავისუფლებები.

ტოლერანტობის დამკვიდრების მიზნით განათლება გადაუდებელი იმპერატივის სახით უნდა იქნეს განხილული; სწორედ ამიტომ არის აუცილებელი, ხელი შეეწყოს ტოლერანტობის სწავლების სისტემატურ და რაციონალურ მეთოდებს, რომლებიც ყურადღებას გაამახვილებს შეუწყნარებლობის კულტურულ, სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და რელიგიურ წყაროებზე - ძალადობისა და ადამიანების გარიყვის ამ ძირეულ ფესვებზე. საგანმანათლებლო პოლიტიკამ და პროგრამებმა ხელი უნდა შეუწყონ ურთიერთგაგების, სოლიდარობისა და ტოლერანტობის დამკვიდრებას როგორც ცალკეულ ადამიანებს, ისე

ეთნიკურ, სოციალურ, კულტურულ, რელიგიურ და ენობრივ ჯგუფებს შორის.

ტოლერანტობასთან დაკავშირებული განათლება მიზნად უნდა ისახავდეს ისეთი ზეგავლენისთვის დაპირისპირებას, რომლებიც იწვევს შიშს და სხვა ადამიანების გარიყვას, და ხელს უნდა უწყობდეს ახალგაზრდებში დამოუკიდებელი, კრიტიკული და ზნეობრივ ნორმებზე დამყარებული აზროვნების უნარის ჩამოყალიბებას.

სახელმწიფოები იძლევიან დაპირებას, რომ მხარს დაუჭერენ და განახორციელებენ სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს სოციალურ სფეროში და ხელს შეუწყობენ ტოლერანტობის, ადამიანის უფლებების და ძალადობის უარყოფის დამკვიდრების მიზნით განათლებას. ეს გულისხმობს საგანგებო ყურადღების მიპყრობას მასწავლებელთა მომზადების, სასწავლო პროგრამების, სახელმძღვანელოებისა და გაკვეთილების შინაარსისა და სხვა სასწავლო მასალების, მათ შორის ახალი სასწავლო ტექნოლოგიების, გაუმჯობესებაზე, რაც მიზნად ისახავს ადამიანების აღზრდას მზრუნველ და პასუხისმგებლობის გრძნობით აღსავსე მოქალაქეებად, რომლებსაც აქვთ უნარი, აღიქვან სხვა კულტურები, დააფასონ თავისუფლება, პატივი სცენ ადამიანის ღირსებას და განსხვავებულობას და თავიდან აიცილონ კონფლიქტები ან გადაჭრან ისინი არაძალადობრივი საშუალებებით.
დეკლარაციის მიხედვით 16 ნოემბერი ტოლერანტობის ყოველწლიურ საერთაშორისო დღედ არის გამოცხადებული.[5]

[5] იხ. http://www.tolerantoba.ge/index.php?id=1317639567&kat=166

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია # R (97) 20 წევრი სახელმწიფოებისათვის "სიძულვილის ენის" საკითხებზე

1997 წლის 30 ოქტომბერი

მინისტრთა კომიტეტი, ევროპის საბჭოს წესდების 15.ბ მუხლის დებულებების შესაბამისად,

მიიჩნევს რა, რომ ევროპის საბჭოს მიზანია მისი წევრების ერთიანობის გაძლიერება, განსაკუთრებით იმ იდეალებისა და პრინციპების განმტკიცების და განხორციელების მიზნით, რომლებიც წარმოადგენს მათ საერთო მემკვიდრეობას; მიმართავს რა ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების მეთაურთა და მთავრობათა მიერ ვენაში 1993 წლის 9 ოქტომბერს მიღებულ დეკლარაციას;

შეახსენებს რა, რომ ვენის დეკლარაციამ გამოხატა ღრმა შეშფოთება რასიზმის, ქსენოფობიის და ანტისემიტიზმის ამჟამინდელი აღორძინების, აგრეთვე შეუწყნარებლობის ატმოსფეროს განვითარების მიმართ, რომ მასში შევიდა ვალდებულება – ებრძოლონ ყველა იდეოლოგიას, პოლიტიკურ განწყობას და პრაქტიკულ მეთოდს, რომლებიც წარმოადგენს რასობრივი სიძულვილის, ძალადობის და დისკრიმინაციის გაღვივებას, აგრეთვე ნებისმიერ ქმედებებს და გამოთქმებს, რომლებსაც შეუძლია გააძლიეროს შიში და დაძაბულობა მოსახლეობის სხვადასხვა რასობრივი, ეთნიკური, ეროვნული, რელიგიური ან სოციალური ფესვების მქონე ჯგუფებს შორის;

ადასტურებს რა, თვითგამოხატვის და ინფორმაციის თავისუფლების პრინციპების მტკიცე ერთგულებას 1982 წლის 29 აპრილის თვითგამოხატვის და ინფორმაციის თავისუფლების დეკლარაციის შესაბამისად;

გმობს რა, იმ სულისკვეთებით, რომელიც გადმოცემულია ვენის დეკლარაციაში და დემოკრატიულ საზოგადოებაში მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სფეროში პოლიტიკის საკითხებზე მინისტრთა დონეზე ჩატარებულ მე-4 ევროპულ კონფერენციაზე (პრაღა, 1994 წლის 7-8 დეკემბერი) მიღებულ დეკლარაციაში, თვითგამოხატვის ყველა ფორმას, რომელიც აღვივებს რასობრივ სიძულვილს, ქსენოფობიას, ანტისემიტიზმს და ყველა ფორმის შეუწყნარებლობას, რადგან ისინი ძირს უთხრის დემოკრატიის უსაფრთხოებას, კულტურულ ერთიანობას და პლურალიზმს;

აღნიშნავს რა, რომ თვითგამოხატვის ასეთ ფორმებს შეიძლება ჰქონდეს უფრო ძლიერი და დამანგრეველი მოქმედება მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამოყენების შემთხვევაში;

გამოხატავს რა რწმენას, რომ თვითგამოხატვის ასეთი ფორმების წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობა კიდევ უფრო მეტად არის გამოკვეთილი დაძაბულობის ვითარებებში, აგრეთვე ომის და სხვა სახის შეიარაღებული კონფლიქტების დროს; გამოხატავს რა რწმენას, რომ წევრი სახელმწიფოების მთავრობებისათვის აუცილებელია იმ ფუძემდებლური პრინციპების შემუშავება, რომლებიც ეხება თვითგამოხატვის ასეთი ფორმების წინააღმდეგ ბრძოლის წარმოებას, ამასთან აღიარებს რა, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების უმეტესობას თვითგამოხატვის ასეთი ფორმები არ შეიძლება ბრალად წაეყენოს;

გულისხმობს რა, ტრანსსასაზღვრო ტელევიზიის შესახებ ევროპული კონვენციის მე-7 მუხლის პირველ ნაწილს, აგრეთვე იმ ორგანოების პრეცენდენტულ უფლებებს, რომლებიც შეიქმნა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შესაბამისად, კონვენციის მე-10 და მე-17 მუხლების იმპლემენტაციისათვის;

იმოწმებს რა, გაეროს კონვენციას რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ და მინისტრთა კომიტეტის (68) 30

რეზოლუციას იმ ღონისძიებათა მიმართ, რომლებიც უნდა გატარდეს რასობრივი, ეროვნული და რელიგიური სიძულვილის გაღვივების აღმოფხვრის მიზნით; აღნიშნავს რა, რომ წევრ ყველა სახელმწიფოს არ მოუწერია ხელი ამ კონვენციისათვის და არ მოუხდენია მისი რატიფიცირება, მიიღოს შესაბამისი ზომები ეროვნულ კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებების შეტანის გზით.

დარწმუნებულია რა, რომ რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ბრძოლა შეთავსებული უნდა იყოს თვითგამოხატვის თავისუფლების დაცვასთან, რათა თავიდან ავიცილოთ დემოკრატიის შელახვის საფრთხე;

დარწმუნებულია რა აგრეთვე, რომ აუცილებელია მასობრივი ინფორმაციის საშუალებების სარედაქციო დამოუკიდებლობის და ავტონომიის სრული პატივისცემა.

რეკომენდაციას აძლევს წევრი სახელმწიფოების მთავრობებს:

(1) გაატარონ სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლის შესაბამისი ღონისძიებები ამ რეკომენდაციაში ჩადებული პრინციპების საფუძველზე;

(2) უზრუნველყონ ისეთი ვითარება, როდესაც ასეთი ღონისძიებები იქნება ამ მოვლენისადმი კომპლექსური მიდგომის შემადგენელი ნაწილი და შეეხება აგრეთვე მის ეკონომიკურ, პოლიტიკურ, კულტურულ და სხვა მიზეზებს და ფესვებს;

(3) თუ ასეთი რამ ჯერ არ შესრულებულა – ხელი მოაწერონ გაეროს კონვენციას რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, მოახდინონ მისი რატიფიკაცია და ეფექტურად განახორციელონ ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში შესაბამისად მინისტრთა კომიტეტის (68) 30 რეზოლუციისა, ის ღონისძიებები რომლებიც უნდა გატარდეს რასობრივი, ეროვნული და რელიგიური სიძულვილის გაღვივების აღმოსაფხვრელად;

(4) გადასინჯონ ეროვნული კანონმდებლობა და პრაქტიკული მიდგომები ამ რეკომენდაციების დანართში გადმოცემულ პრინციპებთან მათი შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.

წევრი სახელმწიფოებისათვის "სიძულვილის ენის" საკითხებზე ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის №R (97) 20 რეკომენდაციის დანართი

მიზნები

ქვემოთ მოცემულ ტექსტში შემოთავაზებული პრინციპები გამოიყენება სიძულვილის ენის შემთხვევებისათვის, უპირველეს ყოვლისა – მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით სიძულვილის ენის შემთხვევებისათვის. აღნიშნული პრინციპების გამოყენების მიზნით ტერმინი "სიძულვილის ენა" არის თვითგამოხატვის ყველა ფორმის მომცველი ცნება, რომელშიც შედის შეუწყნარებლობაზე დაფუძნებული რასობრივი სიძულვილის, ქსენოფობიის, ანტისემიტიზმის და სიძულვილის სხვა სახეების გავრცელება, გამოწვევა, ხელშეწყობა ან გამართლება, მათ შორის შეუწყნარებლობაზე, რომელიც გამოხატულია აგრესიული ნაციონალიზმით და ეთნოცენტრიზმით, დისკრიმინაციით და უმცირესობების, მიგრანტების და ემიგრანტული ფესვების მქონე პირთა მიმართ მტრული დამოკიდებულებით.

პრინციპი 1. წევრი სახელმწიფოების მთავრობებს, ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი დონეების ხელისუფლების ორგანოებს და სახელმწიფო დაწესებულებებს, აგრეთვე ოფიციალურ პირებს ეკისრებათ განცხადებების გაკეთებისაგან თავის შეკავების განსაკუთრებული პასუხისმგებლობა, განსაკუთრებით მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან, რომლებიც შეიძლება დასაბუთებულად იქნას აღქმული როგორც სიძულვილის ენა ან როგორც გამოთქმები, რომლებსაც შეუძლია იმოქმედოს შეუწყნარებლობის საფუძველზე

რასობრივი სიძულვილის, ქსენოფობიის, ანტისემიტიზმისა და სხვა დისკრიმინაციის ან სიძულვილის სხვა ფორმების დაკანონების, გავრცელების ან ხელშეწყობის სასარგებლოდ. ამგვარი განცხადებები უნდა აიკრძალოს და საჯაროდ იქნას დაგმობილი მათი ჩადენის ყველა შემთხვევაში.

პრინციპი 2. წევრი სახელმწიფოების მთავრობებმა უნდა შექმნან ან შეინარჩუნონ ქმედითი სამართლებრივი სისტემები, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება სამოქალაქო, სისხლის და ადმინისტრაციული სამართლის დებულებები სიძულვილის ენის მიმართ, რაც ადმინისტრაციულ და სასამართლო ორგანოებს საშუალებას მისცემს ყველა შემთხვევაში შეათავსონ თვითგამოხატვის თავისუფლების პრინციპისა და ადამიანის ღირსების პატივისცემა და სხვა პირთა რეპუტაციის ან უფლებების დაცვა. ამ მიზნით წევრ სახელმწიფოთა მთავრობებმა უნდა შეისწავლონ, თუ რამდენად არის შესაძლებელი და რა საშუალებებით შეიძლება: - კანონმდებლობის და სამართლებრივი პრაქტიკის ეფექტურობის ანალიზის დარგში კვლევების ხელშეწყობა და კოორდინირება; - არსებული სამართლებრივი სისტემის გადასინჯვა, რათა ის ეფექტურად იქნას გამოყენებული სხვადასხვა ახალი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების და კავშირგაბმულობის საშუალებების და ქსელების მიმართ; - კოორდინირებული პოლიტიკის შემუშავება სამართლებრივი დევნის სფეროში ეროვნული ფუძემდებლური განწყობების საფუძველზე, რომლებშიც გამოხატული იქნება ამ რეკომენდაციით შეთავაზებული პრინციპების პატივისცემა; - სხვადასხვა შესაძლო სანქციებში საზოგადოებივი სამუშაოების დამატება; - სიძულვილის გაღვივებასთან ბრძოლის შესაძლებლობების გაფართოება სამოქალაქო სამართლის საშუალებებით, მაგალითად, დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის იმის საშუალების მიცემა, რომ შეიტანონ სამოქალაქო სარჩელები სიძულვილის ენის მსხვერპლთათვის ზარალის ანაზღაურების მიზნით, აგრეთვე სასამართლოს მიერ ისეთი

განკარგულებების გამოცემის შესაძლებლობა, რომლებიც მსხვერპლს ანიჭებს პასუხის გაცემის ან უარყოფის უფლებას; - საზოგადოებრიობისათვის და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მუშაკებისათვის სიძულვილის ენის მიმართ არსებული სამართლებრივი ნორმების შესახებ ცნობების მიწოდება.

პრინციპი 3. წევრი სახელმწიფოების მთავრობებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მე-2 პრინციპში აღნიშნული სამართლებრივი სისტემის ფარგლებში თავისუფლების განხორციელების შეფერხებები მკაცრად იყოს შეზღუდული და გამოყენებული იყოს კანონიერად და მიუკერძოებლად, ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე. უფრო მეტიც, სამართლის უზენაესობის ფუძემდებლური მოთხოვნების შესაბამისად, თვითგამოხატვის თავისუფლების განხორციელებაში ნებისმიერ შეზღუდვებს ან შეფერხებებს დაწესებული უნდა ჰქონდეს დამოუკიდებელი სასამართლო ზედამხედველობა. ეს მოთხოვნა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ შემთხვევებში, როდესაც თვითგამოხატვის თავისუფლების პრინციპი შეთავსებული უნდა იყოს ადამიანის ღირსების პატივისცემასთან და სხვა პირთა რეპუტაციის ან უფლებების დაცვასთან.

პრინციპი 4. ეროვნულმა სამართალმა და სასამართლო პრაქტიკამ სასამართლოებს უნდა მისცეს იმის გათვალისწინების საშუალება, რომ სიძულვილის ენის ცალკეული შემთხვევები შეიძლება ისეთი შეურაცხმყოფელი იყოს ცალკეული პირებისათვის და მოსახლეობის ჯგუფებისათვის, რომ გასცდეს სამართლებრივი დაცვის ფარგლებს, რომელსაც ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი თვითგამოხატვის სხვა ფორმების მიმართ. ეს სწორედ ის შემთხვევა იქნება, სადაც სიძულვილის ენა ლახავს კონვენციაში ჩადებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, ან ზღუდავს მათ უფრო მეტად, ვიდრე ეს კონვენციით არის გათვალისწინებული.

პრინციპი 5. ეროვნულმა სამართალმა და სასამართლო პრაქტიკამ უნდა მისცეს პროკურატურის უფლებამოსილ ორგანოებს იმის საშუალება, რომ თავისი უფლებამოსილების ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სიძულვილის ენასთან დაკავშირებულ საქმეებს. ამ თვალსაზრისით აღნიშნულმა ორგანოებმა უპირატესი მნიშვნელობა უნდა მიანიჭონ ეჭვმიტანილის თვითგამოხატვის უფლებასთან დაკავშირებული ფაქტორების დეტალურ განხილვას, იმის გათვალისწინებით, რომ სისხლისსამართლებრივი სასჯელის მისჯა აღნიშნული თავისუფლების სერიოზული დარღვევაა. სიძულვილის ენის დანაშაულის ჩადენისთვის მსჯავრდებული პირებისათვის სისხლისსამართლებრივი სასჯელის მისჯის დროს უფლებამოსილმა სასამართლოებმა უნდა უზრუნველყონ მისი პროპორციულობის პრინციპის მკაცრი დაცვა.

პრინციპი 6. ეროვნულმა სამართალმა და სასამართლო პრაქტიკამ სიძულვილის გაღვივების მიმართ უნდა გაითვალისწინოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების როლი იმ ცნობების და იდეების გადაცემაში, რომლებიც გამოავლენს, შეისწავლის და ახსნის სიძულვილის ენის კონკრეტულ შემთხვევებს და ზოგადად მათ ფუძემდებლურ მიზეზებს, აგრეთვე ის, რომ საზოგადოებრიობას აქვს ასეთი ცნობების და იდეების მიღების უფლება. ამ თვალსაზრისით, ეროვნულმა სამართალმა და სასამართლო პრაქტიკამ მკაფიოდ უნდა გამიჯნოს, ერთი მხრივ, სიძულვილის ენის ინფორმაციის ავტორის პასუხისმგებლობა და, მეორე მხრივ, იმ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მუშაკების ნებისმიერი პასუხისმგებლობა, რომლებიც თავისი ამოცანების შესაბამისად მონაწილეობენ მის გავრცელებაში და გადასცემენ საზოგადოებისათვის საინტერესო ინფორმაციებს და იდეებს.

პრინციპი 7. მე-6 პრინციპის განხორციელების მიზნით ეროვნულმა სამართალმა და სასამართლო პრაქტიკამ უნდა გაითვალისწინოს, რომ: - რასიზმის, ქსენოფობიის, ანტისემიტიზმისა და შეუწყნარებლობის სხვა

ფორმების ჟურნალისტური გაშუქება მთლიანად არის დაცული ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის 1-ლი ნაწილით და ის შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ ამ მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშნული პირობების შესაბამისად; - სტანდარტები, რომლებსაც იყენებენ სახელმწიფო ხელისუფლების ეროვნული ორგანოები თვითგამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის აუცილებლობის შეფასების მიმართ, უნდა შეესაბამებოდეს მე-10 მუხლში გადმოცემულ პრინციპებს, აგრეთვე კონვენციის ორგანოების პრეცენდენტულ სამართალს და სხვა საკითხებთან ერთად უნდა ითვალისწინებდეს ჟურნალისტური საქმიანობის ხასიათს, შინაარსს და მიზნებს; - ჟურნალისტური თავისუფლებების პატივისცემა გულისხმობს აგრეთვე, რომ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები და სასამართლოები არ უნდა ახვევდნენ თავს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს თავის შეხედულებებს იმის შესახებ, თუ როგორი მეთოდებით უნდა განახორციელონ ჟურნალისტებმა პროფესიული საქმიანობა.[6]

ევროპის საბჭოს ფარგლებში კიდევ ერთ მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს 2003 წლის 28 იანვარს კიბერდანაშაულის შესახებ კონვენციის დამატებითი ოქმის მიღება, კომპიუტერული სისტემების მეშვეობით ჩადენილი რასისტული და ქსენოფობიური ხასიათის ქმედებების კრიმინალიზაციასთან დაკავშირებით.

[6] https://www.coe.int/en/web/freedom-expression/committee-of-ministers-adopted-texts/-/asset_publisher/aDXmrol0vvsU/content/recommendation-no-r-97-20-of-the-committee-of-ministers-to-member-states-on-hate-speech-?_101_INSTANCE_aDXmrol0vvsU_viewMode=view/

კიბერდანაშაულის შესახებ კონვენციის დამატებითი ოქმი, რომელიც ეხება კომპიუტერული სისტემების საშუალებით განხორციელებული რასისტული და ქსენოფობიური ხასიათის ქმედებების კრიმინალიზაციას

(ამონარიდები)

2003 წლის 28 იანვარი

ამ ოქმის მიზანია მხარეების მიერ კიბერდანაშაულის შესახებ კონვენციის დებულებათა ოქმში დამატებების შეტანა. ოქმი გახსნილია ხელმოსაწერად ბუდაპეშტში 2001 წლის 23 ნოემბერს (შემდგომში წოდებული "კონვენცია"). იგი ეხება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შემოღებას რასიზმის და ქსენოფობიის გამოვლენასთან დაკავშირებულ და კომპიუტერული სისტემების საშუალებით ჩადენილი სამართალდარღვევებისათვის.

ამ ოქმის მიზნებისათვის: „რასისტული და ქსენოფობიური მასალები" ნიშნავს ნებისმიერ წერილობით მასალას, ნებისმიერ გამოსახულებას ან იდეების ან თეორიების ნებისმიერ სხვა წარმოდგენას, რომლებიც პროპაგანდას უწევს, ხელს უწყობს ან აღვივებს სიძულვილს, დისკრიმინაციას ან ძალადობას ნებისმიერი პირის ან პირთა ჯგუფის წინააღმდეგ, თუ ამის საბაბად გამოიყენება რასაზე, კანის ფერზე, ეროვნულ ან ეთნიკურ წარმომავლობაზე, აგრეთვე რელიგიაზე დაფუძნებული ფაქტორები.

ამ ოქმში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები განიმარტება ისევე, როგორც განმარტებულია კონვენციაში.

რასისტული და ქსენოფობიური მასალების გავრცელება კომპიუტერული სისტემებით.

1) თითოეული მხარე გაატარებს ისეთ სამართლებრივ და სხვა

ღონისძიებებს, რომლებიც შეიძლება საჭირო გახდეს იმისათვის, რომ შიდა სამართლის შესაბამისად, როცა ეს კეთდება განზრახ და კანონდარღვევით, სისხლის სამართლის დანაშაულად იქნას მიჩნეული შემდეგი ქმედება: რასისტული და ქსენოფობიური მასალის გავრცელება ან მისი თავისუფალი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა კომპიუტერული სისტემების საშუალებით;

ბ) მხარეს შეუძლია დაიტოვოს უფლება არ დააწესოს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ,,ა,, პუნქტში აღნიშნული ქმედებებისათვის, თუ მასალა პროპაგანდას უწევს, ხელს უწყობს ან აქეზებს დისკრიმინაციას, რაც არ უკავშირდება სიძულვილს ან ძალადობას, იმ პირობით, რომ ხელმისაწვდომია დაცვის სხვა ეფექტური საშუალებები;

გ) ,,ბ,, პუნქტის მიუხედავად მხარეს შეუძლია დაიტოვოს უფლება არ გამოიყენოს ,,ა,, პუნქტი დისკრიმინაციის იმ შემთხვევებში, როცა მას იმ პრინციპების გამო, რომლებიც დადგენილია თავის ეროვნულ სასამართლო სისტემაში აზრის გამოხატვის თავისუფლების დაცვისათვის, არ შეუძლია უზრუნველყოს ,,ბ,, პუნქტში აღნიშნული დაცვის საშუალებები.

მუქარა რასიზმისა და ქსენოფობიური მოტივებით.

თითოეული მხარე გაატარებს ისეთ საკანონმდებლო და სხვა ღონისძიებებს, რომლებიც შეიძლება საჭირო გახდეს იმისათვის, რათა მან თავისი შიდა სამართლის შესაბამისად, როცა ეს კეთდება განზრახ და კანონდარღვევით, სისხლის სამართლის დანაშაულად მიიჩნიოს შემდეგი ქმედება:

კომპიუტერული სისტემის საშუალებით სისხლის სამართლის სერიოზული დანაშაულის ჩადენის მუქარა, როგორც განსაზღვრულია მისი ეროვნული სამართლით, ა) პირების მიმართ იმის გამო, რომ ისინი ეკუთვნიან რასით, კანის ფერით, ეროვნული ან ეთნიკური

წარმომავლობით, აგრეთვე რელიგიით განსხვავებულ ჯგუფს, ან ბ) პირთა ჯგუფის მიმართ ამ ფაქტორების გათვალისწინებით.

შეურაცხყოფა რასიზმისა და ქსენოფობიური მოტივებით.

1. თითოეული მხარე გაატარებს ისეთ სამართლებრივ და სხვა ღონისძიებებს, რომლებიც შეიძლება საჭირო გახდეს იმისათვის, რათა მან თავისი ეროვნული სამართლის შესაბამისად, როცა ეს კეთდება განზრახ და კანონდარღვევით, სისხლის სამართლის დანაშაულად მიიჩნიოს შემდეგი ქმედება: კომპიუტერული სისტემის საშუალებით საჯარო შეურაცხყოფა ა) პირების მიმართ იმის გამო, რომ ისინი ეკუთვნიან რასით, კანის ფერით, ეროვნული ან ეთნიკური წარმომავლობით, აგრეთვე რელიგიით განსხვავებულ ჯგუფს, ან ბ) პირთა ჯგუფის მიმართ ამ ფაქტორების გათვალისწინებით.
2. მხარეს შეუძლია:

ა)მოითხოვოს, რომ ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულმა დანაშაულმა გამოიწვია ის, რომ პირველ პუნქტში მოხსენიებული პირები ან პირთა ჯგუფები გახდნენ სიძულვილის, ზიზღის ან დაცინვის ობიექტები;

ბ) ან დაიტოვოს უფლება სრულად ან ნაწილობრივ არ გამოიყენოს ამ მუხლის პირველი პუნქტი.

გენოციდის ან ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის უარყოფა, მნიშვნელოვანი მინიმალიზაცია, მოწონება ან გამართლება.

1)თითოეული მხარე გაატარებს ისეთ სამართლებრივ და სხვა ღონისძიებებს, რომლებიც შეიძლება საჭირო გახდეს იმისათვის, რათა მან თავისი ეროვნული სამართლის შესაბამისად, როცა ეს კეთდება განზრახ და კანონდარღვევით, სისხლის სამართლის დანაშაულად მიიჩნიოს შემდეგი ქმედება:

კომპიუტერული სისტემის საშუალებით ისეთი მასალის გავრცელება ან თავისუფალი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, რომელიც მთლიანად უარყოფს ან ძალზე აკნინებს უარყოფით შედეგებს, იწონებს ან ამართლებს ისეთ ქმედებებს, რომლებიც წარმოადგენს გენოციდს ან დანაშაულს კაცობრიობის წინააღმდეგ, როგორც განსაზღვრულია საერთაშორისო სამართლით და როგორც ეს აღიარებულია საბოლოოდ და სავალდებულოდ ლონდონის 1945 წლის 8 აგვისტოს შეთანხმების შესაბამისად შექმნილი საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის გადაწყვეტილებებით, ან შესაბამისი საერთაშორისო დოკუმენტების თანახმად შექმნილი ნებისმიერი სხვა საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებებით, რომელთა იურისდიქცია აღიარებულია მხარეთა მიერ.

2)მხარეს შეუძლია:

ა. მოითხოვოს, რომ უარყოფა, ან უარყოფითი შედეგების ძალზე მინიმალიზაცია, რაც მოხსენიებულია პირველ პუნქტში, ჩადენილია ნებისმიერი პირის ან პირთა ჯგუფის წინააღმდეგ სიძულვილის, დისკრიმინაციის ან ძალადობის წაქეზების განზრახვით, თუ ამის საბაბად გამოყენებულია რასაზე, კანის ფერზე, ეროვნულ ან ეთნიკურ წარმომავლობაზე, აგრეთვე რელიგიაზე დაფუძნებული ფაქტორები;

ბ. ან დაიტოვოს უფლება სრულად ან ნაწილობრივ არ გამოიყენოს ამ პირველი პუნქტი.

თითოეული მხარე გაატარებს ისეთ სამართლებრივ და სხვა ღონისძიებებს, რომლებიც შეიძლება საჭირო გახდეს იმისათვის, რათა მან თავისი ეროვნული სამართლის შესაბამისად, როცა ეს კეთდება განზრახ და კანონდარღვევით, სისხლის სამართლის დანაშაულად მიიჩნიოს დანაშაულთა ჩადენის ხელშეწყობა ან წაქეზება ასეთი დანაშაულის ჩადენის განზრახვით.[7]

[7]სრული ტექსტი იხ. https://rm.coe.int/16800d37ae

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები

„დინკი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ „

საქმეზე დადგინდა, რომ ხელისუფლებამ ვერ შეასრულა საკუთარი ვალდებულება, დაეცვა ჟურნალისტის - ფირატ (ჰრანტ) დინკის სიცოცხლე და გამოხატვის თავისუფლება.
დადგინდა ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება) დარღვევა, მე-10 მუხლის (გამოხატვის თავისუფლება) დარღვევა და მე-13 მუხლის (სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლება) დარღვევა მე-2 მუხლთან მიმართებით.
ძირითადი ფაქტები: საქმეზე განმცხადებელია თურქეთის 6 მოქალაქე: ფირატ დინკი, რომელიც ცნობილი იყო ჰრანტ დინკის ფსევდონიმით, მისი ცოლი რაჰილ დინკი, ძმა ჰასროფ დინკი და ფირატ და რაჰილ დინკების სამი შვილი - დელალ დინკი, არატ დინკი და სერა დინკი. ფირატ დინკი მოკლეს 2007 წლის 19 იანვარს. დანარჩენი განმცხადებლები ცხოვრობენ ქ. სტამბულში. ფირატ დინკი, სომხური წარმოშობის თურქი ჟურნალისტი, თურქულ-სომხური ორენოვანი ყოველკვირეული გაზეთის (*Agos*) გამომცემელი და მთავარი რედაქტორი იყო. გაზეთი გამოდის ქ. სტამბულში 1996 წლიდან.
2003 წლის ნოემბრიდან 2004 წლის თებერვლამდე ფირატ დინკმა 8 სტატია დაბეჭდა ,,აგოსში'', სადაც გამოხატა საკუთარი მოსაზრებები სომხური წარმოშობის თურქეთის მოქალაქეების იდენტობის შესახებ. კერძოდ, მე-6 და მე-7 სტატიებში აღნიშნულია, რომ სომხების აკვიატებული იდეა, აღიარონ ისინი გენოციდის მსხვერპლად, გახდა მათი ცხოვრების აზრი, ამ მოვლენის მიმართ თურქი ხალხის ინდიფერენტულობა კი ხსნის, თუ რატომ რჩება სომხების მიერ გადატანილი ტრავმა აქტუალურ საკითხად. მისი აზრით, თურქული ფაქტორი სომხურ იდენტობაში იყო როგორც საწამლავი, ასევე

ანტიდოტი. სომხური იდენტობა კი უნდა შეგუებოდა თურქულ ფაქტორს ამ ორი გზიდან ერთ-ერთის საშუალებით. ,,ან თურქმა ხალხმა უნდა გამოხატოს სომხების მიმართ თანაგრძნობა - წერდა ჟურნალისტი - რაც რთული მისაღწევი იქნება მოკლე დროის განმავლობაში ან სომხები უნდა შეეგუონ თურქულ ფაქტორს და 1915 წლის მოვლენების იმგვარ ინტერპრეტაციას, რომელიც არ ემთხვევა მსოფლიოს და თურქი ხალხის მიერ აღიარებულ რეალობას.

ავტორი მე-8 სტატიაშიც აგრძელებს წინა სტატიებში წამოჭრილ თემას და მის სათანადო არგუმენტაციას, სადაც ვკითხულობთ: "გაწმენდილი სისხლი, რომელიც შეცვლის ,,თურქის'' მიერ მოწამლულ სისხლს, შესაძლოა, აღმოჩნდეს კეთილშობილ ვენაში, რომელიც დააკავშირებს სომხებს სომხეთთან იმ პირობით, რომ სომხებს ეს გააზრებული აქვთ". დინკი ფიქრობდა, რომ სომხეთის ხელისუფლებას უფრო აქტიურად უნდა ემოქმედა ქვეყნის დიასპორასთან კავშირის გასაძლიერებლად, რაც ჯანსაღი ეროვნული იდენტობის საფუძველი იქნებოდა. მან შემდგომში გამოაქვეყნა სტატია, სადაც მოიხსენია ათათურქის ნაშვილები ქალიშვილის სომხური წარმოშობა. ექტრემისტულმა ნაციონალისტურმა ჯგუფებმა ამ სტატიებს დემონსტრაციებით და მუქარის შემცველი წერილებით უპასუხეს.

2004 წლის თებერვალში ნაციონალისტებმა საჩივარი შეიტანეს ფირატ დინკის წინააღმდეგ. ისინი ამტკიცებდნენ, რომ მან შეურაცხყოფა მიაყენა თურქ ხალხს შემდეგი ფრაზით: ,,გაწმენდილი სისხლი, რომელიც შეცვლის ,,თურქის'' მიერ მოწამლულ სისხლს, შესაძლოა, აღმოჩნდეს კეთილშობილ ვენაში, რომელიც დააკავშირებს სომხებს სომხეთთან''. 2004 წლის აპრილში სტამბულის პროკურატურამ აღძრა სისხლის სამართლის საქმე ფირატ დინკის წინააღმდეგ თურქეთის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად, რომლის მიხედვითაც, ,,თურქული იდენტობის'' შეურაცხყოფა დანაშაულია. 2005 წლის მაისში ექსპერტის ანგარიშის საფუძველზე გაკეთდა დასკვნა, რომ დინკის ზემოაღნიშნული ფრაზა არ იყო ცილისმწამებლური ან შეურაცხმყოფელი, რადგან ,,მოწამლულ სისხლში'' იგულისხმება არა

თურქული სისხლი, არამედ სომხების აკვიატებული იდეა, რომ 1915 წლის მოვლენები აღიარებულ იქნეს გენოციდად.

2005 წლის ოქტომბერში სტამბულის სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლომ დინკი დამნაშავედ ცნო თურქული იდენტობის ცილისწამებისთვის და მიუსაჯა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა სასჯელის გადავადებით, მიიჩნია რა, რომ მოსალოდნელი არ იყო, საზოგადოება გასცნობოდა ყველა სტატიას და სრულად ჩასწვდომოდა მათ არსს.

2006 წლის 1 მაისს საკასაციო სასამართლომ (სისხლის სამართლის მე-9 განყოფილება) ასევე გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა. 2006 წლის 6 ივნისს საკასაციო სასამართლოს მთავარმა სახელმწიფო საბჭომ მიიღო არაორდინარული მიმართვა, სადაც აცხადებდა, რომ დინკის მოსაზრება არასწორად იყო გაგებული და დაცული უნდა ყოფილიყო მისი აზრის თავისუფლად გამოხატვის უფლება. 2007 წლის 12 მაისს სისხლის სამართლის სასამართლომ, სადაც დაბრუნდა საქმე, შეწყვიტა საქმის წარმოება ფირატ დინკის გარდაცვალების გამო.

ფირატ დინკი მოკლეს თავში ნასროლი სამი ტყვიით. დანაშაულში ეჭვმიტანილი დააკავეს ქ. სამსუნში (თურქეთი). 2007 წლის აპრილში სტამბულის პროკურატურამ აღძრა სისხლის სამართლის საქმე 18 ბრალდებულის მიმართ.

2007 წლის თებერვალში შინაგან საქმეთა სამინისტრომ და ჟანდარმერიამ დაიწყეს გამოძიება იმის დასადგენად, ქ. ტრაპიზონის ჟანდარმერიამ გულგრილობა გამოიჩინა თუ ვერ შეასრულა თავისი მოვალეობა მკვლელობის თავიდან ასაცილებლად მაშინ, როდესაც ინფორმატორი ირწმუნებოდა, რომ მან გააფრთხილა ჟანდარმერიის ორი ოფიცერი განზრახული დანაშაულის შესახებ. ჟანდარმები უარყოფდნენ მათი გაფრთხილების ფაქტს. ტრაპიზონის პროვინციის გუბერნატორის ადმინისტრაციამ გასცა ნებართვა, აღძრულიყო სისხლის სამართლის საქმე ამ ორი ოფიცრის და არა მათი ზემდგომი პირების წიანააღმდეგ. მათ საბოლოოდ აღიარეს, რომ ინფორმატორმა გააფრთხილა ისინი შესაძლო მკვლელობის შესახებ, რაც აცნობეს ზემდგომ ოფიცრებს,

რომლებიც პასუხისმგებელნი იყვნენ, ემოქმედათ მიღებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით. შემდგომში მათ ისიც აღიარეს, რომ ზემდგომმა პირებმა უბრძანეს, გამოძიების პროცესში უარეყოთ ინფორმაციის წინასწარ მიღების ფაქტი.

ქ. სტამბულის პროკურატურამ მოსთხოვა ქ. ტრაპიზონის სახელმწიფო პროკურორს, დაეწყო სამართალწარმოება ქ. ტრაპიზონის პოლიციის წინააღმდეგ იმის საფუძველზე, რომ ერთ-ერთმა ბრალდებულმა, რომელიც მათი ინფორმატორი იყო, მიაწოდა ინფორმაცია მკვლელობის სამზადისის შესახებ, ქ. ტრაპიზონის პოლიციის ხელმძღვანელობამ კი არაფერი მოიმოქმედა, რათა ჩაეშალა ეს გეგმა და შემოიფარგლა ქ. სტამბულის პოლიციისთვის სავარაუდო მკვლელობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებით. ქ. სტამბულის სახელმწიფო პროკურორმა აღნიშნა, რომქ. ტრაპიზონის პოლიციის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ღიად დაუჭირა მხარი ექსტრემისტი ნაციონალისტების შეხედულებებს და ბრალდებულებს. 2008 წლის 10 იანვარს ქ. ტრაპიზონის პროკურატურამ მიიღო გადაწყვეტილება, შეეწყვიტათ გამოძიება ქ. ტრაპიზონის პოლიციის წინააღმდეგ იმ მოტივით, რომ ქ. სტამბულის პროკურატურის ბრალდება ეფუძნებოდა ერთ-ერთი ბრალდებულის ჩვენებას, რომელიც შემდეგ უარყოფილ იქნა. პროკურატურის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა არგუმენტიც, რომ ქ. ტრაპიზონის პოლიციამ მიღებული ინფორმაცია სარწმუნოდ არ მიიჩნია. პოლიციის ხელმძღვანელი კი რომელიც ეჭვმიტანილი იყო ბრალდებულების მხარდაჭერაში, უარყოფდა მის ბრალდებას. ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ განმცხადებლების მიერ წარდგენილი სარჩელი უარყოფილ იქნა.

ქ. სტამბულის სახელმწიფო პროკურატურის გამოძიებამ დაადასტურა, რომ 2006 წლის 17 თებერვალს ქ. ტრაპიზონის პოლიციამ ქ. სტამბულის პოლიციას ოფიციალურად მიაწოდა ინფორმაცია ფირატ დინკის სავარაუდო მკვლელობის შესახებ და მოახდინა ეჭვმიტანილების იდენტიფიცირება, ქ. სტამბულის პოლიციის მხრიდან კი ამ ინფორმაციაზე რეაგირება არ მომხდარა. მათ უმოქმედობაზე

წარმოებული 3 გამოძიების დასკვნების საფუძველზე, ქ. სტამბულის პროვინციის გუბერნატორის ადმინისტრაციის მმართველმა საბჭომ გადაწყვიტა ქ. სტამბულის პოლიციის რამდენიმე ხელმძღვანელი პირის წინააღმდეგ გულგრილობის ბრალდებით სისხლის სამართლის საქმის წარმოების დაწყება, თუმცა სტამბულის რეგიონულმა ადმინისტრაციულმა სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ეს გადაწყვეტილება იმის საფუძველზე, რომ წარმოებული გამოძიებები არ იყო ადეკვატური.

ბოლოს, განმცხადებლების მიერ სარჩელის წარდგენის შემდეგ, ქ. სამსუნის პოლიციისა და ჟანდარმერიის წარმომადგენლების წინააღმდეგ დაიწყო გამოძიება დანაშაულის მხარდაჭერის ბრალდებით. მაშინ, როდესაც დანაშაულში ეჭვმიტანილი დაკავებული იყო, პირებმა, რომელთა წინააღმდეგაც მიმდინარეობდა გამოძიება, გადაიღეს ფოტო ეჭვმიტანილთან, რომელსაც ხელში ქ. თურქეთის დროშა ეჭირა. სურათზე მათ უკან, კედელზე გამოსახული იყო წარწერა - "ჩვენი ქვეყანა წმინდაა - მისი მომავალი შემთხვევითობაზე არ უნდა იყოს დამოკიდებული". 2007 წლის ივნისში სამსუნის სახელმწიფო პროკურატურამ მიიღო ეჭვმიტანილი ოფიცრების წინააღმდეგ სამართალწარმოების შეჩერების გადაწყვეტილება, ჩათვალა რა, რომ დანაშაულის მხარდაჭერა დანაშაული იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ ეს საჯაროდ მოხდებოდა. ამ ოფიცრების მიმართ განხორციელდა მხოლოდ დისციპლინური ზომები.

განმცხადებლებმა წარადგინეს სარჩელი, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფომ ვერ შესძლო მისი მოვალეობის - ფირატ დინკის სიცოცხლის დაცვის ვალდებულების შესრულება. ამავე დებულების მე-13 მუხლის საფუძველზე ისინი ამტკიცებდნენ, რომ იმ სახელმწიფო მოხელეების წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმის წარმოება, რომელთაც ვერ შეძლეს ჟურნალისტის სიცოცხლის დაცვა, არაეფექტიანი იყო. მე-10 მუხლის საფუძველზე ისინი ასევე ასაბუთებდნენ, რომ ფირატ დინკის დამნაშავედ ცნობამ ,,თურქული

იდენტობის'' შეურაცხყოფისთვის დაარღვია მისი აზრის გამოხატვის თავისუფლება და გახადა იგი ნაციონალ-ექსტრემისტების სამიზნე.
პირველი განაცხადი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს წარედგინა 2007 წლის 11 იანვარს თვით ფირატ დინკის მიერ. დანარჩენი განცხადებები პირველი განმცხადებლის გარდაცვალების შემდეგ სასამართლოს წარედგინა 2007 წლის 18 დეკემბერს და 2008 წლის 21 მაისს, 27 ნოემბერს და 22 დეკემბერს, შესაბამისად რაჰილ, დელალ, არატ და სერა დინკების მიერ.
სასამართლოს გადაწყვეტილება: სასამართლომ გაითვალისწინა, რომ თურქეთის უსაფრთხოების სამსახურებისთვის ცნობილი იყო ფირატ დინკის მიმართ ნაციონალისტურ წრეებში არსებული უკიდურესად მტრული განწყობის შესახებ. სტამბულის სახელმწიფო პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ როგორც ტრაპიზონის პოლიცია და ჟანდარმერია, ისე სტამბულის პოლიცია ფლობდნენ ინფორმაციას სავარაუდო მკვლელობის შესახებ და იცოდნენ ეჭვმიტანილი პირების ვინაობაც კი. არსებული გარემოებებიდან გამომდინარე, მკვლელობის მუქარა რეალურად და გარდაუვლად შეიძლებოდა ყოფილიყო მიჩნეული.

სასამართლომ, ასევე, განიხილა, მიიღო თუ არა სახელმწიფომ ყველა საჭირო ზომა, რაც განსახორციელებელი იყო მისგან ფირატ დინკის მკვლელობის თავიდან ასაცილებლად. იმ სამი სამსახურიდან, რომლებიც ინფორმირებული იყვნენ დაგეგმილი მკვლელობისა და მისი გარდაუვალი განხორციელების შესახებ, არც ერთს არ მიუღია ზომები მის თავიდან ასაცილებლად. უნდა აღინიშნოს, რომ ფირატ დინკს არ მოუთხოვია პოლიციის მხრიდან დაცვა, რასაც ხაზგასმით აღნიშნავდა თურქეთის მთავრობა, თუმცა მან შესაძლოა არ იცოდა მისი მკვლელობის გეგმის შესახებ. ფირატ დინკის სიცოცხლის დასაცავად ზომები უნდა მიეღო თურქეთის ხელისუფლებას, რომელმაც იცოდა ამ საფრთხის შესახებ.

ევროპულმა სასამართლომ შეისწავლა სისხლის სამართლის საქმის წარმოება, რომელიც დაგვიანებით დაიწყო ტრაპიზონისა და სტამბულის უსაფრთხოების სამსახურების მიერ, ნაცვლად იმისა, რომ დაგეგმილი მკვლელობის შესახებ მიღებულ ინფორმაციაზე რეაგირება მოეხდინათ.

პირველ რიგში, სასამართლო აღნიშნავდა, რომ პროვინციის გუბერნატორის ადმინისტრაციამ უარი თქვა სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე ტრაპიზონის ჟანდარმერიის ოფიცრების წინააღმდეგ, 2 ოფიცრის გარდა. სასამართლოს არ გამოუტანია გადაწყვეტილება იმ მიზეზების შესახებ, ინფორმაციის მიღების შემდეგ შესაბამისი ზომების განხორციელებაზე პასუხისმგებელმა ოფიცრებმა რატომ არ იმოქმედეს ადეკვატურად. გარდა ამისა, ოფიცრები, რომელთა წინააღმდეგაც მიმდინარეობდა გამოძიება, აიძულეს, რომ გამომძიებლებისთვის ყალბი ჩვენება მიეცათ. ეს იყო გამოსაძიებელ მოვლენებთან დაკავშირებული მტკიცებულებების შეგროვების მოვალეობის აშკარა დაღვევა და შეთანხმებული მოქმედება პასუხისმგებელი პირის დასადგენად მიმდინარე გამოძიების ხელის შესაშლელად.

სასამართლომ გაარკვია, რომ ტრაპიზონის პროკურატურის გადაწყვეტილება შესაბამისი მოქმედებების შეწყვეტის შესახებ ეფუძნებოდა არგუმენტებს, რომლებსაც საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებები ეწინააღმდეგებოდა. კერძოდ, სახელმწიფო პროკურორმა გაითვალისწინა, რომ პოლიციის ოფიცრებმა არ მიიჩნიეს დაგეგმილი მკვლელობის შესახებ მიღებული ინფორმაცია სანდოდ მაშინ, როდესაც რეალურად მათ სტამბულის პოლიციას აცნობეს, რომ მკვლელობის მცდელობა გარდაუვალი იყო. უფრო მეტიც, გადაწყვეტილება, რომ პოლიციის ხელმძღვანელის წინააღმდეგ არ დაწყებულიყო პროცესი, არ ეფუძნებოდა გამოძიებას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პროკურატურის გამოძიება, პოლიციის ოფიცრების მიერ სავარაუდო მკვლელების წინააღმდეგ ზომების მიუღებლობის მიზეზებზე პასუხის გაუცემლად ემსახურებოდა დაცვას და უფრო მეტსაც.

სტამბულის პოლიციის უმოქმედობის ბრალდებასთან დაკავშირებით სასამართლომ აღნიშნა, რომ მათ წინააღმდეგ, ასევე, არ აღძრულა სისხლის სამართლის საქმე, მიუხედავად შინაგან საქმეთა სამინისტროს გამომძიებლების მიერ მოპოვებული მტკიცებულებებისა, რომ პოლიციის ხელმძღვანელობას არ მიუღია არსებული სიტუაციიდან გამომდინარე საჭირო ზომები, არ მიუცია ახსნა-განმარტება, თუ რატომ არ მოხდა მუქარაზე რეაგირება.

ბოლოს, სასამართლომ გაარკვია, რომ ტრაპიზონის ჟანდარმერიასა და სტამბულის პოლიციასთან დაკავშირებულ საქმეს იძიებდნენ აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელი ოფიცრები და გარდაცვლილის ნათესავები არ იყვნენ ჩართული საქმის წარმოებაში, რაც ეჭვქვეშ აყენებდა გამოძიებას. ეჭვი, რომ პოლიციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი მხარს უჭერდა ბრალდებულის მოქმედებებს, როგორც ჩანს, ასევე, არ გამხდარა დეტალური გამოძიების საგანი.

შესაბამისად, დადგინდა, რომ დაირღვა ევროპული კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლება) და მე-13 (სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლება) მუხლები.

სარჩელი, რომელიც ეხება ფირატ დინკის მიერ აზრის გამოხატვის თავისუფლებას: თურქეთის მთავრობა ამტკიცებდა, რომ არ დარღვეულა ფირატ დინკის აზრის თავისუფლად გამოხატვის უფლება, რადგან გარდაცვალების მომენტისთვის ის არ იყო საბოლოოდ მსჯავრდებული, თუმცა სასამართლო ხაზს უსვამს, რომ ფირატ დინკის გარდაცვალების დროს სისხლის სამართლის უმაღლესმა სასამართლომ მხარი დაუჭირა გადაწყვეტილებას, რომ ის დამნაშავე იყო თურქული იდენტობის ცილისწამებაში. უფრო მეტიც, ამ გადაწყვეტილების შედეგად ის გახდა ნაციონალ-ექსტრემისტების სამიზნე, თურქეთის ხელისუფლებამ კი რომელიც ინფორმირებული იყო მისი მკვლელობის გეგმის შესახებ, არ მიიღო შესაბამისი ზომები ჟურნალისტის დასაცავად. ამდენად ეს იყო ფირატ დინკის მიერ აზრის თავისუფლად გამოხატვის უფლებაში ჩარევა. სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, ასეთი ჩარევა მისაღები იქნებოდა, რომ ყოფილიყო

,,კანონით განსაზღვრული'', ,,კანონიერი მიზნით'' განხორციელებული და შესაძლებელი ყოფილიყო მისი მიჩნევა ,,დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებლად''. სასამართლომ ეჭვი შეიტანა, რომ ასეთი ჩარევა აკმაყოფილებდა პირველ ორ კრიტერიუმს და კონცენტრირება მოახდინა მესამე კრიტერიუმზე.

სასამართლომ გაიზიარა საკასაციო სასამართლოს მთავარი სახელმწიფო საბჭოს მოსაზრება, რომ ფირატ დინკის იმ სტატიების სრული სერიის ანალიზის შედეგად, სადაც ჟურნალისტი იყენებდა სადავო გამოთქმას, აშკარად ჩანდა, რომ ის, რასაც დინკი ,,საწამლავს'' უწოდებდა, არ იყო ,,თურქული სისხლი'', როგორც მიიჩნია საკასაციო სასამართლომ, არამედ - სომხების მიერ ,,თურქი ხალხის აღქმა'', გამოწვეული სომხური დიასპორის კამპანიის აგრესიული ბუნებით, რათა თურქეთს 1915 წლის მოვლენები გენოციდად ეღიარებინა. საკასაციო სასამართლოს მიერ თურქული იდენტობის ცნების ინტერპრეტაციის და მისი განმარტების ანალიზის შედეგად სასამართლომ დაასკვნა, რომ რეალურად მან არაპირდაპირ დასაჯა ფირატ დინკი 1915 წლის მოვლენების გენოციდად აღიარების მიმართ სახელმწიფო ინსტიტუტების უარყოფითი დამოკიდებულების კრიტიკისთვის და კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ კონვენციის მე-10 მუხლი კრძალავს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას პოლიტიკური დებატების სფეროში და საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე, მისაღები კრიტიკის თვალსაზრისით კი მთავრობა მეტად არის შეზღუდული, ვიდრე კერძო პირი. სასამართლომ დაადგინა, რომ ავტორი წერდა საზოგადოებისთვის საინტერესო საკითხზე მისი უფლებამოსილების ფარგლებში, როგორც ჟურნალისტი, ხოლო ისტორიული სიმართლის გარკვევის მცდელობა იყო გამოხატვის თავისუფლების განუყოფელი ნაწილი. ამიტომ სასამართლომ დაასკვნა, რომ ფირატ დინკის გამამატყუნებელი განაჩენი თურქული იდენტობის ცილისწამებისთვის არ შეესაბამებოდა ,,ნებისმიერ გადაუდებელ სოციალურ საჭიროებას''.

სასამართლომ, ასევე, ხაზი გაუსვა, რომ სახელმწიფოებს მოეთხოვებათ ყველა დაინტერესებული პირის საჯარო დიალოგში

მონაწილეობისთვის ისეთი ხელსაყრელი გარემოს შექმნა, რაც მისცემს მათ აზრისა და იდეების შიშის გარეშე გამოხატვის საშუალებას. ამ კონკრეტული საქმის მსგავს შემთხვევებში სახელმწიფომ არა მხოლოდ თავი უნდა შეიკავოს პირის მიერ აზრის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევისგან, არამედ მან უნდა შეასრულოს პოზიტიური ვალდებულება და დაიცვას მისი აზრის გამოხატვის თავისუფლება შეტევისგან, მათ შორის კერძო პირების შეტევისგან. მიღებული მასალების საფუძველზე, რომელთა მიხედვითაც აშკარა იყო ხელისუფლების ,,მარცხი'' ფირატ დინკის ნაციონალ-ექსტრემისტული ჯგუფების შეტევისგან დაცვაში, ხოლო გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილი იყო ,,გადაუდებელი სოციალური საჭიროების'' არარსებობის პირობებში, სასამართლომ დაასკვნა, რომ თურქეთის პოზიტიური ვალდებულება ფირატ დინკის გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებით არ შესრულებულა. შესაბამისად ადგილი ჰქონდა მე-10 მუხლის დარღვევას.

სიცოცხლის უფლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მე-13 მუხლის მოთხოვნაა არა მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში კომპენსაციის გადახდა, არამედ სიღრმისეული და ეფექტიანი გამოძიება, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდება პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირება და დასჯა, რაც, ასევე, უნდა მოიცავდეს ოჯახის წევრების გამოძიებაზე ეფექტიანი ხელმისაწვდომობის ხელშეწყობას. ამ საქმეში არასაკმარისად ეფექტიანი სისხლის სამართლის გამოძიების გამო სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-13 მუხლიც, მე-2 მუხლთან ერთად, რადგანაც განმცხადებლებს არ მიეცათ ხელმისაწვდომი ეფექტიანი საშუალებების გამოყენების საშუალება, როგორიცაა სარჩელი ზიანის ანაზღაურებისთვის.

სასამართლომ არამატერიალურ ზიანთან დაკავშირებით დაადგინა, რომ თურქეთმა უნდა გადაუხადოს 100 000 ევრო ფირატ დინკის მეუღლეს და შვილებს ერთობლივად და 5 000 ევრო მის ძმას. მან, ასევე, უნდა გადაუხადოს 28 595 ევრო განმცხადებლებს ერთობლივად ხარჯებისა და გადასახდებისთვის.

„ერბაკანი თურქეთის წინააღმდეგ „

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ საქმეზე - "ერბაკანი თურქეთის წინააღმდეგ" დაადგინა:

- დაირღვა ევროპის ადამიანის უფლებების კონვენციის მე-10 მუხლი (გამოხატვის თავისუფლება). გადაწყვეტილება მიღებულია ექვსი ხმით ერთის წინააღმდეგ;
- დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი (სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება) გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად;
- ამასთან, რადგან განმცხადებელს დადგენილ ვადაში არ წარუდგენია სარჩელი სამართლიანი დაკმაყოფილების შესახებ, სასამართლომ მიიჩნია, რომ მას არ მიეცემა კომპენსაცია, კონვენციის 41-ე მუხლის (სამართლიანი დაკმაყოფილება) შესაბამისად.

ძირითადი ფაქტები: განმცხადებელი ნექმეტინ ერბაკანი არის თურქეთის მოქალაქე. დაბადებულია 1926 წლის 29 ოქტომბერს, ცხოვრობს ანკარაში. ის არის პოლიტიკოსი, იყო თურქეთის პრემიერ-მინისტრი 1996 წლის ივნისიდან 1997 წლის ივნისამდე. ამავე დროს თავმჯდომარეობდა ,,თურქეთის კეთილდღეობის პარტიას'', რომლის მოქმედებაც შეჩერებულ იქნა 1998 წელს სეკულარიზმის პრინციპების საწინააღმდეგო მოქმედებებისთვის.

1994 წლის 25 თებერვალს, ადგილობრივი საარჩევნო კამპანიის დროს, განმცხადებელმა წარმოთქვა საჯარო სიტყვა ბინგოლში, სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთში. ამ გამოსვლის ოფიციალური ჩანაწერი არ გაკეთებულა.

5 წლის შემდეგ, 1998 წლის ივლისში, განმცხადებლის წინააღმდეგ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე 1994 წელს, სიტყვით გამოსვლისას რელიგიებს, რასებს და რეგიონებს შორის განსხვავების შესახებ

კომენტარებით ადამიანებს შორის სიძულვილის და მტრობის გაღვივებისთვის.
განმცხადებელმა მის წინააღმდეგ ბრალდება გაასაჩივრა ქ. დიარბაქირის სახელმწიფო უსაფრთხოების სასამართლოში. კერძოდ, ის სადავოდ ხდიდა სახელმწიფო პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ვიდეოკასეტის ავთენტურობას და სანდოობას, რომელიც შეიცავდა მისი გამოსვლის ჩანაწერს.
2000 წლის 10 მარტს სასამართლომ ერბაკანს გამამტყუნებელი განაჩენი გამოუტანა, დააჯარიმა და ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ქ. ბინგოლში მოცემულ დროს არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, სადაც ადგილობრივი მცხოვრებნი გახდნენ ექსტრემისტული ორგანიზაციის მიერ განხორციელებული ტერორისტული აქტების მსხვერპლი, სასამართლომ დაასკვნა, რომ განმცხადებელმა "მორწმუნეებსა' და "ურწმუნოებს" შორის განსხვავების ხაზგასმით დაარღვია პოლიტიკური დებატებისთვის დადგენილი გამოხატვის თავისუფლების ზღვარი.
2000 წლის 5 ივლისს საკასაციო სასამართლომ არ მიიღო მისი სარჩელი და დაადასტურა მის მიმართ გამოტანილი განაჩენი. სასამართლომ დაადგინა, რომ ,,საკუთარი პარტიის გარდა ყველა პარტიის დახასიათებით, როგორც უსამართლო, ურწმუნოების მოყვარული, საკუთარი ინტერესებისთვის სისტემის დამცველი პარტიებისა'', განმცხადებელმა გამოთქვა აზრი, რომ ,,ყურანის მიხედვით ამ პარტიებმა გამოაცხადეს ომი ალაჰის წინააღმდეგ''.
2001 წლის იანვარში სასამართლომ გადაავადა განმცხადებლისთვის დაკისრებული სასჯელის აღსრულება.
კონვენციის მე-10 მუხლსა და მე-6 მუხლის პირველ პარაგრაფზე დაყრდნობით განმცხადებელმა წარადგინა სარჩელი, რომელშიც აცხადებდა, რომ დაირღვა მისი გამოხატვის თავისუფლება და მისი საქმე არ მოუსმენია დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამართლოს, რადგან სახელმწიფო უსაფრთხოების სასამართლოს მოსამართლეებს შორის წარმოდგენილი იყო სამხედრო მოსამართლე.

სასამართლოს გადაწყვეტილება: სასამართლომ გაარკვია, რომ განმცხადებლის წინასაარჩევნო სიტყვა, რომელშიც მან გამოიყენა რელიგიური ტერმინოლოგია და მოსახლეობა დაყო ,,მორწმუნეებად'' და ,,ურწმუნოებად'', შეიცავდა ნებისმიერი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ფენომენის - მისი მრავალფეროვნების- შეზღუდვისაკენ მოწოდებას. მან ასევე მოუწოდა, რომ პოლიტიკური მიმართულების ფორმირება უნდა მომხდარიყო რელიგიური კუთვნილების საფუძველზე. სასამართლომ ისიც გაარკვია, რომ მოცემულ დროს რეგიონის მოსახლეობა იყო ფუნდამენტალისტური მოძრაობების მიერ განხორციელებული ტერაქტების შედეგად დატრიალებული ტრაგიკული მოვლენების მსხვერპლი.

სასამართლომ აღნიშნა, რომ შეუწყნარებლობის ყველა ფორმასთან ბრძოლა ადამიანის უფლებების დაცვის განუყოფელი ნაწილია და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, პოლიტიკოსებმა საკუთარ სიტყვებში მაქსიმალურად აიცილონ თავიდან ისეთი კომენტარები, რომლებიც ხელს შეუწყობს შეუწყნარებლობას. თუმცა, დემოკრატიულ საზოგადოებაში პოლიტიკური დებატების თავისუფლების ფუნდამენტური ბუნებიდან გამომდინარე, სასამართლოს უნდა დაედგინა, არსებობდა თუ არა დამაჯერებელი მიზეზები, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა პოლიტიკურ გამოსვლასთან დაკავშირებით გამოტანილი სასჯელის გამართლება. ამასთან დაკავშირებით სასამართლომ დაადგინა, რომ ხელისუფლებას არ უფიქრია საეჭვო სიტყვის შინაარსის დადგენა მანამ, სანამ შეკრებიდან 5 წელი არ გავიდა და ეს გააკეთა მხოლოდ ვიდეოჩანაწერის საფუძველზე, რომლის ავთენტურობაც სადავო იყო.

გაითვალისწინა რა საქმესთან დაკავშირებული გარემოებები, სასამართლომ მიიჩნია, რომ ძალიან რთული იყო განმცხადებლისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება იმ კომენტარებისთვის, რომლებიც მოცემული იყო საბრალდებო დასკვნაში. უფრო მეტიც, არ დაუდგენიათ, შეიცავდა თუ არა საეჭვო სიტყვა "არსებულ რისკს" ან "გარდაუვალ საშიშროებას" ან შესაძლებელი იყო თუ არა, მას გამოეწვია

ასეთი საფრთხე განმცხადებლის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის პერიოდში. სასამართლომ გაითვალისწინა ცნობილი პოლიტიკოსისთვის დაკისრებული მკაცრი სასაჯელიც.
საბოლოოდ, სასამართლომ მიიჩნია, რომ პოლიტიკოსის წინააღმდეგ დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნა საეჭვო კომენტარების გამოთქმიდან 4 წლისა და 5 თვის შემდეგ არ იყო მიზანშეწონილად პროპორციული კანონიერ მიზნებთან. გათვალისწინებული იქნა დემოკრატიული საზოგადოების ინტერესიც პოლიტიკური დებატების თავისუფლების შენარჩუნების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციი მე-10 მუხლი.
სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ მოქალაქეებს, რომლებიც სამართლდებიან სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, აქვთ ლეგიტიმური საფუძველი, იფიქრონ, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სასამართლო, რომლის მოსამართლეების შემადგენლობაშიც შედის სამხედრო მოსამართლე, შესაძლოა, არ იყოს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი. ამიტომ სასამართლომ ერთხმად დაადგინა, რომ დაირღვა მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი. [8]

„ლეროი საფრანგეთის წინააღმდეგ“

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ საქმეზე - "ლეროი საფრანგეთის წინააღმდეგ" დადგინდა:

- არ დარღვეულა ევროპის ადამიანის უფლებების კონვენციის მე-10 მუხლი (გამოხატვის თავისუფლება).
- დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი (მიზანშეწონილ ვადაში სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება), რადგან განმცხადებელს დროზე არ მიაწოდეს მომხსენებელი მოსამართლის ანგარიში.

[8] http://www.echr.coe.int

41-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლომ ერთხმად დაადგინა, რომ არსებული დარღვევა ბატონი ლეროისთვის მიყენებული არამატერიალური ზიანის სამართლიანი დაკმაყოფილების საფუძველია და გამოუყო მას 1 000 ევრო ხარჯების დასაფარად.

ძირითადი ფაქტები: განმცხადებელი დენის ლეროი არის საფრანგეთის მოქალაქე. დაბადებულია 1966 წელს და ცხოვრობს ბეიონში (საფრანგეთი). ის კარიკატურისტია და სხვადასხვა ადგილობრივი გამოცემებისთვის მუშაობს, მათ შორის, ბასკური ყოველკვირეული გაზეთისთვის (*Ekaitza*), რომლის ცენტრალური ოფისი მდებარეობს ბეიონში.

საქმე, რომელიც ეხება განმცხადებლის მსჯავრდებას ტერორიზმის თანაგრძნობისათვის, აღიძრა 2001 წლის 11 სექტემბერს ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში განხორციელებული ტერორისტული თავდასხმის შემდეგ მის მიერ გამოქვეყნებული მასალის გამო.

2001 წლის 11 სექტემბერს განმცხადებელმა გაზეთის რედაქციას წარუდგინა კარიკატურა, რომელზეც ასახული იყო მსოფლიო სავაჭრო ცენტრის "ტყუპ შენობებზე" თავდასხმა ცნობილი ბრენდის სარეკლამო სლოგანის პაროდირებული წარწერით: "ჩვენ ყველა ამაზე ვოცნებობდით . . . ჰამასმა ეს გააკეთა". კარიკატურა გამოქვეყნდა გაზეთში 2001 წლის 13 სექტემბერს. გაზეთის მომდევნო ნომერში გამოქვეყნდა ამონარიდები მკითხველთა წერილებიდან და ელექტრონული შეტყობინებებიდან.

კარიკატურის გამოქვეყნების შემდეგ ქ. ბეიონის სახელმწიფო პროკურორმა აღძრა საქმე ავტორისა და გაზეთის გამომცემელი დირექტორის წინააღმდეგ ტერორიზმის თანაგრძნობის ბრალდებით.

2002 წლის იანვარში სასამართლომ მსჯავრი დასდო მას და დააკისრა ჯარიმის გადახდა 1500 ევროს ოდენობით, განაჩენის საკუთარი ხარჯებით გამოქვეყნება გაზეთ ,,*Ekaitza*"-ში და კიდევ ორ გაზეთში. 2002 წლის სექტემბერში პაუს სააპელაციო სასამართლომ დაადასტურა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი. კერძოდ, მან დაადგინა, რომ მანჰეტენზე მასობრივ შეტევაზე სიტყვა

,,ოცნების'' გამოყენებით, ამ ლეტალური აქტის იდეალიზებით და ამგვარად მასობრივი მკლელობის ხოტბით კარიკატურისტი ამართლებს ტერორიზმს, პირველი პირის ნაცვალსახელის მრავლობით რიცხვში - "ჩვენ"- გამოყენებით ახდენს საკუთარი თავის გაიგივებას ტერორისტებთან და განადგურების ამ მეთოდთან, რომელიც ნაჩვენებია, როგორც ოცნების კულმინაცია. ასევე იგი ირიბ გავლენას ახდენს პოტენციურ მკითხველებზე და აქეზებს მათ, რომ დადებითად შეაფასონ კრიმინალური ქმედების წარმატებით განხორციელება".

საკასაციო სასამართლომ არ მიიღო განმცხადებლის მიერ წარდგენილი საჩივრის ძირითადი ნაწილი.

მე-10 მუხლზე (გამოხატვის თავისუფლება) დაყრდნობით, ბატონმა ლეროიმ წარადგინა საჩივარი ტერორიზმის თანაგრძნობის ბრალდებით მის მსჯავრდებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, მან საჩივარი წარადგინა მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფის (სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება) მიხედვით, რომ საკასაციო სასამართლოში სასამართლო განხილვა არ იყო სამართლიანი.

სასამართლოს გადაწყვეტილება: სასამართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებლისთვის მსჯავრის დადება იყო გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა. ასეთი ჩარევა განსაზღვრულია საფრანგეთის კანონმდებლობით რამდენიმე ლეგიტიმური მიზნით, ითვალისწინებს რა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სენსიტიურ ბუნებას, კერძოდ, საზოგადოებრივი უსაფრთხობის შენარჩუნების, დანაშაულისა და არეულობის თავიდან აცილების საჭიროებას. სასამართლოს უნდა გაერკვია იყო თუ არა ასეთი ჩარევა ,,საჭირო დემოკრატიულ საზოგადოებაში''.

განმცხადებელმა სარჩელში აღნიშნა, რომ საფრანგეთის სასამართლოები უარყოფდნენ მის რეალურ განზრახვას, რომ მას პოლიტიკური მოსაზრებები ამოძრავებდა. კერძოდ, სატირული გამოსახულების მეშვეობით ანტიამერიკული განწყობის გამოხატვა და ამერიკული იმპერიალიზმის ნგრევის ილუსტრირება. თუმცა სასამართლომ მიიჩნია, რომ კარიკატურა არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ამერიკული

იმპერიალიზმის კრიტიკით და მხარს უჭერდა, ხოტბას ასხამდა მის ძალადობრივ განადგურებას. ამასთან დაკავშირებით სასამართლომ თავისი გადაწყვეტილება დააფუძნა კარიკატურაზე არსებულ წარწერაზე და მიიჩნია, რომ განმცხადებელმა გამოხატა მორალური მხარდაჭერა 2001 წლის 11 სექტემბრის თავდასხმის შემსრულებელთა მიმართ. მის მიერ არჩეული ,,ენით'' მოიწონა ათასობით მოქალაქის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული და დაამცირა თავდასხმის მსხვერპლთა ღირსება. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივმა სასამართლოებმა არ გაითვალისწინეს განმცხადებლის განზრახვა, მათ შეისწავლეს, ამართლებდა თუ არა იმ დროს არსებული ვითარება და საზოგადოების ინტერესი პროვოკაციას ან ჰიპერბოლიზაციის ხერხს. ამ თვალსაზრისით, აღიარებული უნდა ყოფილიყო, რომ კარიკატურამ შეიძინა განსაკუთრებული მნიშვნელობა არსებული გარემოებიდან გამომდინარე, რაც გააზრებული ექნებოდა განმცხადებელს. მან წარადგინა კარიკატურა თავდასხმის დღეს მის მიერ გამოყენებული ,,ენის'' შესახებ ყოველგვარი განმარტების გარეშე და იგი გამოქვეყნდა 13 სექტემბერს. სასამართლოს აზრით, ამ ფაქტორს - გამოქვეყნების თარიღს - უნდა გაეზარდა განმცხადებლის პასუხისმგებლობა, შეეცვალა მისი აღქმა და გამოეწვია მისი მხარდაჭერა ტრაგიკული მოვლენის მსხვერპლთა მიმართ მხატვრული ან ჟურნალისტური თვალსაზრისით. გარდა ამისა, ასეთი ,,მესიჯი'' პოლიტიკურად სენსიტიურ რეგიონში, კერძოდ, ბასკეთში, შეუმჩნეველი არ უნდა დარჩენილიყო მიუხედავად იმისა, რომ ყოველკვირეულმა გაზეთმა შეზღუდა ტირაჟი, სასამართლომ მიიჩნია, რომ კარიკატურის გამოქვეყნებამ მოახდინა საზოგადოების გარკვეული რეაქციის პროვოცირება, რასაც შეეძლო ძალადობის გაღვივება და რეგიონში საზოგადოებრივ წესრიგზე სავარაუდო ზემოქმედება.

შედეგად, სასამართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებლისთვის ადგილობრივი სასამართლოების მიერ მსჯავრის დადების საფუძველი ,,შესაბამისი და საკმარისი'' იყო.

ბოლოს, გაითვალისწინა რა განმცხადებლისთვის დაკისრებული ჯარიმის ზომიერი ხასიათი და სადავო კარიკატურის გამოქვეყნების დროს არსებული ვითარება, სასამართლომ გადაწყვიტა, რომ განმცხადებლისთვის შეფარდებული სასჯელის ზომა არ იყო ლეგიტიმური მიზნების დისპროპორციული. შესაბამისად, კონვენციის მე-10 მუხლი არ დარღვეულა.

საქმესთან დაკავშირებით, პრეცედენტულ სამართალზე დაყრდნობით, სასამართლომ დაასკვნა, რომ დაირღვა მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი, რადგან განმცხადებლისთვის არ გადაუციათ მომხსენებელი მოსამართლის ანგარიში. სასამართლომ, ასევე, დაადგინა, რომ აუცილებელი არ იყო, ცალკე შეესწავლა სარჩელი იმის შესახებ, რომ ინფორმაცია არ იქნა მიწოდებული საკასაციო სასამართლოში საქმის მოსმენის დღემდე. [9]

„მბალა-მბალა საფრანგეთის წინააღმდეგ“

განმცხადებლი დედონე მბალა-მბალა არის საფრანგეთის მოქალაქე, რომელიც დაიბადა 1966 წელს და ცხოვრობს პარიზში. იგი კომიკოსია და ცნობილია სასცენო სახელით - ,,დედონე''. ის, ასევე, ჩართულია პოლიტიკურ საქმიანობაში. საქმე ეხებოდა მის წინააღმდეგ გამოტანილ გამამტყუნებელ განაჩენს, რომელიც გამოტანილ იქნა პირის ან პირთა ჯგუფის საჯარო შეურაცხყოფისთვის მათი წარმოშობის, ეთნიკური ან ეროვნული კუთვნილების, რასის ან რელიგიის, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ებრაული წარმოშობის ან რწმენის ნიადაგზე.

2008 წლის 26 დეკემბერს პარიზში, ,,ზენიტში'' გამართული წარმოდგენის დასრულებისას დედონე მბალა-მბალამ სცენაზე მიიწვია აკადემიკოსი რობერტ ფარისონი, რომელიც არაერთხელ იყო მსჯავრდებული საფრანგეთში ნიჰილისტური და რევიზიონისტული მოსაზრებების, ძირითადად, მის მიერ საკონცენტრაციო ბანაკებში გაზის

[9] http://www.echr.coe.int

კამერების არსებობის უარყოფის გამო. მისთვის უნდა გადაეცათ პრიზი ,,საზოგადოებისთვის მიუღებლობისა და კადნიერებისთვის''. პრიზი, რომელსაც სამნაწილიანი შანდლის ფორმა ჰქონდა და თითოეული ნაწილი ვაშლით იყო დაგვირგვინებული, გადასცა მსახიობმა, რომელსაც ეცვა ეგრეთ წოდებული ,,სინათლის სამოსელი'' - ზოლებიანი პიჟამა, ამოქარგული ყვითელი ვარსკვლავით, რომელზეც ეწერა ,,ებრაელი''. ამგვარი სახით იგი საკონცენტრაციო ბანაკის ტუსაღ ებრაელს განასახიერებდა.

სასამართლომ დაადგინა, რომ შეურაცხმყოფელი სცენის დროს შეუძლებელი იყო წარმოდგენის აღთქმა გასართობ შოუდ. იგი დაემსგავსა პოლიტიკურ შოუს, კომედიის ნიღბით - რობერტ ფარისონისთვის მთავარი როლის მინიჭებით და დეპორტაციის მსხვერპლ ებრაელთა დეგრადირებული სახით წარმოჩენით ამ ადამიანის წინაშე, რომელიც უარყოფდა მათ განადგურებას. სასამართლოს აზრით, ეს არ იყო წარმოდგენა, რომელიც თუნდაც სატირული და პროვოკაციული ყოფილიყო, და მოექცეოდა ევროპის ადამიანის უფლებების კონვენციის მე-10 მუხლის(გამოხატვის თავისუფლება) ფარგლებში. რეალურად, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, ის იყო სიძულვილის და ანტისემიტიზმის დემონსტრირება და ჰოლოკოსტის არაღიარების მხარდაჭერა. შენიღბული იყო რა როგორც გასართობი წარმოდგენა, ფაქტობრივად, ის იყო საშიში პირდაპირი და მოულოდნელი თავდასხმა, რომელმაც მხარი დაუჭირა ევროპის კონვენციის ღირებულებების წინააღმდეგ მიმართულ იდეოლოგიურ პლატფორმას.

ამგვარად, სასამართლომ დაასკვნა, რომ დედონე მბალა-მბალამ განიზრახა გამოხატვის თავისუფლების გამოყენება ისეთი მიზნისთვის, რაც არ შეესაბამებოდა ამ მუხლის და კონვენციის სულისკვეთებას და თუ ნებადართული იქნებოდა, ხელს შეუწყობდა კონვენციით განსაზღვრული უფლებების და თავისუფლების დარღვევას.

ამ ინციდენტით პოლიცია დაინტერესდა და 2008 წლის 29 დეკემბერს დაიწყო გამოძიება.

2009 წლის 27 მარტს სახელმწიფო პროკურორმა დედონე მბალა-მბალა პარიზის ზედა ინსტანციის სასამართლოში დაიბარა. მას ბრალი წაუყენეს პირის ან პირთა ჯგუფის საჯარო შეურაცხყოფაში მათი წარმოშობის, კონკრეტული ეთნიკური, ეროვნული, რასობრივი, რელიგიური კუთვნილების ნიადაგზე ან ასეთი კუთვნილების მიუხედავად, კერძოდ, ამ კონკრეტულ საქმეში ებრაული წარმოშობის ან რწმენის პირების საჯარო შეურაცხყოფისთვის ერთ-ერთი ისეთი საშუალებით, რომელიც განსაზღვრულია 1881 წლის 29 ივლისის პრესის თავისუფლების კანონის 23-ე ნაწილით.

2009 წლის 27 ოქტომბერს პარიზის სასამართლომ დედონე მბალა-მბალა წარდგენილი ბრალის მიხედვით დამნაშავედ ცნო და დააკისრა ჯარიმა 10 000 ევროს ოდენობით. მოსამართლეებმა გაითვალისწინეს, რომ მას შეუძლებელია არ სცოდნოდა იმ ფაქტის შესახებ, რომ რობერტ ფარისონი ჰოლოკოსტის არაღიარების ერთ-ერთი მთავარი დამცველი იყო და რომ მისი შეურაცხმყოფელი შენიშვნები ებრაული წარმოშობის პირებისთვის დამამცირებელი იქნებოდა. მათ, ასევე, დაადგინეს, რომ დედონე მბალა-მბალამ ვერ შეძლო ამოფარებოდა კომედიის ნიღაბს, მიუხედავად იმისა, რომ კარიკატურა და სატირა, თუნდაც შეგნებულად პროვოკაციული და ვულგარული, მოქცეულია დემოკრატიულ საზოგადოებისთვის დამახასიათებელი გამოხატვის და შემოქმედების თავისუფლების ფარგლებში, რაც გულისხმობს იდეების და მოსაზრებების გამოხატვას. თუმცა იუმორის გამოყენების უფლებასაც უნდა ჰქონოდა გარკვეული საზღვრები, კერძოდ, ადამიანების ღირსების პატივისცემა. განსახილველ საქმეში, მოსამართლეების აზრით, იუმორის გამოყენების უფლების დასაშვები ზღვარი უხეშად იქნა დარღვეული. დედონე მბალა-მბალამ და რამდენიმე სამოქალაქო პირმა გაასაჩივრეს განაჩენი.

პარიზის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 17 მარტის გადაწყვეტილებით, ძალაში დარჩა დედონე მბალა-მბალას გამამტყუნებელი განაჩენი. მოსამართლეებმა მიიჩნიეს, რომ სცენაზე რობერტ ფარისონის ასვლის შემდეგ შეუძლებელი იყო წარმოდგენის

აღქმა გართობად, იგი დაემსგავსა პოლიტიკურ შოუს, ხოლო შეურაცხმყოფელი სცენა და მისი თანმხლები გარემოებები, კერძოდ, აუდიტორიისთვის ხელით უხამსი ჟესტის ჩვენება, რომელიც ცნობილია, როგორც "*glissage de quenelle*", ემსახურებოდა ანტისემიტურ მიზანს.

საკასაციო სასამართლომ უარყო დედონე მბალა-მბალას საჩივარი 2012 წლის 16 ოქტომბერს.

სასამართლოს გადაწყვეტილება: ეროვნული სასამართლოების მსგავსად, სტრასბურგის სასამართლოს ეჭვი არ შეპარვია დედონე მბალა-მბალას შოუს შეურაცხმყოფელი ნაწილის უკიდურესად ანტისემიტურ ხასიათში, რადგან მან პატივი მიაგო პირს, რომელიც ცნობილი იყო ნიჰილისტური იდეებით და გავლენა მოახდინა აუდიტორიაზე- მიეღო ფარისონს ,,გულითადი'' აპლოდისმენტები, გადასცა მას პრიზი ,,საზოგადოებისთვის მიუღებლობისა და კადნიერებისთვის''. სასამართლომ გაითვალისწინა, რომ პროფესიით კომიკოსი განმცხადებელი, ცნობილი იყო მყარი პოლიტიკური შეხედულებებით, რამდენჯერმე მონაწილეობდა არჩევნებში და უკვე მსჯავრდებული იყო რასიზმის ნიადაგზე შეურაცხყოფისთვის. სასამართლომ, ასევე, მხედველობაში მიიღო, აუდიტორიის რეაქციაც, რაც მოწმობდა, რომ წარმოდგენის ფინალის ანტისემიტური ხასიათი აუდიტორიამ დადებითად აღიქვა. გარდა ამისა, დედონე მბალა-მბალამ შოუს დაწყებამდე თავისი განცხადებით, რომ სურდა გაემართა უკეთესი წარმოდგენა ერთ-ერთ წინა შოუსთან შედარებით, რომელიც დაახასიათა, როგორც ,,უდიდესი ანტისემიტური წარმოდგენა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ'', გავლენა მოახდინა აუდიტორიაზე და წინასწარ დადებითად განაწყო სანახავი სცენის მიმართ. სასამართლომ აღნიშნა, რომ აშკარა იყო, დედონე მბალა-მბალას მოსწონდა მის მიერ ჟესტების ენა და ლექსიკა. ამგვარად, სასამართლო დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს, რომ შეუძლებელი იყო შეურაცხმყოფელი სცენის აღქმა გასართობად და რომ იგი დაემსგავსა პოლიტიკურ შოუს. აუდიტორიასთან გარკვეული ურთიერთკავშირის გარდა, სასამართლომ

გაითვალისწინა, რომ უხამსი ჟესტით, მბალა-მბალამ სცენაზე აიყვანა მსახიობი, რომელსაც ემოსა საკონცენტრაციო ბანაკის ტყვე ებრაელის სამოსი, რათა მას გადაეცა პრიზი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ფრანგი ნიჰილისტისათვის - რობერტ ფარისონისთვის, რითაც პატივი მიაგო მას და უზრუნველყო *ტრიბუნით.* ნიჰილიზმის ამგვარ ხელშეწყობაში, რობერტ ფარისონის წარმოსაჩენად მისთვის მთავარი როლის მინიჭებაში და დეპორტაციის მსხვერპლი ებრაელის დეგრადირებული სახით წარმოდგენაში იმ ადამიანის წინაშე, რომელიც უარყოფდა ჰოლოკოსტს, სასამართლომ დაინახა სიძულვილის და ანტისემტიზმის დემონსტრირება და ჰოლოკოსტის არაღიარების მხარდაჭერა. სასამართლოს აზრით, ეს არ იყო წარმოდგენა, თუნდაც სატირული ან პროვოკაციული, რომლის მოქცევაც შესაძლებელი იქნებოდა კონვენციის მე-10 მულით განსაზღვრული გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში. საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, ეს იყო ისეთი იდეოლოგიის გამოხატვა, რომელიც ეწინააღმდეგებოდა კონვენციის ღირებულებებს, კერძოდ, სამართლიანობას და მშვიდობას.

სასამართლომ, ასევე, დაადგინა, რომ მაშინ, როდესაც კონვენციის მე-17 მუხლი (უფლებათა ბოროტი გამოყენების აკრძალვა) გამოყენებული იქნა სხვა შემთხვევებში იმ პირდაპირი და აშკარა შენიშვნების მიმართ, რომლებიც არ საჭიროებდა ინტერპრეტაციას, ის დარწმუნებული იყო, რომ სიძულვილის და ანტისემიტიზმის აშკარა გამოვლინება, რომელიც შენიღბული იყო მხატვრული შემოქმედების სახით, ისეთივე საშიში იყო, როგორც პირდაპირი და მოულოდნელი თავდასხმა, ამიტომ არ იმსახურებდა მე-10 მუხლის შესაბამისად დაცვას.

შესაბამისად, რადგან განსახილველი ქმედებები იყო უდავოდ ნიჰილისტური და ანტისემიტური ხასიათის, სასამართლომ დაადგინა, რომ დედონე მბალა-მბალამ განიზრახა მე-10 მუხლის რეალური შინაარსის უგულებელყოფა საკუთარი გამოხატვის თავისუფლების იმგვარად გამოყენებით, რომლის მიზანიც არ შესაბამებოდა მე-10 მუხლს და კონვენციის სულისკვეთებას და თუ დაშვებული იქნებოდა,

ხელს შეუწყობდა კონვენციით განსაზღვრული უფლებების და თავისუფლების დარღვევას.

შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ, კონვენციის მე-17 მუხლის მიხედვით, დედონე მბალა-მბალას არ ჰქონდა მე-10 მუხლის შესაბამისად დაცვის უფლება და მისი განაცხადი უარყოფილი უნდა ყოფილიყო, რადგან არ შეესაბამებოდა კონვენციის დებულებებს, 35-ე მუხლის (დასაშვებობის წინაპირობები) მე-3 და მე-4 პარაგრაფების თანახმად.

„დელფი - ას“ ესტონეთის წინააღმდეგ“

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ საქმეზე -"დელფი ას ესტონეთის წინააღმდეგ" თხუთმეტი ხმით ორის წინააღმდეგ დაადგინა, რომ არ დარღვეულა ევროპის ადამიანის უფლებების კონვენციის მე-10 მუხლი (გამოხატვის თავისუფლება).
ეს იყო შემთხვევა, როდესაც სასამართლოს პირველად მოუხდა საჩივრის განხილვა, რომელიც ეხებოდა საინფორმაციო ინტერნეტ-პორტალზე მომხმარებლების მიერ გამოქვეყნებული კომენტარებისთვის პასუხისმგებლობას.
განმცხადებელმა კომპანიამ - ,,დელფი ას'', რომელიც მართავს საინფორმაციო პორტალს კომერციულ საფუძველზე, წარადგინა საჩივარი, რომელიც ეხებოდა მისთვის ეროვნული სასამართლოების მიერ პასუხისმგებლობის დაკისრებას საბორნე კომპანიის შესახებ ერთ-ერთ სტატიაზე მკითხველების შეურაცხმყოფელი კომენტარებისთვის. საბორნე კომპანიის მფლობელის იურისტების მოთხოვნით, ,,დელფიმ'' წაშალა ისინი მათი გამოქვეყნებიდან დაახლობით 6 კვირის შემდეგ.
ამგვარად, საქმე ეხებოდა ახალი ამბების საინფორმაციო ინტერნეტ-პორტალების მოვალეობასა და პასუხისმგებლობას, რომლებიც კომერციულ საფუძველზე უზრუნველყოფდნენ მომხმარებლების მიერ კომენტარების განთავსებას გამოქვეყნებულ მასალაზე, ზოგიერთი

მომხმარებელი კი - იდენტიფიცირებული ან ანონიმი, აშკარად მიმართავდა სიძულვილის ენას, რაც არღვევდა სხვა პირების უფლებებს. ეს საქმე არ ეხებოდა სხვა ინტერნეტ-ფორუმებს, სადაც ჩარჩოებში მოქცევის გარეშე, თავისუფლად იყო შესაძლებელი მესამე მხარის კომენტარების გავრცელება, მაგალითად, ფორუმი ინტერნეტ-დისკუსიისთვის, განცხადებების სივრცე ან სოციალური მედიის პლატფორმა.

სასამართლოს წინაშე მდგარი პრობლემა არ იყო იმის გარკვევა, დაირღვა თუ არა კომენტარების ავტორთა გამოხატვის თავისუფლება. მას უნდა მიეღო გადაწყვეტილება, მათ მიერ გამოქვეყნებული კომენტარების გამო ,,დელფისთვის'' პასუხისმგებლობის დაკისრებით დაირღვა თუ არა მისი ინფორმაციის გავრცელების თავისუფლება.

სასამართლომ დაადგინა, რომ ესტონეთის ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, ,,დელფის'' დაეკისრა პასუხისმგებლობა და შეიზღუდა პორტალის გამოხატვის თავისუფლება, გამართლებული და პროპორციული იყო. კერძოდ, განსახილველ კომენტარებს ჰქონდა ექსტრემისტული ხასიათი და ეხებოდა ,,დელფის'' მიერ კომერციულ, პროფესიონალურ ინტერნეტ-პორტალზე გამოქვეყნებულ სტატიას. მიღებული ზომები მათი სწრაფად წაშლის მიზნით არ იყო საკმარისი. ჯარიმა 320 ევროს ოდენობით არ იყო გადაჭარბებული ,,დელფისთვის'', რომელიც ესტონეთში ერთ-ერთი უდიდესი ინტერნეტ-პორტალია.

ძირითადი ფაქტები: განმცხადებელი - ,,დელფი-ას'' არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც რეგისტრირებულია ესტონეთში და ფლობს ქვეყანაში ერთ-ერთ უდიდეს საინფორმაციო პორტალს.

2006 წლის იანვარში მის ვებგვერდზე გამოქვეყნდა სტატია საბორნე კომპანიის შესახებ, რომელშიც განხილული იყო კომპანიის გადაწყვეტილება, შეეცვალა საბორნე მარშრუტები ზოგიერთი კუნძულისკენ, რაც იწვევდა ყინულის მტვრევას იმ ადგილებში, სადაც ახლო მომავალში ყინულის გზები უნდა გაეყვანათ. შედეგად, ამ გზების

გაყვანა, რაც უფრო იაფი და სწრაფი იქნებოდა კუნძულებთან დასაკავშირებლად საბორნე მომსახურებასთან შედარებით, გადაიდო. სტატიის ქვემოთ მკითხველებს შეეძლოთ გამოეთქვათ კომენტარები და შეეფასებინათ ერთმანეთის მოსაზრებები. ბევრი მკითხველის გამოხმაურება საკმაო დოზით შეიცავდა შეურაცხყოფასა და მუქარას საბორნე კომპანიის ოპერატორისა და მფლობელის მისამართით.

კომპანიის იურისტების მოთხოვნით, ,,დელფიმ'' წაშალა შეურაცხმყოფელი კომენტარები მათი გამოქვეყნებიდან დაახლოებით 6 კვირის შემდეგ, 2006 წლის მარტში.

საბორნე კომპანიის მფლობელმა 2006 წლის აპრილში აღძრა საქმე ,,დელფის'' წინააღმდეგ, რომელსაც 2008 წლის ივნისში გამამტყუნებელი განაჩენი გამოუტანეს. ესტონეთის სასამართლომ დაადგინა, რომ კომენტარები იყო ცილისმწამებლური და ,,დელფი'' პასუხისმგებელი იყო მათზე. შესაბამისად, საბორნე კომპანიის სასარგებლოდ გადახდილი უნდა ყოფილიყო 5000 კრონი (დაახლოებით 320 ევრო).

ესტონეთის უმაღლესმა სასამართლომ 2009 წლის ივნისში უარყო ,,დელფის'' საჩივარი. მან არ გაიზიარა პორტალის არგუმენტი, რომ, ელექტრონული კომერციის შესახებ ევროკავშირის დირექტივის (2000/31/EC) მიხედვით, მისი, როგორც საზოგადოებისთვის საინფორმაციო მომსახურების მიმწოდებლის, როლი, იყო ტექნიკური, პასიური და ნეიტრალური და დაადგინა, რომ პორტალი აკონტროლებდა კომენტარების გამოქვეყნებას. სასამართლომ აღნიშნა, რომ არსებობდა განსხვავება პორტალის ოპერატორსა და ბეჭდური მედიის ტრადიციულ გამომცემელს შორის და მიუთითა, რომ ერთის მიმართ შეუძლებელი იყო გამოქვეყნების შემდეგ კომენტარების რედაქტირების ისეთივე მიზანშეწონილი მოთხოვნის წაყენება, როგორც მეორის მიმართ თუმცა, ორივეს ჰქონდა კომერციული ინტერესი კომენტარების პუბლიკაციის მხრივ და ამიტომ ორივე უნდა ყოფილიყო მიჩნეული ,,გამომცემლად''.უმაღლესმა სასამართლომ ,,დელფის'' პასუხისმგებლობა დააკისრა ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, კერძოდ, კონსტიტუციის, სამოქალაქო კოდექსის (ზოგადი

პრინციპები) და ვალდებულებების აქტის შესაბამისად, დაადგინა რა, რომ პორტალმა არა მხოლოდ ვერ შესძლო ადამიანის ღირსების დამამცირებელი, მუქარის შემცველი და აშკარად უკანონო კომენტარების გამოქვეყნების თავიდან აცილება, არამედ, ასევე, არ წაშალა ისინი პორტალიდან საკუთარი ინიციატივით. ზემოხსენებული შეურაცხმყოფელი კომენტარების გამოქვეყნებამდე, 2005 წლის სექტემბერში, ესტონეთის იუსტიციის მინისტრი იძულებული გახდა, რეაგირება მოეხდინა საზოგადოების კრიტიკაზე და შეშფოთებაზე, რომელიც ეხებოდა ესტონეთში საჯარო ვებ-გვერდებზე განუწყვეტელ შეურაცხყოფას, სადაც "დელფი" მიჩნეული იყო უკიდურესად შეურაცხმყოფელი დაცინვის წყაროდ. იუსტიციის მინისტრმა ამასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ შეურაცხყოფის მსხვერპლთ შეეძლოთ მიემართათ სასამართლოსთვის და მოეთხოვათ ზიანის ანაზღაურება.

განაცხადი ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს წარედგინა 2009 წლის 4 დეკემბერს. სასამართლოს პალატის 2013 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, სასამართლომ ერთხმად დაადგინა, რომ კონვენციის მე-10 მუხლი (გამოხატვის თავისუფლება) არ დარღვეულა; ,,დელფისთვის'' ესტონეთის სასამართლოების მიერ პასუხისმგებლობის დაკისრება, პორტალის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა გამართლებული და პროპორციული იყო, რადგან პორტალმა ვერ შესძლო უკიდურესად შეურაცხმყოფელი ხასიათის კომენტარების თავიდან აცილება, პირიქით ისარგებლა ამით და საშუალება მისცა მათ ავტორებს ანონიმებად დარჩენილიყვნენ. ამდენად ესტონეთის სასამართლოების მიერ დაკისრებული ჯარიმა არ იყო გადაჭარბებული.

2014 წლის 9 იანვარს ,,დელფიმ'' მოითხოვა, საქმე გადასცემოდა დიდ პალატას კონვენციის 43-ე მუხლის (დიდი პალატისთვის საქმის გადაცემა)[10] შესაბამისად. 2014 წლის 17 თებერვალს დიდმა პალატამ

[10] ევროპის ადამიანის უფლებების კონვენციის 43-ე მუხლის მიხედვით პალატის განაჩენის გამოტანის თარიღიდან 3 თვის განმავლობაში ნებისმიერ მხარეს შეუძლია, მოითხოვოს, რომ საქმე გადაეცეს სასამართლოს დიდ პალატას. ასეთ შემთხვევაში განიხილება, წარმოიშვა თუ არა საქმესთან დაკავშირებით სერიოზული კითხვები,

მიიღო ,,დელფის'' მოთხოვნა. საქმეზე მოსმენა გაიმართა 2014 წლის 9 ივლისს.

სასამართლომ, პირველ რიგში, განიხილა ინტერნეტის გამოყენების წინააღმდეგობრივი ბუნება. იგი არის აზრის თავისუფლად გამოხატვის (რომელიც დაცულია კონვენციის მე-10 მუხლით) უპრეცედენტო პლატფორმა და, ასევე, შეიცავს, სიძულვილის ენის გამოყენებით ძალადობის წახალისების საშიშროებას, რაც წამებში ვრცელდება მთელ მსოფლიოში, ზოგჯერ ხელმისაწვდომია ინტერნეტში განუსაზღვრელი ვადით და არღვევს ადამიანის უფლებებს (ისეთ უფლებებს, რომლებიც დაცულია კონვენციის მე-8 მუხლით).

რადგან ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც სასამართლოს უნდა განეხილა განვითარებად ტექნოლოგიურ ინოვაციებთან დაკავშირებული საქმე, მან გადაწყვიტა, შევიწროებინა ძიების ფარგლები მომჩივანი კომპანიის კომპეტენციისა და განსახილველი გამოთქმების ხასიათის გათვალისწინებით. რაც შეეხება ,,დელფის'' კომპეტენციას, დიდმა პალატამ ვერ დაინახა საფუძველი, რომ ეჭვქვეშ დაეყენებინა უმაღლესი სასამართლოს მიერ აღნიშნული განსხვავება პორტალის ოპერატორსა და ბეჭდური მედიის ტრადიციულ გამომცემელს შორის და მიიჩნია, რომ მათი მოვალეობა და პასუხისმგებლობა შესაძლოა, ერთმანეთისგან განსხვავდებოდეს. სასამართლომ, ასევე, განიხილა, რომ უმაღლესმა სასამართლომ ,,დელფის'' პორტალზე განთავსებული კომენტარები დაახასიათა, როგორც უკანონო. ეს შეფასება ეფუძნებოდა იმ ფაქტს, რომ ისინი ერთმნიშვნელოვნად შეიცავდა სიძულვილის ენას და ემსახურებოდა ძალადობის წაქეზებას საბორნე კომპანიის მფლობელის წინააღმდეგ.

რომლებიც გავლენას ახდენს კონვენციის ან მისი ოქმების ინტერპრეტაციასა და გამოყენებაზე ან საერთო მნიშვნელობის სერიოზული საკითხი, რა დროსაც დიდი პალატა გამოიტანს საბოლოო განაჩენს. თუ ასეთი საკითხი ან შეკითხვა არ წარმოიშვება, მოთხოვნა უარყოფილია, რის შემდეგაც განაჩენი გახდება საბოლოო. სხვა შემთხვევაში განაჩენი გახდება საბოლოო სამთვიანი ვადის გასვლის შემდეგ ან უფრო ადრე, თუ მხარეები აცხადებენ, რომ არ აპირებენ დიდი პალატისთვის საქმის გადაგზავნის მოთხოვნას.

ამგვარად, დიდმა პალატამ მიიჩნია, რომ კომენტარები, რომლებიც განისაზღვრა აშკარად უკანონოდ, არ საჭიროებდა ლინგვისტურ ან სამართლებრივ ანალიზს.

შესაბამისად, საქმე ეხებოდა საინფორმაციო ინტერნეტ-პორტალის მოვალეობასა და პასუხისმგებლობას (კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პარაგრაფის მიხედვით), რომელიც კომერციულ საფუძველზე უზრუნველყოფდა პლატფორმას გამოქვეყნებულ მასალაზე მკითხველის კომენტარებისთვის, ზოგიერთი მომხმარებელი, კი როგორც იდენტიფიცირებული, ისე ანონიმი, აშკარად იყენებდა სიძულვილის ენას, რაც არღვევდა სხვა ადამიანების პირად უფლებებს და ემსახურებოდა ძალადობის წაქეზებას. დიდმა პალატამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ,,დელფი'' იყო ესტონეთში ერთ-ერთი უდიდესი საინფორმაციო პორტალი, რომელიც იმართებოდა პროფესიონალების მიერ კომერციულ საფუძველზე, ბეჭდავდა ახალ ამბებთან დაკავშირებულ სტატიებს და სთავაზობდა მკითხველებს, რომ გაეკეთებინათ კომენტარები. უფრო მეტიც, ,,დელფის'' ჰყავდა მკითხველთა ფართო წრე, რომელთა არაჯანსაღი კომენტარები, წახალისებული ,,დელფის'' მიერ საზოგადოების შეშფოთებას იწვევდა.

მეორე მხრივ, საქმე არ ეხებოდა სხვა ინტერნეტ-ფორუმებს, მაგალითად, ფორუმებს ინტერნეტ-დისკუსიისთვის ან განცხადებების სივრცეს, სადაც მომხმარებლებს შეეძლოთ ნებისმიერ საკითხზე საკუთარი იდეების თავისუფლად გამოხატვა ფორუმის ადმინისტრატორის მიერ ნებისმიერი სახით გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევის გარეშე; ან სოციალური მედიის პლატფორმას, სადაც კონკრეტულ შინაარსს არ განსაზღვრავს პლატფორმის პროვაიდერი და სადაც შინაარსის განმსაზღვრელი შეიძლება იყოს კერძო პირი, რომელიც მართავს ვებგვერდს ან ბლოგს საკუთარი ჰობის გამო.

ამიტომ სადავო არ იყო, რომ ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილება ,,დელფის'' გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა იყო, მაგრამ ეს ჩარევა ემსახურებოდა სხვების რეპუტაციისა და უფლებების დაცვის ლეგიტიმურ მიზანს.

თუმცა მხარეების მოსაზრებები კანონის გამოყენებასთან დაკავშირებით განსხვავდებოდა. კერძოდ, ,,დელფი'' ამტკიცებდა, რომ ეროვნული სასამართლოები ცდებოდნენ, რადგან ხელმძღვანელობდნენ მხოლოდ ეროვნული კანონმდებლობით - კონსტიტუციით, სამოქალაქო კოდექსით(ძირითადი პრინციპები) და ვალდებულებების აქტის დებულებებით. განმცხადებლის აზრით, კი ისინი უნდა დაყრდნობოდნენ ეროვნულ და ევროპულ კანონმდებლობას ინტერნეტ-მომსახურების პროვაიდერების შესახებ. ადგილობრივმა სასამართლოებმა ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი დებულებების ინტერპრეტაციით მიიჩნიეს, რომ ,,დელფი'' იყო ,,გამომცემელი/განმსაჯაროებელი'' და პასუხისმგებელი უნდა ყოფილიყო მის საინფორმაციო პორტალზე აშკარად უკანონო კომენტარების ატვირთვისთვის. ადგილობრივმა სასამართლოებმა უპირატესობა მიანიჭეს ამ ნორმების გამოყენებას.

ამდენად, დიდმა პალატამ გადაწყვიტა, რომ ეროვნული კანონმდებლობის ინტერპრეტაცია და გამოყენება ადგილობრივი სასამართლოების პრეროგატივა იყო.

,,დელფი'', როგორც ესტონეთში ერთ-ერთი უდიდესი საინფორმაციო პორტალის ეკონომიკური მიზნით გამომცემელი, შესაბამისი კანონმდებლობის და პრეცედენტული სამართლის საქმის კურსში უნდა ყოფილიყო და, ასევე, უნდა გაევლო სამართლებრივი კონსულტაციები. უფრო მეტიც, სადავო კომენტარების გამოქვეყნებამდე უკვე არსებობდა საზოგადოების შეშფოთება და იუსტიციის მინისტრის განცხადება, რომ შეურაცხყოფის მსხვერპლთ შეეძლოთ ,,დელფის'' წინააღმდეგ საქმის აღძვრა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა. ამგვარად, დიდმა პალატამ, მიიჩნია რა, რომ ,,დელფი'' ისეთ მდგომარეობაში იყო, რომ უნდა შეეფასებინა მის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები და უნდა შესძლებოდა მიზანშეწონილ ფარგლებში წინასწარ დაენახა შესაძლო შედეგები, დაასკვნა, რომ ,,დელფის'' გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა ,,განსაზღვრული იყო კანონით''.

შესაბამისად, მიჩნეული იქნა, რომ ,,დელფის'' მიერ საინფორმაციო პორტალზე შეურაცხმყოფელი, სიძულვილის ენის შემცველი, ძალადობის წამქეზებლი კომენტარების გამოქვეყნებაზე არ ვრცელდებოდა კონვენციის მე-10 მუხლის შესაბამისი დაცვა და არ უნდა განეხილათ ამ კომენტარების ავტორთა გამოხატვის თავისუფლების დარღვევის საკითხი. დიდი პალატის წინაშე მდგარი ამოცანა იყო იმის გარკვევა, არღვევდა თუ არა ეროვნული სასამართლოების მიერ ,,დელფისთვის'' გამოქვეყნებული კომენტარების გამო პასუხისმგებლობის დაკისრება მის ინფორმაციის გავრცელების თავისუფლებას, რაც გარანტირებული იყო კონვენციის მე-10 მუხლით.

დიდმა პალატამ განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა კომენტარების ექსტრემალურ ხასიათს და იმ ფაქტს, რომ ,,დელფი'' იყო საინფორმაციო ინტერნეტ-პორტალი, რომელიც იმართებოდა პროფესიონალების მიერ კომერციულ საფუძველზე და ცდილობდა, მის მიერ გამოქვეყნებულ სტატიებზე მკითხველებს რაც შეიძლება მეტი კომენტარი გაეკეთებინათ. უფრო მეტიც, როგორც უმაღლესმა სასამართლომ აღნიშნა, ,,დელფის'' ჰქონდა ეკონომიკური ინტერესი კომენტარების გამოქვეყნების მიმართ. მათ ავტორებს არ შეეძლოთ კომენტარების რედაქტირება ან წაშლა მათი გამოქვეყნების შემდეგ, ამის ტექნიკური საშუალება ჰქონდა მხოლოდ "დელფის". ამიტომ დიდი პალატა დაეთანხმა უმაღლესი სასამართლოსა და პალატას, რომ მიუხედავად იმისა, ,,დელფი'' არ იყო სადავო კომენტარების რეალური ავტორი, ეს არ ნიშნავდა, რომ მას არ ჰქონდა ამ კომენტარების კონტროლის საშუალება და რომ მისი მონაწილეობა პორტალის სტატიებზე გაკეთებული კომენტარების გასაჯაროებაში სცდებოდა მომსახურების მიწოდების პასიურ, წმინდა ტექნიკურ ხასიათს.

ამავე დროს, ,,დლფიმ'' არ უზრუნველყო კომენტარების რეალური ავტორებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების რეალური პერსპექტივა. საბორნე კომპანიის მფლობელს შეეძლო, აღეძრა საქმე როგორც დამამცირებელი კომენტარების კონკრეტული ავტორების მიმართ, ისე ,,დელფის'' წინააღმდეგ, თუმცა ,,დელფიმ'' საშუალება

მისცა მკითხველებს, გაეკეთებინათ კომენტარები მათი სახელების რეგისტრაციის გარეშე და გაურკვეველია, მიიიღო თუ არა ზომები მათი ვინაობის იდენტიფიცირებისთვის. ,,დელფიმ'', ასევე, არ უზრუნველყო მექანიზმები იმისათვის, რომ მომხადარიყო კომენტარების ავტორებთა იდენტიფიცირება, რაც საშუალებას მისცემდა სიძულვილის ენის მსხვერპლს, აღეძრა საჩივარი.

და კიდევ, ,,დელფის'' მიერ მიღებული ზომები ცილისმწამებლური კომენტარების თავიდან ასაცილებლად ან მათი გამოქვეყნების შემდეგ დაუყოვნებლივ წასაშლელად არ იყო საკმარისი. მას ჰქონდა სიძულვილის ენის შემცველი ან ძალადობის წამქეზებელი კომენტარების გასაფილტრად საჭირო მექანიზმები, კერძოდ: განაცხადი პასუხისმგებლობის შესახებ (რომ კომენტარების ავტორები პასუხისმგებელი იყვნენ კომენტარის შინაარსზე და შეურაცხმყოფელი ან მუქარის შემცველი კომენტარების გამოქვეყნება დაუშვებელია), ვულგარული სიტყვების შემცველი კომენტარების ავტომატური წაშლის სისტემა და შეტყობინების სისტემა (რომლის საშუალებითაც მომხმარებლებს შეეძლოთ პორტალის ადმინისტრატორისთვის შეურაცხმყოფელი კომენტარის შესახებ შეტყობინება მხოლოდ ერთ ღილაკზე დაწკაპუნებით). მიუხედავად ამისა, ვერ იმუშავა როგორც ავტომატური ფილტრაციის სისტემამ, ისე შეტყობინების სისტემამ, რომ გაფილტრულიყო ,,დელფის'' მკითხველების კომენტარები, რომლებიც აშკარად შეიცავდა სიძულვილის ენას და საბორნე კომპანიის მფლობელის მიმართ მუქარას. შედეგად, კომენტარები ხელმისაწვდომი იყო ინტერნეტ-სივრცეში 6 კვირის განმავლობაში. დიდმა პალატამ მიიჩნია, რომ დისპროპორციული არ იყო ,,დელფის'' დავალდებულება, საკუთარი ვებგვერდიდან დაუყოვნებლივ წაეშალა აშკარად უკანონო კომენტარები სავარაუდო მსხვერპლის ან მესამე მხარის შეტყობინების გარეშეც, რომელთა ინტერნეტის მონიტორინგის შესაძლებლობები გაცილებით შეზღუდულია, ვიდრე ისეთი დიდი მასშტაბის კომერციული საინფორმაციო ინტერნეტ-პორტალისა, როგორიც იყო ,,დელფი''.

ბოლოს, დიდი პალატა დაეთანხმა პალატას, რომ ,,დელფისთვის'' დაკისრებული პასუხისმგებლობის ზომა - 320 ევრო ჯარიმა არ იყო დიდი ესტონეთში ერთ-ერთი უდიდესი ინტერნეტ-პორტალისთვის, მითუმეტეს, რომ მის პოპულარობაზე ამ კომენტარების გამოქვეყნებას გავლენა არ მოუხდენია. პირიქით, მათი გამოქვეყნებული კომენტარების რაოდენობა გაიზარდა. ხელმისაწვდომი გახდა კომენტარების გამოქვეყნება რეგისტრირებული მომხმარებლისთვის, თუმცა ანონიმი ავტორების კომენტარების რაოდენობა კვლავ გაცილებით მეტია. "დელფიმ" რეაგირების მიზნით შექმნა მოდერატორების ჯგუფი. გარდა ამისა, ინტერნეტ-ოპერატორებისთვის ხელშესახები შედეგი ის იყო, რომ ეროვნულ სასამართლოებში "დელფის" საქმის შემდეგ აღძრულ საქმეებზე ხორციელდებოდა შეურაცხმყოფელი კომენტარების აღრიცხვა, მაგრამ არ ხდებოდა კომპენსაციის გადახდის დაკისრება.

საქმესთან დაკავშირებით ზემოაღნიშნული ასპექტების კონკრეტულად შეფასების საფუძველზე და უმაღლესი სასამართლოს არგუმენტაციის გათვალისწინებით, დიდმა პალატამ დაადგინა, რომ ესტონეთის სასამართლოების მიერ "დელფისთვის" პასუხისმგებლობის დაკისრება და პორტალის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა იყო გამართლებული და პროპორციული. შესაბამისად, არ დარღვეულა კონვენციის მე-10 მუხლი.

სიძულვილის ენა ევროპის კავშირის წევრი ქვეყნების კანონმდებლობაში

სიძულვილის ენის ფენომენმა მეტი აქტუალობა შეიძინა მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ. ბევრ ევროპულ ქვეყანაში გამკაცრდა კანონმდებლობა და სულ უფრო მკაცრდება რასობრივი და რელიგიური სიძულვილის გამოვლენის მიზნით. იგი მოიცავს როგორც სისხლის სამართლის, ასევე სამოქალაქო სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

ქვეყნების უმეტესობაში ჩამოყალიბებული არ არის სიძულვილის ენის მკაფიოდ განსაზღვრული განმარტება მიუხედავად იმისა, რომ სიძულვილის გამომხატველი ქმედებები მრავალგვარია და სისხლის სამართლის კოდექსით კრიმინალიზებულია.

დანიის სისხლის სამართლის კოდექსის 266 (ბ) მუხლი დანაშაულად აცხადებს პირის ქმედებას, ვინც საჯაროდ ან ფართო გავრცელების მიზნით გამოდის განცხადებით ან გადასცემს ინფორმაციას, რომელიც ემუქრება, შეურაცხყოფს და საფრთხეს უქმნის პირთა ჯგუფს მათი რასის, ეროვნული ან ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიური კუთვნილების, სექსუალური ორიენტაციის გამო. სანქცია განსაზღვრულია ჯარიმით ან ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთით. თუ ასეთი ქმედება ატარებს პროპაგანდის ხასიათს - ეს უნდა ჩაითვალოს დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებად.

საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსის R.624-3 მუხლის მიხედვით დიფამაცია მიმართული რომელიმე პირის ან პირთა ჯგუფის მიმართ, მათი რეალური ან სავარაუდო კუთვნილობის გამო რომელიმე გარკვეული ეთნიკური ჯგუფის, ეროვნულობის, რასის ან რელიგიის, სქესის ან სექსუალური ორიენტაციის გამო, ისჯება ჯარიმით.

R.624-4 მუხლის მიხედვით საჯარო შეურაცხყოფა მიმართული რომელიმე პირის ან პირთა ჯგუფის მიმართ მათი რეალური ან სავარაუდო კუთვნილების გამო, რომელიმე ეთნიკური ჯგუფის,

ეროვნულობის, რასის ან რელიგიის, სქესის ან სექსუალური ორიენტაციის გამო,ასევე ისჯება ჯარიმით. ამ მუხლებით გასამართლებულ პირს სხვა სახის სასჯელიც ედება.

მუხლი R.625-7-ის მიხედვით დისკრიმინაციის, სიძულვილის ან ძალადობის წახალისება მიმართული რომელიმე პირის ან პირთა ჯგუფის მიმართ, მათი რეალური ან სავარაუდო წარმოშობის გამო, რომელიმე გარკვეული ეთნიკური ჯგუფის, ეროვნულობის, რასის ან რელიგიის, სქესის ან სექსუალური ორიენტაციის გამო ისჯება ჯარიმით. ეს მუხლი ასევე ითვალისწინებს იურიდიული პირის პასუხისმგებლობასაც.

1990 წლიდან საფრანგეთში ებრაელთა გენოციდის უარყოფა ითვლება სისხლის სამართლის დანაშაულად.

საფრანგეთში სიძულვილის ენასთან ბრძოლაში ძალზედ აქტიურად არის ჩართული არასამთავრობო ორგანიზაციები, უმეტესი საქმეები სწორედ რასიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ორგანიზაციების მიერ წარდგენილი საჩივრის შემდგომ აღიძვრება ხოლმე. ამ ორგანიზაციებს სახელწიფო ბრალდებასთან ერთად პარალელურად უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ ამ პროცესში.

ამასთან საფრანგეთში სიძულვილის ენის საქმეებზე ძალზედ გავრცელებულია დაჯარიმება და ზარალის ანაზღაურების მოთხოვნა.

2008 წელს მსახიობ ბრიჯიტ ბარდოს პარიზის სასამართლოში ბრალი წაუყენეს რასობრივი სიძულვილის გაღვივებაში მისი წერილის გამო სადაც იგი აღნიშნავდა, რომ ,,მუსლიმები ანგრევენ საფრანგეთს და თავს ახვევენ ქვეყანას მათთვის სასარგებლო გადაწყვეტილებების მიღებას'' იგი ასევე მიუღებლად მიიჩნევდა მუსლიმთა დღესასწაულის დროს ცხვრის რიტუალურ დაკვლას. მსახიობი € 15,000 ოდენობის თანხით დააჯარიმეს. 1997 წლიდან ეს იყო ამგვარი მეხუთე პრეცედენტი.

2002 წელს ფრანგი ავტორის, მაიკლ ჰოუელებეკის, წინააღმდეგ დაიწყო საქმის წარმოება. მას ბრალად ედებოდა დისკრიმინაციის, სიძულვილის და ძალადობის პროვოცირება. თავის ინტერვიუში ჰოუელებეკი ისლამს იხსენიებდა, როგორც „ყველაზე სულელურ რელიგიას“ და აცხადებდა, რომ ყურანის წაკითხვის შემდეგ იგი განადგურებული იყო. მოსარჩელე მხარეს წარმოადგენდა ოთხი მუსლიმური ჯგუფი. ასევე, ბრალი წაუყენეს ჟურნალს, რომელმაც ეს ინტერვიუ გამოაქვეყნა. მოსარჩელეთა წრეს შეუერთდა საფრანგეთის ადამიანის უფლებათა ლიგა.

სასამართლოს მოსაზრებით, ჰოუელებეკი გამოხატავდა სიძულვილს ისლამის მიმართ და არა ამ რელიგიის მიმდევრების მისამართით. ამასთან, მისი გამონათქვამები არ ახდენდა სხვების წახალისებას, გაეზიარებინათ ავტორის შეხედულებები. აქედან გამომდინარე, ჰოუელებეკი სასამართლომ დამნაშავედ არ ცნო.

ჰოლანდიის სისხლის სამართლის კოდექსის 137 (გ) და 137 (დ) მუხლებით იკრძალება საჯარო განზრახ შეურაცხყოფა, ისევე როგორც სიტყვიერად ან წერილობით სიძულვილის გაღვივება, რასის, რელიგიის, სექსუალური ორიენტაციის გამო ან პირის პირადი მრწამსის გამო.

სისხლის სამართლის კანონდებლობის თანახმად, სიძულვილის დანაშაული არის დანაშაული ჩადენილი რასის, კანის ფერის, რელიგიის, ეროვნული ან ეთნიკური წარმომავლობის, შშმ პირის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის ან სხვა პირის გენდერული იდენტობის გამო. ასეთი ქმედებები უნდა იქნეს მიჩნეული დამამძიმებელი გარემოებად.

ესპანეთის სისხლის სამართლის კოდექსის 510 -ე მუხლის თანახმად ყველა პირი, რომელიც პროვოცირებას უწევს სიძულვილს, დისკრიმინაციას, ან ძალადობას ჯგუფზე ან ასოციაციებზე, რასობრივი ან ანტი-სემიტური მოტივით, ან რაიმე იდეოლოგიასთან ან

რელიგიასთან და რწმენასთან, ან ოჯახურ მდგომარეობასთან დაკავშირებით, ეთნიკურ ჯგუფთან, სქესთან, სექსუალურ ორიენტაციასთან, შეზღუდული შესაძლებლობასთან დაკავშირებით, შესაძლებელია დაისაჯონ თავისუფების აღკვეთით ერთიდან სამ წლამდე ან ჯარიმით.

ლიტვაში სისხლის სამართლის კოდექსის 170-ე მუხლით დასჯადია სიძულვილის წაქეზება ნებისმიერი ნაციონალური, რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური ან სხვა ჯგუფის მიმართ.

პირი რომელიც გავრცელების მიზნით ამზადებს, ყიდულობს, აგზავნის, ტრანსპორტირებას უწევს ან ინახავს მასალებს, რომლებიც გამოხატავენ სიძულვილს, დასცინის ან აქეზებს დისკრიმინაციას პირის, ან პირთა ჯგუფის მიმართ დაფუძნებულს სქესზე, სექსუალურ ორიენტაციაზე, რასაზე, ნაციონალურ კუთვნილებაზე, ენაზე, წარმომავლობაზე, სოციალურ სტატუსზე, რელიგიაზე, რწმენაზე ან შეხედულებებზე ან ძალადობის და ფიზიკური ზემოქმედების წაქეზება ასეთი ჯგუფის ან პირის მიმართ, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ან თავისუფლების აღკვეთით ერთ წლამდე.

პირი რომელიც საჯაროდ დასცინის, შეურაცხყოფს, ან ამკვიდრებს სიძულვილს ან აქეზებს დისკრიმინაციას, პირის ან პირთა ჯგუფის მიმართ მისი კუთვნილების გამო სქესის, სექსუალური ორიენტაციის, რასის, ნაციონალობის, ენის, წარმომავლობის, სოციალური სტატუსის, რელიგიის, რწმენის ან შეხედულებების გამო ან აქეზებს ძალადობას ან ფიზიკური ზემოქმედებას ჯგუფზე ან პირის მიმართ, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ან თავისუფლების აღკვეთით ორ წლამდე.

იურიდიული პირები ასევე არიან პასუხიმგებლები ზემოთ მოყვანილი ქმედებებისათვის.

ასევე ისჯება ამა თუ იმ პირთა ჯგუფის მიმართ დისკრიმინაციის წასაქეზებლად ორგანიზაციის შექმნა და მასში მონაწილეობა.

პირი რომელიც შექმნის ორგანიზაციას ან ჯგუფს რომელიც მიზნად ისახავს პირის ან პირთა ჯგუფის დისკრიმინაციას სქესის, სექსუალური ორიენტაციის, რასის, ნაციონალობის, ენის, წარმომავლობის, სოციალური სტატუსის, რელიგიის, რწმენის ან შეხედულებების ნიდაგზე ან მონაწილეობა ასეთ ჯგუფში, ან დაფინანსება, ან სხვაგვარი მხარდაჭერა ასეთი ჯგუფისა, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ან თავისუფლების აღკვეთით ერთ წლამდე.

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად ყველა ვინც კი საზოგადოებრივი სიმშვიდის დარღვევით აღვივებს სიძულვილს ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური ჯგუფის მიმართ, მოსახლეობის რომელიმე ფენის წინააღმდეგ ან ადამიანების მიმართ ერთ-ერთ ზემოაღნიშნული ჯგუფიდან ან მოსახლეობის ფენიდან ან მოუწოდებს ძალადობრივ ან თვითნებურ ქმედებებს ან ხელყოფს ადამიანის ღირსებას, შეურაცხყოფს პირს რომელიმე ზემოთ აღნიშნული ჯგუფის კუთვნილების გამო შეიძლება შეეფარდოს სასჯელი 3 თვიდან 5 წლამდე ვადით.

ყველა ვინც კი წერილობითი მასალით აღვივებს სიძულვილს რომელიმე ზემოაღნიშნული ჯგუფის მიმართ ან პირის მიმართ მისი კუთვნილების გამო ზემოაღნიშნულ რომელიმე ჯგუფთან და რომელიც მოუწოდებს ძალადობრივ ან თვითნებური ქმედებებისაკენ მათ წინააღმდეგ ან რომელიც ხელყოფს მათ ადამიანურ ღირსებებს და აყენებს შეურაცხყოფას, წინასწარი განზრახვით :

ა. ავრცელებს ასეთ წერილობით მასალებს;

ბ. საჯარო ჩვენებით, შეტყობინებით, ჩუქებით, ან სხვაგვარი ხელმისაწვდომი საშუალებები;

გ.თავაზობს, გადასცემს ან ხდის ხელმისაწვდომად 18 წლამდე მიუღწეველი პირისათვის;

დ. აწარმოებს, იღებს, აწვდის, აცხადებს, რეკომენდაციას უწევს, იღებს ვალდებულებას განახორციელოს იმპორტი ან ექსპორტი, რათა გამოიყენოს ეს მასალები ან მათი ასლები ან ხელმისაწვდომი გახადოს მისი გამოყენება სხვებისთვის.

მსგავსი შინაარსის მასალების გავრცელება რადიო ან სატელეკომუნიკაციო საშუალებებით შეიძლება დასჯადი იყოს სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთით ან ჯარიმით.

გერმანიაში უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში სიძულვილის დანაშაულებებზე ინსტიტუციური რეაგირების გაუმჯობესებისათვის ძალზედ ბევრი კეთდება. ხდება პოლიციის მიერ ასეთი დანაშაულის უფრო ეფექტურად რეაგირება და აღწერა. შექმნილია პრევენციის პროგრამები ახალგაზრდების ექსტრემისტულ ჯგუფებში მონაწილეობისგან დასაცავად და იმ სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფების მხარდასაჭერად რომლებიც მუშაობენ ამ პრობლემატიკაზე. ხორცილდება ადგილობრივი პროგრამები, რომლებიც ეხება მემარჯვენე ექსტრემიზთან, ქსენოფობიასა და ანტისემიტიზმთან ბრძოლას.

ინგლისში გათვალისწინებულია სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დამამცირებელ, შეურაცხმყოფელ და მუქარის შემცველ გამონათქვამებზე ან ქმედებებზე, რომელიც წინასწარ განზრახულად აღვივებს რასობრივ სიძულვილს ან რეალურად შეუძლია გამოიწვიოს ასეთი სიძულვილი (სექცია 18 და 19 ,,საზოგადოებრივი წესრიგის აქტი“ 1986 წ.) მსგავსი შინაარსის დებულებები შეიძლება ვნახოთ ასევე შემდეგ აქტებში: ,,სისხლის სამართლისა და საზოგადოებრივი წესრიგის აქტი'' 1994წ. ,,ანტიტერორისტული, დანაშაულისა და უშიშროების'' აქტი 2001წ. ,,რასობრივი და რელიგიური სიძულვილის'' აქტი 2006წ. და სხვ.

საინტერესოა, რომ ევროპის კავშირის წევრ უმეტეს ქვეყანაში რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფასა და ღვთის გმობაზე დაწესებულია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

ესპანეთში პირს, რომელიც შებღალავს რომელიმე რელიგიური აღმსარებლობის მიმდევრის გრძნობებს საჯაროდ (სიტყვიერად, წერილობით თუ სხვა სახის დოკუმენტით), შეურაცხყოფს მათ მოძღვრებას, რწმენას, რიტუალებსა და ცერემონიებს ან, ასევე, საჯაროდ დაამცირებს და შეურაცხყოფას მიაყენებს ამ აღმსარებლობის მიმდევარ პირებს, შეიძლება დაეკისროს ჯარიმა რვიდან თორმეტ თვემდე გამომუშავებული თანხის ოდენობით.

პირთა მიმართ, რომლებიც საჯაროდ (სიტყვიერად, წერილობით თუ სხვა სახის დოკუმენტით) დაამცირებენ თუ შეურაცხყოფენ ნებისმიერ ადამიანს, რომელიც არც ერთი რელიგიური აღმსარებლობის მიმდევარი არ არის, სასჯელის იგივე ზომა გამოიყენება (სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ.525-ე).

2008 წელს ინგლისში, უელსში, შოტლანდიასა და ჩრდილოეთ ირლანდიაში მკრეხელობას, მიმართულს მხოლოდ ქრისტიანული (ანგლიკანური) ეკლესიის წინააღმდეგ, დანაშაულის კვალიფიკაცია მოეხსნა და მიღებულ იქნა ,,სისხლის სამართალისა და იმიგრაციის აქტი“ , რომლითაც დაწესდა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა შემდეგ საკითხებზე: ექსტრემალური პორნოგრაფია, ბავშვთა პორნოგრაფია, სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაული და ა.შ.

ნიდერლანდებში 2014 წლიდან ღვთის გმობა, როგორც სისხლის სამართლის დანაშაული გაუქმებულია.

ფინეთში პირი, რომელიც საჯაროდ მკრეხელობს ღმერთის მიმართ ან შეურაცხყოფის მიზნით საჯაროდ სწამებს ცილს ან ამცირებს იმას, რაც სიწმინდედ არის აღიარებული ეკლესიის ან რელიგიური საზოგადოების

მიერ, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით, მაქსიმუმ ექვსი თვის ვადით (სისხლის სამართლის კოდექსი, თავი 17, მუხლი მე-10).

იტალიაში, სისხლის სამართლის კოდექსის 403-406-ე, 724-ე მუხლების მიხედვით ისჯება ღვთის გმობა (რომელ რელიგიასაც უნდა ეხებოდეს იგი), სასულიერო პირების შეურაცხყოფა მათი რელიგიური მოწოდებიდან გამომდინარე, საკულტო ნივთების შეურაცხყოფა, რელიგიური ცერემონიებისათვის ხელის შეშლა. სანქცია - ჯარიმა ან სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთა.

ავსტრიაში, სისხლის სამართლის კანონის 188-ე მუხლის მიხედვით, პირი, რომელიც დასცინის ან მასხრად იგდებს პირს, ეკლესიას, რელიგიურ ერთობას, თაყვანისცემის საგანს ავსტრიის ტერიტორიაზე, ან რელიგიურ დოქტრინას, კანონით დაშვებულ ტრადიციას, კანონიერ დაწესებულებას, რომელიც ეკლესიას ან რელიგიურ ერთობას ექვემდებარება, ისეთ გარემოებაში, როდესაც ასეთმა ქცევამ შეიძლება გამოიწვიოს მშვიდობის დარღვევა, ისჯება პატიმრობით ექვს თვემდე ან ჯარიმით 360 დღიურ შენატანამდე.

საბერძნეთში პირი, ვინც საჯაროდ და წინასწარი განზრახვით და ნებისმიერი საშუალებით მკრეხელობს ღმერთის მიმართ, ისჯება თავისუფლების აღკვეთით არაუმეტეს ორი წლისა. ვინც მკრეხელურად საჯაროდ ავლენს უპატივცემულობას ღვთის მიმართ, ისჯება თავისუფლების აღკვეთით არაუმეტეს სამი თვის ვადით, ხოლო ვინც საჯაროდ და წინასწარ განზრახვით და ნებისმიერი საშუალებით მკრეხელობს ბერძნული ეკლესიისა და საბერძნეთში აღიარებული სხვა რელიგიების მიმართ, ისჯება თავისუფლების აღკვეთით არაუმეტეს ორი წლისა (198-ე და 199-ე მუხლები).

პოლონეთში ის, ვინც შელახავს რელიგიურ გრძნობებს ღვთისმსახურების საგნის ან ადგილის მიმართ საჯარო ცილისწამებით, ისჯება ჯარიმით, თავისუფლების შეზღუდვით ან თავისუფლების აღკვეთით, მაქსიმუმ, 2 წლამდე ვადით (მუხ.196-ე).

მსგავსი დებულებები შეიძლება ვნახოთ კვიპროსის, უნგრეთის, მალტის, ირლანდიის, დანიის და სხვ. ასევე ევროკავშირის არაწევრი ისლანდიის, ნორვეგიის და შვეიცარიის კანონდებლობაში.

საქართველოს კონსტიტუცია და კანონები

საქართველოს კანონმდებლობით სიმულვილის ენა კრიმინალიზებული არ არის. თუმცა სახეზეა რიგი საკანონმდებლო აქტებისა, რომელიც იძლევა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის გარანტიას და კრძალავს დისკრიმინაციას, პირთა თანასწორუფლებიანობის დარღვევას, შუღლის გაღვივებას, ძალადობისაკენ მოწოდებას და ა.შ.

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის მიხედვით ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.

მე-19 მუხლი არეგულირებს ადამიანის სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება. კერძოდ: ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება; დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ; დაუშვებელია ამ მუხლში ჩამოთვლილ თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს.

24-ე მუხლის მიხედვით ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს

თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით; მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია. ცენზურა დაუშვებელია; სახელმწიფოს ან ცალკეულ პირებს არა აქვთ მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის უფლება; ამ მუხლის პირველ და მეორე პუნქტებში ჩამოთვლილ უფლებათა განხორციელება შესაძლებელია კანონით შეიზღუდოს ისეთი პირობებით, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიალური მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 25-ე იძლევა შეკრებებისა და მანიფეტაციების თავისფლების გარანტიას. ყველას, გარდა იმ პირებისა, რომლებიც არიან სამხედრო ძალებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში, უფლება აქვს წინასწარი ნებართვის გარეშე შეიკრიბოს საჯაროდ და უიარაღოდ, როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ; კანონით შეიძლება დაწესდეს ხელისუფლების წინასწარი გაფრთხილების აუცილებლობა, თუ შეკრება ან მანიფესტაცია ხალხისა და ტრანსპორტის სამოძრაო ადგილას იმართება; ხელისუფლებას შეუძლია შეკრების ან მანიფესტაციის შეწყვეტა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან კანონსაწინააღმდეგო ხასიათი მიიღო.

26-ე მუხლი არეგულირებს გაერთიანებების თავისუფლებას. ყველას აქვს საზოგადოებრივი გაერთიანებების, მათ შორის პროფესიული კავშირების შექმნისა და მათში გაერთიანების უფლება; საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ ორგანული კანონის შესაბამისად შექმნან პოლიტიკური პარტია, სხვა გაერთიანება და მონაწილეობა მიიღონ მის საქმიანობაში; დაუშვებელია ისეთი საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაერთიანების შექმნა და საქმიანობა, რომლის მიზანია საქართველოს

კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს; დაუშვებელია საზოგადოებრივ და პოლიტიკურ გაერთიანებათა მიერ შეიარაღებული ფორმირებების შექმნა; პირი, რომელიც ჩაირიცხება სამხედრო ძალების ან შინაგან საქმეთა ორგანოების პირად შემადგენლობაში, გამწესდება მოსამართლედ ან პროკურორად, წყვეტს პოლიტიკური გაერთიანების წევრობას. საზოგადოებრივ და პოლიტიკურ გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერება ან მათი აკრძალვა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, ორგანული კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

მუხლი 38-ე ხაზს უსვამს მოქალეთა თანასწორობას. საქართველოს მოქალაქენი თანასწორი არიან სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში განურჩევლად მათი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად მათ უფლება აქვთ თავისუფლად, ყოველგვარი დისკრიმინაციისა და ჩარევის გარეშე განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში და საჯაროდ; საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად, უმცირესობათა უფლებების განხორციელება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს სუვერენიტეტს, სახელმწიფო წყობილებას, ტერიტორიულ მთლიანობასა და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას.

მუხლი 39-ე მიხედვით საქართველოს კონსტიტუცია არ უარყოფს ადამიანისა და მოქალაქის სხვა საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, თავისუფლებებსა და გარანტიებს, რომლებიც კონსტიტუციაში არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობენ კონსტიტუციის პრინციპებიდან.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (ამონარიდები)

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი მოიცავს რამდენიმე დებულებას ადამიანის უფლებათა დასაცავად, რომელთა შორისაა თანასწორობის უფლება. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლის 53[1] მიხედვით დანაშაულის ჩადენა რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერის, გენდერული იდენტობის, ასაკის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, შეზღუდული შესაძლებლობის, მოქალაქეობის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან დისკრიმინაციის შემცველი სხვა ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისათვის.

მუხლი 142-ე აწესებს სასჯელს ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევისათვის. ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა მათი ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების გამო ან სხვა ნიშნით, რამაც არსებითად ხელყო ადამიანის უფლება ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ან/და თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

იგივე ქმედება: სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ან რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება ლიკვიდაციით ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან/და ჯარიმით.

მუხლი 142[1]-ის მიხედვით ისჯება რასობრივი დისკრიმინაცია. რასობრივი დისკრიმინაცია, ესე იგი ქმედება, ჩადენილი ეროვნული ან რასობრივი მტრობის ან განხეთქილების ჩამოგდების, ეროვნული პატივისა და ღირსების დამცირების მიზნით, აგრეთვე რასის, კანის ფერის, ეროვნული ან ეთნიკური კუთვნილების ნიშნით ადამიანის უფლებების პირდაპირი ან არაპირდაპირი შეზღუდვა ანდა იმავე ნიშნით ადამიანისათვის უპირატესობის მინიჭება, რამაც არსებითად ხელყო მისი უფლება, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

იგივე ქმედება, ჩადენილი სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით; სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე.

ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება ჩადენილი პირთა ჯგუფის მიერ; რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე.

ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება ლიკვიდაციით ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან/და ჯარიმით.

მუხლი 142[2] მიხედვით შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისათვის კანონით ან/და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით მინიჭებული უფლების განხორციელებაზე უარის თქმა, რამაც არსებითად ხელყო მისი უფლება ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ან/და თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

იგივე ქმედება ჩადენილი არაერთგზის; ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით; რასაც თან ახლდა ძალადობა ან ძალადობის გამოყენების მუქარა; რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით ხუთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე.

ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება ლიკვიდაციით ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან/და ჯარიმით.

დასჯადია დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა. კერძოდ 144[3]-ს მუხლის მიხედვით პირის დამცირება ან იძულება, არაადამიანურ, ღირსებისა და პატივის შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენება, რაც მას ძლიერ ფიზიკურ, ფსიქიკურ ტკივილს ან მორალურ ტანჯვას აყენებს ისჯება ჯარიმით, თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან შვიდ წლამდე.

იგივე ქმედება, ჩადენილი მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ; სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით; არაერთგზის; ორი ან მეტი პირის მიმართ; ჯგუფურად; ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევით, მათი რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, აღმსარებლობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური, სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის გამო; დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის, არასრულწლოვნის, დაკავებული ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული, უმწეო მდგომარეობაში მყოფი ანდა დამნაშავეზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის მიმართ; შეკვეთით მძევლად ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებით ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან ათ წლამდე, ჯარიმით, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით ხუთ წლამდე ან უამისოდ.

მუხლი 155-ე დანაშაულად აცხადებს რელიგიური წესის აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლას. ღვთისმსახურების ან სხვა რელიგიური წესისა თუ ჩვეულების აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა ძალადობით ან ძალადობის მუქარით, ანდა თუ მას ახლდა მორწმუნის ან ღვთისმსახურის რელიგიური გრძნობის შეურაცხყოფა ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე. იგივე ქმედება, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან ხუთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

156-ე მუხლის მიხედვით ისჯება დევნა. ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობის, რწმენის ან მრწამსის გამო, ანდა მის პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, პროფესიულ, რელიგიურ ან მეცნიერულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

იგივე ქმედება ძალადობით ან ძალადობის მუქარით; სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით; რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

მუხლი 166-ე მიხედვით, პოლიტიკური, საზოგადოებრივი ან რელიგიური გაერთიანების შექმნისათვის ან მისი საქმიანობისათვის უკანონოდ ხელის შეშლა ძალადობით, ძალადობის მუქარით ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ან თავისუფლების შეზღუდვით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

დასჯადია ძალადობრივი ქმედებისაკენ საჯაროდ მოწოდება. რასობრივი, რელიგიური, ეროვნული, კუთხური, ეთნიკური,

სოციალური, პოლიტიკური, ენობრივი ან/და სხვა ნიშნის მქონე პირთა ჯგუფებს შორის განხეთქილების ჩამოსაგდებად ძალადობრივი ქმედებისაკენ ზეპირად, წერილობით ან გამოხატვის სხვა საშუალებით საჯაროდ მოწოდება, თუ ეს ქმნის ძალადობრივი ქმედების განხორციელების აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ორასიდან ოთხას საათამდე. იგივე ქმედება, რასაც მოჰყვა ადამიანის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე.

ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება ლიკვიდაციით ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით და ჯარიმით (მუხლი 239[1]).

მუხლი 408-ე განმარტავს და სანქციას აწესებს დანაშაულზე ადამიანურობის წინააღმდეგ. დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ, ესე იგი ნებისმიერი ქმედება, ჩადენილი სამოქალაქო მოსახლეობაზე ან პირებზე ფართომასშტაბიანი ან სისტემატური თავდასხმის ფარგლებში, რაც გამოიხატა მკვლელობით, ადამიანთა მასობრივი განადგურებით, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებით, დეპორტაციით, თავისუფლების უკანონო აღკვეთით, წამებით, გაუპატიურებით, სქესობრივ მორჩილებაში ყოლით, პროსტიტუციის იძულებით, იძულებით ორსულობით, ძალადობითი სტერილიზაციით, პირთა ჯგუფის დევნით პოლიტიკური, რასობრივი, ეროვნული, ეთნიკური, კულტურული, რელიგიური, სქესობრივი ან სხვა ნიშნის საფუძველზე, აპარტეიდითა და სხვა არაჰუმანური ქმედებით, რომლებიც სერიოზულ ზიანს აყენებს ადამიანის ფიზიკურ ან/და ფსიქიკურ მდგომარეობას ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თორმეტიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთით.

სხვა კანონები

საქართველოს კანონი *„შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ"* აწესრიგებს პირების მიერ საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული უფლების განხორციელებას – წინასწარი ნებართვის გარეშე შეიკრიბონ საჯაროდ და უიარაღოდ, როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ.

ეს უფლება არ ვრცელდება შეიარაღებული ძალების, შეიარაღებული სამართალდამცავი ორგანოების, სპეციალური და გასამხედროებული დაწესებულებების მოსამსახურეებზე.

დაუშვებელია შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზებისას და ჩატარებისას მოწოდება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობისაკენ ან ძალადობით შეცვლისაკენ, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფისა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისაკენ, ან ისეთი მოწოდება, რომელიც არის ომისა და ძალადობის პროპაგანდა, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს და ქმნის ამ პუნქტით გათვალისწინებული ქმედების აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს (მე-2 და მე-11 მუხლები).

საქართველოს კანონის *„მაუწყებლობის შესახებ"* მიზანია სახელმწიფო ჩარევისაგან დამოუკიდებელი საზოგადოებრივი მაუწყებლობის ფორმირება, მაუწყებლობის სფეროში საქმიანობის რეგულირება გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და მიუკერძოებლობის პრინციპების შესაბამისად, დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს მეშვეობით; სიტყვისა და აზრის თავისუფლების, მაუწყებელთა შორის კონკურენტული გარემოს სტიმულირების, მაუწყებელთა თანასწორობისა და დამოუკიდებლობის, სიხშირეების ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფა.

მაუწყებლები ვალდებული არიან უზრუნველყონ ფაქტების ზუსტი და სამართლიანი გაშუქება, ფაქტისა და აზრის მკაფიო გამიჯვნა და აზრის ავტორის იდენტიფიცირება.

მაუწყებლები ვალდებული არიან ახალი ამბების პროგრამებში უზრუნველყონ ფაქტებთან და მოვლენებთან დაკავშირებული ყველა საგულისხმო განსხვავებული აზრის სათანადოდ წარმოჩენა რომელიმე ჯგუფისა თუ აზრის დისკრიმინაციის გარეშე.

იკრძალება ომის ნებისმიერი სახით პროპაგანდა. იკრძალება ისეთი პროგრამების გადაცემა, რომლებიც რაიმე ფორმით რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური ან სხვაგვარი შუღლის გაღვივების, რომელიმე ჯგუფის დისკრიმინაციის ან ძალადობისკენ წაქეზების აშკარა და პირდაპირ საფრთხეს ქმნის. იკრძალება ისეთი პროგრამების გადაცემა, რომლებიც მიმართულია პირის ან ჯგუფის ფიზიკური შესაძლებლობის, ეთნიკური კუთვნილების, რელიგიის, მსოფლმხედველობის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის ან სხვა თვისებისა თუ სტატუსის გამო შეურაცხყოფისაკენ, დისკრიმინაციისაკენ ან ამ თვისებისა თუ სტატუსის განსაკუთრებული ხაზგასმისაკენ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს აუცილებელია პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე და მიზნად ისახავს არსებული შუღლის ილუსტრირებას.

იკრძალება პორნოგრაფიის, აგრეთვე ადამიანისა და მოქალაქის ღირსებისა და ძირითად უფლებათა შემლახავი ისეთი პროგრამის ან რეკლამის განთავსება, რომელიც შეიცავს უხამსობას.

იკრძალება ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკურ, გონებრივ და ზნეობრივ განვითარებაზე მავნე ზეგავლენის მომხდენი პროგრამების იმ დროს განთავსება, როცა მათ მიერ ამ პროგრამების ნახვის ან მოსმენის დიდი ალბათობა არსებობს(მუხლი 1, 54-ე, 56-ე).

საქართველოს „შრომის კოდექსის„ მიხედვით შრომითი ურთიერთობა წარმოიშობა მხარეთა თანასწორუფლებიანობის საფუძველზე ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგად მიღწეული შეთანხმებით.

შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, რელიგიური, საზოგადოებრივი, პოლიტიკური ან სხვა გაერთიანებისადმი, მათ შორის, პროფესიული კავშირისადმი, კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების გამო.

დისკრიმინაციად ჩაითვლება პირის პირდაპირ ან არაპირდაპირ შევიწროება, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას, ანდა პირისთვის ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აუარესებს მის მდგომარეობას ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირთან შედარებით.

დისკრიმინაციად არ ჩაითვლება პირთა განსხვავების აუცილებლობა, რომელიც გამომდინარეობს სამუშაოს არსიდან, სპეციფიკიდან ან მისი შესრულების პირობებიდან, ემსახურება კანონიერი მიზნის მიღწევას და არის მისი მიღწევის თანაზომიერი და აუცილებელი საშუალება.

შრომითი ურთიერთობისას მხარეებმა უნდა დაიცვან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები. უქმე დღეებია:

ა) 1 და 2 იანვარი – ახალი წლის სადღესასწაულო დღეები;

ბ) 7 იანვარი – უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს შობის დღე;

გ) 19 იანვარი – ნათლისღება – უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს გაცხადების დღე;

დ) 3 მარტი – დედის დღე;

ე) 8 მარტი – ქალთა საერთაშორისო დღე;

ვ) 9 აპრილი – საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღე, საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღე;

ზ) სააღდგომო დღეები – დიდი პარასკევი, დიდი შაბათი, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღე; მიცვალებულთა მოხსენიების დღე – აღდგომის მეორე დღე, ორშაბათი (თარიღები გარდამავალია);

თ) 9 მაისი – ფაშიზმზე გამარჯვების დღე;

ი) 12 მაისი – საქართველოს ეკლესიის, როგორც სამოციქულო საყდრის, დამაარსებლის – წმინდა ანდრია მოციქულის ხსენების დღე;

კ) 26 მაისი – საქართველოს დამოუკიდებლობის დღე;

ლ) 28 აგვისტო – ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების დღე (მარიამობა);

მ) 14 ოქტომბერი – მცხეთობის (სვეტიცხოვლობის, კვართის დღესასწაულის) დღე;

ნ) 23 ნოემბერი – გიორგობის დღე (მუხლები მე-2 და 20-ე).

კანონის ,,უმაღლესი განათლების შესახებ,, მიხედვით საქართველოში უმაღლესი განათლების ერთ-ერთი ძირითადი მიზანია ქართული და მსოფლიო კულტურის ღირებულებების ჩამოყალიბებისათვის

ხელშეწყობა, დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე ორიენტაცია, რომლებიც აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების არსებობისა და განვითარებისათვის. ამ მიზნის მისაღწევად სახელმწიფო სხვა ზომებთან ერთად უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების სფეროში ყოველგვარი დისკრიმინაციის აკრძალვას, მათ შორის აკადემიური, რელიგიური თუ ეთნიკური კუთვნილების ან/და შეხედულების, სქესის, სოციალური წარმოშობისა და სხვა ნიშნით. ამასთან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ შეიძლება შეიქმნას პოლიტიკური და რელიგიური ორგანიზაციების სტრუქტურული ერთეულები (მუხლი მე-3).

კანონის ,,ზოგადი განათლების შესახებ,, მიხედვით სახელმწიფოს პოლიტიკის ერთ-ერთი მიზანი განათლების სფეროში მოსწავლის ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე, თავისუფალ პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის საჭირო პირობების შექმნაა. ამისათვის სახელმწიფო უზრუნველყოფს ზოგადი განათლების ღიაობას და თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველასთვის მთელი სიცოცხლის განმავლობაში, საჯარო სკოლის დამოუკიდებლობას რელიგიური და პოლიტიკური გაერთიანებებისაგან, ხოლო კერძო სკოლის დამოუკიდებლობას პოლიტიკური გაერთიანებებისაგან, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ძალადობის აღმოფხვრას.

დაუშვებელია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლო პროცესის პოლიტიზირება.

დაუშვებელია საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესის რელიგიური ინდოქტრინაციის, პროზელიტიზმის ან იძულებითი ასიმილაციის მიზნებისათვის გამოყენება. ეს ნორმა არ ზღუდავს საჯარო სკოლაში სახელმწიფო დღესასწაულებისა და ისტორიული თარიღების აღნიშვნას, აგრეთვე ისეთი ღონისძიების ჩატარებას, რომელიც მიმართულია ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრებისაკენ.

დაუშვებელია სკოლაში მიღებისას რაიმე სახის დისკრიმინაცია. ეს ნორმა არ გამორიცხავს შესაძლებლობას შესარჩევი კონკურსის ჩატარებისა იმ

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, რომლებიც ახორციელებენ სამხედრო, პროფილურ სახელოვნებო და სასპორტო მომზადებას, ასევე სხვა სტატუსის სკოლებში. შესარჩევი კონკურსის ჩატარებისას აუცილებელია პირის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების გათვალისწინება.

დაუშვებელია სკოლის მიერ საკუთარი უფლებამოსილებისა და რესურსების იმგვარად გამოყენება, რამაც შეიძლება პირდაპირ ან ირიბად გამოიწვიოს მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის, აგრეთვე მათი გაერთიანებების რაიმე დისკრიმინაცია.

ნებისმიერი განმასხვავებელი ქმედება ან გამონაკლისის დაშვება ჩაითვლება დისკრიმინაციად, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ასეთი ქმედება ან გამონაკლისი სამართლიანი და გონივრულია, ემსახურება თითოეული პირისა და ჯგუფის თავისუფალი განვითარებისა და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას.

სკოლა ვალდებულია დაიცვას და ხელი შეუწყოს მოსწავლეებს, მშობლებს და მასწავლებლებს შორის შემწყნარებლობისა და ურთიერთპატივისცემის დამკვიდრებას, განურჩევლად მათი სოციალური, ეთნიკური, რელიგიური, ლინგვისტური და მსოფლმხედველობრივი კუთვნილებისა.

სკოლა თანასწორობის საფუძველზე იცავს უმცირესობების წევრების ინდივიდუალურ და კოლექტიურ უფლებას, თავისუფლად ისარგებლონ მშობლიური ენით, შეინარჩუნონ და გამოხატონ თავიანთი კულტურული კუთვნილება(მუხლები მე-3, მე-13)

კანონის ,,მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ'' მიხედვით მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება (შემდგომში – პარტია) არის საერთო მსოფლმხედველობრივ და ორგანიზაციულ საფუძველზე შექმნილი მოქალაქეთა ნებაყოფლობითი დამოუკიდებელი გაერთიანება, რომელიც რეგისტრირებულია ამ კანონით დადგენილი წესით და თავის

საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის ფარგლებში.

პარტიის შექმნისა და მის საქმიანობაში მონაწილეობის უფლება საქართველოს ყოველი მოქალაქის კონსტიტუციური უფლებაა.

დაუშვებელია ისეთი პარტიის შექმნა და საქმიანობა, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს.

დაუშვებელია პარტიის წევრობის შეზღუდვა რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიის, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია აკრძალოს პარტია, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს, ქმნის ან შექმნილი აქვს შეიარაღებული ფორმირება(მუხლი პირველი, მე-5, მე-11, 36-ე).

კანონის ,,პაციენტის უფლებების შესახებ“ მიხედვით პაციენტის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, გენეტიკური მემკვიდრეობის, რწმენისა და აღმსარებლობის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, დაავადების, სექსუალური ორიენტაციის ან პირადული უარყოფითი განწყობის გამო აკრძალულია.

ამა თუ იმ დაავადებასთან დაკავშირებით პაციენტის უფლებების შეზღუდვის პირობებს განსაზღვრავს საქართველოს კანონმდებლობა. პაციენტს უფლება აქვს სამედიცინო მომსახურების გამწევისაგან მოითხოვოს მისი ღირსების, ტრადიციების, აღმსარებლობისა და პიროვნული ფასეულობების პატივისცემა.(მუხლები მე-6 და მე-15)

კანონის ,,საექიმო საქმიანობის შესახებ" მიხედვით დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტი პროფესიული გადაწყვეტილებების მიღებისას არის თავისუფალი და დამოუკიდებელი. აკრძალულია პირმა დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტისაგან მოითხოვოს კანონში მითითებული პრინციპებისა და საექიმო საქმიანობის ეთიკური ნორმების საწინააღმდეგო მოქმედება, მიუხედავად მომთხოვნი პირის თანამდებობისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, აგრეთვე აღმსარებლობისა.

დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტმა პროფესიული მოვალეობის აღსრულებისას უნდა იხელმძღვანელოს შემდეგი პრინციპებით:

ა) პაციენტებსა და საზოგადოებაში პირადი მაგალითით ამკვიდრებდეს ჯანსაღი ცხოვრების წესს;

ბ) ხელმძღვანელობდეს მხოლოდ პროფესიული სტანდარტებით, ჰუმანიზმის პრინციპებით, საქართველოს კანონმდებლობით, პატივს სცემდეს პაციენტის ღირსებას, აღმსარებლობასა და ტრადიციებს;

გ) მაქსიმალურად ითვალისწინებდეს პაციენტის ჯანმრთელობის ინტერესებს;

დ) იყოს უანგარო, პროფესიული გადაწყვეტილებების მიღებისას – თავისუფალი და დამოუკიდებელი;

ე) პირუთვნელად ასრულებდეს ექიმის ფიცს.

დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტი ვალდებულია დაიცვას „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ეთიკური და ინტერესთა შეუთავსებლობის ნორმები, რომელთა დარღვევაც იწვევს ამ კანონით გათვალისწინებულ პროფესიულ პასუხისმგებლობას და ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად. (მე-6 და 38-ე მუხლები)

კანონის ,,ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ მე-9 მუხლის მიხედვით მხოლოდ სამსახურებრივი ან ოჯახური კონფლიქტი, შეუთავსებლობა საზოგადოებაში გაბატონებულ მორალურ, რელიგიურ, კულტურულ ან პოლიტიკურ შეხედულებებთან არ არის ფსიქიკური დაავადების დიაგნოზის დასმის საფუძველი.

,,საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი'' ხაზს უსვამს თანასწორობას კანონისა და სასამართლოს წინაშე. ამ ნორმატიული აქტით დაცულია აღსარების საიდუმლოება. კოდექსის 50-ე მუხლის მიხედვით არ შეიძლება მოწმედ გამოიძახონ და დაკითხონ სასულიერო პირი იმ გარემოებათა შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა აღსარების ან სხვაგვარად განდობის შედეგად. ამასთან სასულიერო პირის, ადვოკატის, ექიმის, ჟურნალისტისა და იმუნიტეტის მქონე პირის მიმართ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს არ უკავშირდება შესაბამისად მათ მიერ სასულიერო მოღვაწეობის ან პროფესიული საქმიანობის დროს კანონით დაცული ინფორმაციის მოპოვებას(მუხლი 143[7])

საქართველოს ,,პატიმრობის კოდექსისა,, და მის საფუძველზე დამტკიცებული შესაბამისი ტიპის პატიმრობის ანუ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების დებულებების შესაბამისად, პატიმარი/მსჯავრდებული სარგებლობს მისი რელიგიური მრწამსის რეალიზაციის უფლებით თავისუფლებაშეზღუდული მდგომარეობის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს რელიგიურ ღონისძიებებში, ისევე როგორც შეუძლია საკუთარი სახსრებით, გონივრული ოდენობით გამოიწეროს რელიგიური ლიტერატურა(მუხლი მე-14, მუხლი 20-ე)

საქართველოს კანონის ,,არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ,, მიხედვით არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში მშვიდობიან პერიოდში გაიწვევენ მოქალაქეს, რომელმაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უნდა მოიხადოს სამხედრო ვალდებულება, მაგრამ სინდისის, აღმსარებლობის ან რწმენის თავისუფლების მოტივით უარს აცხადებს სამხედრო სამსახურზე.

არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახური არის საზოგადოებრივად სასარგებლო სამოქალაქო სამსახური, რომელიც ცვლის სამხედრო სამსახურს და ემყარება სამხედრო ვალდებულების სამხედრო სამსახურის ფორმით მოხდაზე უარის თქმის დასაბუთებას სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლების საფუძველზე.

არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახური თავისი ხასიათით უნდა შეესაბამებოდეს სამხედრო სამსახურში არსებულ სირთულეებს. მისი ხანგრძლივობა უნდა აღემატებოდეს კანონმდებლობით დადგენილ გაწვევით სამხედრო სამსახურის ხანგრძლივობას.

მოქალაქე, რომელიც გადის არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურს, სარგებლობს საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული ყველა უფლებით.

მოქალაქე არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურს გადის შემდეგ სპეციალიზებულ არასამხედრო-შრომით ფორმირებებში, ჯგუფებში ან ინდივიდუალურად:

ა) საავარიო-სამაშველო, ეკოლოგიურ, ხანძარ საწინააღმდეგო ან სხვა სპეციალურ არასამხედრო-შრომით ფორმირებებში;

ბ) სამოქალაქო დანიშნულების სამშენებლო, სარემონტო ორგანიზაციებსა და ობიექტებზე;

გ) ორგანიზაციებსა და ობიექტებზე, რომლებიც სოფლის მეურნეობის პროდუქციას აწარმოებენ;

დ) კომუნალური მომსახურების დაწესებულებებში;

ე) ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებში.

(მუხლები პირველი, მე-3, მე-4, მე-5, მე-14)

კანონის ,,უმაღლესი განათლების შესახებ,, მიხედვით საქართველოში უმაღლესი განათლების ერთ-ერთი ძირითადი მიზანია ქართული და მსოფლიო კულტურის ღირებულებების ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობა, დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე ორიენტაცია, რომლებიც აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების არსებობისა და განვითარებისათვის. ამ მიზნის მისაღწევად სახელმწიფო სხვა ზომებთან ერთად უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების სფეროში ყოველგვარი დისკრიმინაციის აკრძალვას, მათ შორის აკადემიური, რელიგიური თუ ეთნიკური კუთვნილების ან/და შეხედულების, სქესის, სოციალური წარმოშობისა და სხვა ნიშნით. ამასთან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ შეიძლება შეიქმნას პოლიტიკური და რელიგიური ორგანიზაციების სტრუქტურული ერთეულები (მუხლი მე-3).

კანონის ,,ზოგადი განათლების შესახებ,, მიხედვით სახელმწიფოს პოლიტიკის ერთ-ერთი მიზანი განათლების სფეროში მოსწავლის ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე, თავისუფალ პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის საჭირო პირობების შექმნაა. ამისათვის სახელმწიფო უზრუნველყოფს ზოგადი განათლების ღიაობას და თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველასთვის მთელი სიცოცხლის განმავლობაში, საჯარო სკოლის დამოუკიდებლობას რელიგიური და პოლიტიკური გაერთიანებებისაგან, ხოლო კერძო

სკოლის დამოუკიდებლობას პოლიტიკური გაერთიანებებისაგან, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ძალადობის აღმოფხვრას.

დაუშვებელია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლო პროცესის პოლიტიზება.

დაუშვებელია საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესის რელიგიური ინდოქტრინაციის, პროზელიტიზმის ან იძულებითი ასიმილაციის მიზნებისათვის გამოყენება. ეს ნორმა არ ზღუდავს საჯარო სკოლაში სახელმწიფო დღესასწაულებისა და ისტორიული თარიღების აღნიშვნას, აგრეთვე ისეთი ღონისძიების ჩატარებას, რომელიც მიმართულია ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრებისაკენ.

დაუშვებელია სკოლაში მიღებისას რაიმე სახის დისკრიმინაცია. ეს ნორმა არ გამორიცხავს შესაძლებლობას შესარჩევი კონკურსის ჩატარებისა იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, რომლებიც ახორციელებენ სამხედრო, პროფილურ სახელოვნებო და სასპორტო მომზადებას, ასევე სხვა სტატუსის სკოლებში. შესარჩევი კონკურსის ჩატარებისას აუცილებელია პირის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების გათვალისწინება.

დაუშვებელია სკოლის მიერ საკუთარი უფლებამოსილებისა და რესურსების იმგვარად გამოყენება, რამაც შეიძლება პირდაპირ ან ირიბად გამოიწვიოს მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის, აგრეთვე მათი გაერთიანებების რაიმე დისკრიმინაცია.

ნებისმიერი განმასხვავებელი ქმედება ან გამონაკლისის დაშვება ჩაითვლება დისკრიმინაციად, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ასეთი ქმედება ან გამონაკლისი სამართლიანი და გონივრულია, ემსახურება თითოეული პირისა და ჯგუფის თავისუფალი განვითარებისა და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას.

სკოლა ვალდებულია დაიცვას და ხელი შეუწყოს მოსწავლეებს, მშობლებს და მასწავლებლებს შორის შემწყნარებლობისა და

ურთიერთპატივისცემის დამკვიდრებას, განურჩევლად მათი სოციალური, ეთნიკური, რელიგიური, ლინგვისტური და მსოფლმხედველობრივი კუთვნილებისა.

სკოლა თანასწორობის საფუძველზე იცავს უმცირესობების წევრების ინდივიდუალურ და კოლექტიურ უფლებას, თავისუფლად ისარგებლონ მშობლიური ენით, შეინარჩუნონ და გამოხატონ თავიანთი კულტურული კუთვნილება (მუხლები 3-13).

კანონი „რეკლამის შესახებ'' ცნობს არაეთიკურ რეკლამას. ასეთად მიჩნეულია რეკლამა, რომელიც ფიზიკურ პირთა ეროვნების, რასის, პროფესიის, სოციალური კუთვნილების, ასაკის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და ფილოსოფიური მრწამსის მიმართ შეურაცხმყოფელი სიტყვებისა და შედარებების გამოყენებით არღვევს საყოველთაოდ აღიარებულ ჰუმანურ და ზნეობრივ ნორმებს, ხელყოფს ეროვნულ და მსოფლიო კულტურულ საგანძურში შემავალ ხელოვნების ობიექტებს, ისტორიულ და არქიტექტურულ ძეგლებს, ბღალავს სახელმწიფო სიმბოლიკას (დროშა, გერბი, ჰიმნი), საქართველოს ან სხვა სახელმწიფოს ეროვნულ ვალუტას, რელიგიურ სიმბოლოებს, ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, მათ საქმიანობას, პროფესიას ან საქონელს (მუხლი მე-3)

კანონის ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" მიხედვით განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი ნიშნავს მონაცემს, რომელიც დაკავშირებულია პირის რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებასთან, პოლიტიკურ შეხედულებებთან, რელიგიურ ან ფილოსოფიურ მრწამსთან, პროფესიულ კავშირში გაწევრებასთან, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, სქესობრივ ცხოვრებასთან, ნასამართლობასთან, ადმინისტრაციულ პატიმრობასთან, პირისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდებასთან, პირთან საპროცესო შეთანხმების დადებასთან, განრიდებასთან, დანაშაულის მსხვერპლად აღიარებასთან ან დაზარალებულად ცნობასთან, აგრეთვე ბიომეტრიული და გენეტიკური

მონაცემები, რომლებიც ზემოაღნიშნული ნიშნებით ფიზიკური პირის იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა.

მონაცემთა დამუშავების შემთხვევაში დაუშვებელია მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გარეშე მონაცემთა გასაჯაროება და მესამე პირისათვის გამჟღავნება. (მუხლები მე-2, მე-6)

კანონის ,,კულტურული მემკვიდრეობის შესახებ'' თანახმად, კულტურულ ფასეულობად მიჩნეულია შემოქმედებითი პროცესის შედეგად, ნებისმიერი მასალითა და საშუალებით, ნებისმიერ ისტორიულ ეპოქაში შექმნილი უძრავი ან მოძრავი ნივთი, რომელსაც აქვს მხატვრული, ესთეტიკური, ეთნოლოგიური, არქეოლოგიური, ისტორიული, რელიგიური, მემორიალური, მეცნიერული, ტექნიკური, ტექნოლოგიური ღირებულება.

„საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის“ კონსტიტუციური შეთანხმებით განსაზღვრული ნაგებობის შემთხვევაში მინისტრის ბრძანება ძეგლის ინდივიდუალური დამცავი ზონის ან მისი შემადგენელი არეალის გაფართოების შესახებ უნდა შეთანხმდეს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიასთან (მუხლები მე-3, 34-ე)

კანონის ,,საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ'' მიხედვით პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად მიიჩნევა პირი, რომელიც მსჯავდებული იყო სახელმწიფოსაგან ეკლესიის და ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფის კანონის დარღვევაში, რელიგიური წესის აღსრულების მოტივით ადამიანის უფლებების და თავისუფლებების ხელყოფაში.

პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად ჩაითვლება პირი, რომელიც მსჯავრდებული იყო დანაშაულის ჩადენაში ყალბი ბრალდების

საფუძველზე, რაც დაკავშირებული იყო პირის პოლიტიკურ შეხედულებასთან, არსებული პოლიტიკური რეჟიმის უკანონო ქმედების მიმართ წინააღმდეგობის გაწევასთან, სოციალურ, წოდებრივ ან რელიგიურ კუთვნილებასთან.

პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად ჩაითვლება „ГПУ-ОГПУ“-ს, „ВЧК“-ს, „УНКВД-НКВД“-ს, „МГБ“-ს, „КГБ“-ს, „МВД“-ს, საგანგებო სათათბიროების, ორეულების ან სამეულების მიერ მსჯავრდებული პირი, აგრეთვე კონკრეტული დანაშაულისათვის ბრალის წაუყენებლად გადასახლებული, გასახლებული ან სპეციალურ დასახლებაში გაგზავნილი პირი.

პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად მიიჩნევა პირი, რომელიც რეაბილიტირებულ იქნა საქართველოს სასამართლოების მიერ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, თუ მის მიმართ წაყენებული ბრალდება ემყარებოდა კანონიერი ხელისუფლების სტრუქტურებში სამსახურს ან ამ სტრუქტურების მხარდაჭერას.

პირს, რომელმაც რეპრესია განიცადა თავისუფლების აღკვეთის, გადასახლების, გასახლების, სპეციალური დასახლების ადგილას გამწესების, ფსიქიატრიულ დაწესებულებაში იძულებით მოთავსების სახით ან გარდაიცვალა პოლიტიკური რეპრესიის შედეგად და აღიარებულია პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად, შეიძლება მიეცეს ფულადი კომპენსაცია. ამ პირის გარდაცვალების შემთხვევაში ფულადი კომპენსაცია შეიძლება მიეცეს მის პირველი რიგის მემკვიდრეს.

ფულადი კომპენსაციის მიღების შესახებ სარჩელს უშუალოდ რეპრესირებული პირი, მისი პირველი რიგის მემკვიდრე ან მათი წარმომადგენელი წარუდგენს თბილისის ან ქუთაისის საქალაქო სასამართლოს. ფულადი კომპენსაციის ოდენობას, იძულების სხვადასხვა ფორმის სიმძიმის, აგრეთვე რეპრესირებული პირის ან მისი პირველი რიგის მემკვიდრის ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობისა

და სხვა ობიექტური ფაქტორების გათვალისწინებით, ადგენს სასამართლო (მუხლებიმე-2, მე-4, მე-9).

ასევე იხ. სხვა საკანონმდებლო აქტები[11].

ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ - მოხსენება საქართველოს შესახებ (ამონარიდი)[12]

ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ (ECRI) 1993 წელს დაარსა ევროპის საბჭომ. ეს არის დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც ახორციელებს ადამიანის უფლებების მდგომარეობის მონიტორინგს და სპეციალიზდება რასიზმსა და შეუწყნარებლობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. იგი შედგება დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი წევრებისაგან, რომლებიც ინიშნებიან მორალური ავტორიტეტისა და რასიზმის, ქსენოფობიის, ანტისემიტიზმისა და შეუწყნარებლობის საკითხებში გამოცდილების საფუძველზე. წესდებით დადგენილ საქმიანობათა ფარგლებში, ECRI ახორციელებს მონიტორინგს ქვეყნების მიხედვით, რითაც აანალიზებს ვითარებას თითოეულ წევრ სახელმწიფოში რასიზმისა და შეუწყნარებლობის თვალსაზრისით და იძლევა წინადადებებსა თუ შეთავაზებებს გამოვლენილ პრობლემათა დაძლევისათვის. ECRI-ის მონიტორინგი ქვეყნების მიხედვით თანაბრად შეეხება ევროპის საბჭოს თითოეულ ქვეყანას.

---

[11] მაგ. საქართველოს კანონი ,,სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ'', და დადგენილება „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ დამტკიცების თაობაზე;

[12] მონიტორინგის მეხუთე ციკლი. მიღებულია 2015 წლის 8 დეკემბერს, გამოქვეყნდა 2016 წლის 1 მარტს. სრული ტექსტი იხილეთ: https://www.coe.int/t/dghl/monitoring/ecri/Country-by-country/Georgia/GEO-CbC-V-2016-002-GEO.pdf

ECRI-ის ანგარიშები არ ეფუძნება დაკითხვებსა და მოწმეთა ჩვენებებს. ეს არის ანალიზი, დამყარებული სხვადასხვა წყაროდან მიღებულ უამრავ ინფორმაციაზე. დოკუმენტაციის შესწავლა ხორციელდება დიდი რაოდენობით ადგილობრივი და საერთაშორისო წერილობითი წყაროს საფუძველზე. ადგილზე ვიზიტები უშუალოდ დაკავშირებულ მხარეებთან (სამთავრობო თუ არასამთავრობო) შეხვედრის საშუალებას იძლევა, რისი მიზანიცაა დეტალური ინფორმაციის შეგროვება. კონფიდენციალური დიალოგი ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებთან საშუალებას აძლევს ამ უკანასკნელთ, წარმოადგინონ კომენტარები ანგარიშის პროექტზე - თუ ამას საჭიროდ ჩათვლიან - რათა გაასწორონ ფაქტობრივი შეცდომები, რომლებსაც, შესაძლოა, ანგარიში მოიცავდეს. დიალოგის დასასრულს, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებმა, თუ მოისურვებენ, შეიძლება მოითხოვოს ECRI-ის საბოლოო ანგარიშზე თავიანთი თვალსაზრისის დართვა.

ქვეყნების მიხედვით შედგენილ მოხსენებათა მეხუთე ეტაპზე ყურადღება გამახვილდა 4 საკითხზე, რომლებიც საერთოა ყველა წევრი სახელმწიფოსათვის: (1) საკანონმდებლო საკითხები; (2) სიძულვილის ენა; (3) ძალადობა, (4) ინტეგრაციის პოლიტიკა და ასევე მრავალი სხვა საკითხი, დაკავშირებული თითოეულ ამ საკითხთან.

საქართველოს შესახებ ეს ანგარიში შეადგინა ECRI-მ თავისი პასუხისმგებლობით. იგი ასახავს 2015 წლის 17 ივნისის მდგომარეობას.

სიძულვილის ენა

არ არსებობს ოფიციალური მონაცემები რასისტულ და ჰომო/ტრანსფობიურ სიძულვილის ენასთან დაკავშირებით. ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაცია აღწერს სიძულვილის ენის გამოვლინებებს ჟურნალისტებისა და პოლიტიკოსების მხრიდან. ეს არის აღწერები მხოლოდ მინიშნებებით და არამც და არამც ამომწურავი. თავის ბოლო ანგარიშში ECRI იძლეოდა რეკომენდაციას, რომ ხელისუფლებას გაეწია უმცირესობათა მიმართ სტერეოტიპების,

აკვიატებული აზრებისა და არასწორი შეხედულებების გამოვლენის მონიტორინგი. მიუხედავად ამისა, ძალიან ცოტა გაკეთდა ამ მიმართულებით, თუ არ ჩავთვლით სახალხო დამცველს.

სიძულვილის ენის გამოვლენა ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობათა მიმართ კვლავ ფართოდ გავრცელებული პრობლემაა საქართველოში და ამ ჯგუფებს კვლავ განსაკუთრებულად განიხილავენ და აკვირდებიან „გამადიდებელი შუშით“. 2014 წლის თებერვლიდან მაისამდე განხორციელებული პოლიტიკურ გამოსვლათა მონიტორინგის პროექტმა აჩვენა, რომ ყველა მთავარი პოლიტიკური პარტიის წევრები მიმართავდნენ სიძულვილის ენას. თურქების მიმართ სიძულვილის ენის გამოყენების ცხრა შემთხვევა დაფიქსირდა - მათ, უმთავრესად, მოიხსენიებდნენ ეკონომიკური სირთულეების მიზეზად და „დამპყრობლებად“ . ასევე ექვსი შემთხვევა გამოვლინდა ეთნიკურ უმცირესობათა მიმართ.

ზოგიერთმა მაღალი რანგის პოლიტიკოსმა არატოლერანტული კომენტარი გააკეთა. შავკანიანთა წინააღმდეგ მიმართული რასიზმისა და ქსენოფობიის კუთხით, თამაზ ავდალიანმა (ქართული ოცნება), საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ 2014 წლის მარტში განაცხადა, რომ აფრიკელებისათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებისათვის განსხვავებული კრიტერიუმები უნდა არსებობდეს, „რადგან ჩვენ ვვითარდებით და ნამდვილად არ გვჭირდება დამატებითი მუქთამჭამელები“. 2012 წლის ოქტომბერში ასევე საჯაროდ გავრცელდა ვიდეო, სადაც დავით დარახველიძე („ქართული ოცნება“) რასისტული შინაარსის განცხადებას აკეთებს, ამბობს რა, რომ „ყველა ზანგი, რომელსაც თბილისში შეხვდებით, მოქალაქეა. ასე არიან ინდოელები და ჩინელებიც“, „საქართველო ქართველებისთვის უნდა იყოს“. მიუხედავად სამოქალაქო საზოგადოების პროტესტისა, იგი შემდგომში მაინც დაინიშნა მინისტრად.

2012 წლის 24 აპრილს, როცა მიდიოდა დისკუსია სომეხთა გენოციდის დღის აღნიშვნაზე, პარლამენტის წევრმა, მაშინდელი მმართველი პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელმა, რომლის საარჩევნო ოლქშიც დიდი რაოდენობით აზერბაიჯანული მოსახლეობაა, სომეხთა შესახებ რასისტული შინაარსის განცხადებები გააკეთა საპარლამენტო დებატებისას. 2011 წელს კონფლიქტთა მოგვარების ყოფილი მინისტრი გოგა ხაინდრავა ნეგატიურად მოიხსენიებდა პარლამენტის წამყვანი წევრების ეთნიკურ წარმოშობას, გაზეთ „ასავალ-დასავალში“ გამოქვეყნებული სტატიის კვალად, სადაც მთავრობა სახელდებოდა „სომეხთა ლობისტად“. თავად ეს გაზეთი ცნობილია პროვოკაციული რიტორიკით.

2010 წლის ივლისში ფინანსთა მინისტრთან საუბრისას მაშინდელმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა რასისტული კომენტარი გააკეთა შავკანიან ადამიანებთან მიმართებით: „ჩვენ ზანგები ვართ თუ რა? აბა, ამიხსენით, რატომ ვიქცევით ასე ველურებივით?“ მანამდე, ერთი წლით ადრე, მან ასეთი რიტორიკული კითხვა დასვა: ჩვენ პაპუასები ვართ, თუ რა? რატომ ვიქცევით ასე?“

ქსენოფობიური დამოკიდებულება ასევე თვალსაჩინოა მედიაში. ამის მაგალითია ტელეარხი „ობიექტივი“. 2014 წელს მისმა ერთ-ერთმა წამყვანმა განაცხადა: თუ ვინმეს ერთი ან ორი ჰექტარი მიწა აქვს, არასოდეს მიჰყიდის უცხოელს. მას შეუძლია მიყიდოს მეზობელს, ნათესავს, მაგრამ არამც და არამც აფრიკელს“. გაზეთმა „ალიამ“ ამავე საკითხზე ერთი თვით ადრე დაწერა: „ახლა ათობით უცხოელი კალიასავით შეესევა ქართულ მიწას და დაიწყებს მის ყიდვას...“

ასევე მზარდია ისლამოფობიური სიძულვილის ენა. მოძალადე ისლამისტების მიმართ შიში, რაც უკავშირდება რეალურ თუ გამოგონილ მუქარებს ისლამისტური რეგიონებიდან (სირია, ერაყი), ხშირად ჟღერდება ეთნო-რელიგიურ იდენტობაზე ადგილობრივი დისკურსის დროს, რის გამოც რელიგიური უმცირესობები იმთავითვე დანახულია

საქართველოსადმი პოტენციურად არალოიალურ ძალად. „ეს უნდობლობა კარგად ჩანს, მაგალითად, მაშინ, როცა აჭარელ მუსლიმებს თურქეთის აგენტებად სახავენ. 2015 წლის იანვარში გაზეთი „კვირის ქრონიკა“ წერდა: [ყოფილმა პრეზიდენტმა] ქართული პასპორტი მისცა 10,000-მდე უცხოელ მუსლიმს და აჭარა თურქეთს .... რომელიც ისედაც გათურქების საფრთხის წინაშე იდგა. დღეს ყველამ იცის, რომ ამ მოქალაქეთა გარკვეული ნაწილი ისლამური სახელმწიფოსთვის იბრძვის სირიაში...“ ტელეარხი „ობიექტივი“ დიდი ხანია ატარებს ანტითურქულ სარედაქციო პოლიტიკას, რაც კარგად ჩანს სხვადასხვა თოქ-შოუში წამყვანთა კომენტარებით და სტუმრების შერჩევითაც. ეს ტელევიზია ეწეოდა ასევე კამპანიას ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის წინააღმდეგ. ობიექტივის დამფუძნებელმა და პარტიის „პატრიოტთა ალიანსი“ ხელმძღვანელმა ირმა ინაშვილმა განაცხადა: „უპირველეს ყოვლისა, ისინი აცნობიერებენ, რა საფრთხეს ქმნის ბათუმის ცენტრში ახალი მეჩეთის მშენებლობა, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, თურქეთის სიმბოლოს აღმართვა“.

სიძულვილის ენა სხვა რელიგიურ უმცირესობებსაც ეხება. მას შემდეგ, რაც მთავრობამ გადაწყვიტა, საკომპენსაციო დაფინანსება მიეცა მუსლიმების, სომხეთის სამოციქულო ეკლესიის, კათოლიკებისა და იუდეველთათვის, ობიექტივის წარმომადგენელმა შენიშნა: „მაშინ ბარემ სატანისტებიც დაგვეფინანსებინაო“. 2014 წელს თბილისში საერთაშორისო ფესტივალი მოაწყო ქრისტიანულ-ევანგელისტურმა ეკლესიამ. ამასთან დაკავშირებით გაზეთი „ალია“ წერდა: „ეს ჩვეულებრივი ანტიქრისტიანული შეკრებაა და მას არავინ არ უნდა დაესწროს“.

მედიის განვითარების ფონდის მოპოვებული ინფორმაციით, 2013-14 წლებში ობიექტივმა მიიღო, სულ მცირე, 25 000 აშშ დოლარი, ხოლო გაზეთებმა „ალიამ“ და „კვირის პალიტრამ“ ერთად დაახლოებით 20 000 აშშ დოლარამდე სამინისტროებისა და სახელმწიფო სტრუქტურებისაგან სარეკლამო კონტრაქტებისა და სხვა ხელშეკრულებათა სახით.

სიძულვილის ენა ფართოდ გამოიყენება ინტერნეტ სივრცეში და ეს სრულიად გაუკონტროლებელი და დაუსჯელი ფენომენია. ბოლო წლებში სიძულვილის ენის გამოყენებამ გადაინაცვლა საიტების ოპერატორების პირდაპირ მოწოდებული მასალიდან კომენტარებში, სადაც მკითხველები - აქვთ რა ანონიმურობის იმედი - თამამად ტოვებენ სიძულვილით აღსავსე მესიჯებს.

სიძულვილის ენა ლგბტ პირთა წინააღმდეგ მოიცავს რიგ შემთხვევებს ყოფითი შეურაცხყოფებიდან სიძულვილის ენის გამომხატველ კომენტარებამდე - პოლიტიკოსების, ჟურნალისტების ან მართლმადიდებელი სასულიერო პირების მხრიდან. მდგომარეობა გამწვავდა ანტიდისკრიმინაციულ კანონში სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ჩართვაზე დისკუსიებისას.

ECRI რეკომენდაციას უწევს საქართველოს ხელისუფლებას, შექმნას რასისტული შინაარსისა და ჰომო/ტრანსფობიური სიძულვილის ენის მონიტორინგის ქმედითი სისტემა. ამის საფუძვლად გამოდგება სახალხო დამცველისა და შესაბამის არასამთავრობო ორგანიზაციათა ექსპერტული ცოდნა.

ECRI იძლევა რეკომენდაციას, რომ ხელისუფლებამ გადახედოს მის კონტრაქტებს მედია საშუალებებთან და გააუქმოს, ან აღარ განაახლოს ისინი, თუ მედია შეიმჩნევა რასისტულ ან ჰომო/ტრანსფობიულ სიძულვილის ენის გამოვლენაში. ხელისუფლებამ ასევე უნდა უზრუნველყოს, რომ მომავალი კონტრაქტები შეიცავდნენ დათქმას კონტრაქტის გაუქმების შესახებ, თუკი მედიაში გამოვლინდება რასისტული ან ჰომო/ტრანსფობიური სიძულვილის ენა.

ECRI იძლევა რეკომენდაციას, რომ მიღებულ იქნას სიძულვილის ენის საწინააღმდეგო კანონი მისი ზოგადი პოლიტიკის რეკომენდაციის #7 § 18 (a)-(f) ნაწილების შესაბამისად და ანგარიშის მე-7 პუნქტში აღნიშნულ რეკომენდაციასთან კავშირში. ამავე დროს, უნდა ჩატარდეს ტრენინგები იმის უზრუნველსაყოფად, რომ კანონი არ გამოიყენებოდეს მოწყვლადი

ჯგუფების ლეგიტიმურ და არაძალადობრივ შეხედულებათა ჩასახშობად.

ECRI იძლევა რეკომენდაციას, რომ საქართველოს ხელისუფლებამ, მედიის თვითრეგულირებად ორგანოებთან ერთად, წამოიწყოს ცნობიერების ამაღლების კამპანია სიძულვილის ენასთან ბრძოლისა და მისი პრევენციის შესახებ, ისე, რომ არ მოხდეს მათი დამოუკიდებლობის ხელყოფა. ხელისუფლებამ უნდა ეძიოს შესაძლებლობები, რომ მხარი დაუჭიროს და განამტკიცოს დადებითი მიდგომები მედია ინდუსტრიაში ამ პრობლემის მოსაგვარებლად.

ECRI იძლევა რეკომენდაციას, რომ საქართველომ ხელი მოაწეროს კონვენციის დამატებით ოქმს, რომელიც ეხება რასისტულ და ქსენოფობიურ ქმედებათა კრიმინალიზაციას, ჩადენილს კომპიუტერული სისტემების საშუალებით და მისი რატიფიცირება მოახდინოს.

ECRI იძლევა რეკომენდაციას, რომ პარლამენტის რეგლამენტში შეიტანონ დებულება, რომელიც კრძალავს რასისტულ და ჰომო/ტრანსფობიურ შეურაცხყოფას და ითვალისწინებს ზომებს ან/და სანქციებს მისი დარღვევის შემთხვევაში. გარდა ამისა, ECRI რეკომენდაციას უწევს ყველა პოლიტიკურ პარტიას, მყარი პოზიცია დაიკავოს რასისტული და ჰომო/ტრანსფობიური დისკურსის წინააღმდეგ.

სარჩევი

განმარტება/ზოგადი ინფორმაცია	3
სიძულვილის ენა საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტებში და რეკომენდაციებში	8
ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია #R (97)20 წევრი სახელმწიფოებისათვის "სიძულვილის ენის" საკითხებზე	17
წევრი სახელმწიფოებისათვის "სიძულვილის ენის" საკითხებზე ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის №(97)20 რეკომენდაციის დანართი	20
კიბერდანაშაულის შესახებ კონვენციის დამატებითი ოქმი, რომელიც ეხება კომპიუტერული სისტემების საშუალებით განხორციელებულ რასისტული და ქსენოფობიური ხასიათის ქმედებების კრიმინალიზაციას	25
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები	29
სიძულვილის ენა ევროპის კავშირის წევრი ქვეყნების კანონმდებლობაში	61
საქართველოს კონსტიტუცია და კანონები	69
საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (ამონარიდები)	72
სხვა კანონები	77
ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ - მოხსენება საქართველოს შესახებ	92